

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი უყრნალი

არაჰი

უყრნალი გამოდის  
2016 წლის იანვრიდან,  
გამოსცემს სამცხე-  
ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

22

2019

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლია ზაზაშვილი  
ციური ლაფაჩი  
მალხაზ ლომსაძე  
ლერი ნოზაძე  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშკარიანი  
ლალი ბერიძე  
მაია ქუქჩიშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

ნომრის მეოხია **ალექსანდრე ლორჯომელაძე**

მდივანი: **ზაირა გელაძე**

მენეჯერი: **მანანა ობოლაშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**  
**ლარისა გურგენიძე**

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113  
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019  
ISSN 2346-83

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(ქრონიკები 1990)\***

მიიწურა 1990 წელი. რა შემატა ახალციხეს თსუ ახალციხის ფილიალმა? რა თქმა უნდა, ახალციხეში ბევრი ორგანიზაცია იყო და თანაც ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ბევრ მუშახელს აერთიანებდა, მაგრამ ჩვენი ფილიალი უცბად იქცა ქალაქის ყველაზე მრავალრიცხოვან ორგანიზაციად. პერიფერიებში ყოველთვის დგას ჩამოსულისა და ადგილობრივის პრობლემა. არის სამსახურები, რომელთა დაკომპლექტება შეუძლებელია ჩამოსული სპეციალისტის გარეშე, მაგრამ ხშირად ეს ხდება ყოველგვარი ობიექტური მოტივაციის გარეშე. დღეს ამას პარტიული და ადმინისტრაციული დაპირისპირებები განსაზღვრავს, მოდის ახალი ხელისუფლება და მოჰყავს თავისი ხალხი, უმრავლეს შემთხვევაში ეს არის პარტიულ-ბიძაშვილური ნიშნით შერჩეული კატეგორია და არა საქმიდან გამომდინარე, არა პროფესიონალიზმის ნიშნით შერჩეული პიროვნებანი.

ხდება ისეც, რომ ჩამოაყალიბებინებენ სერიოზულ, წარმატებულ ადამიანს ამა თუ იმ სამსახურს, რომლის შექმნაც ვერ შეძლო მანამდე ვერავინ და შექმნილ ადგილზე შემდეგ მოჰყავთ მათთვის სასურველი ისეთი ვინმე, ვინც ან ნათესაური ან სხვა რაიმე ნიშნით არის მისაღები უფროსობისათვის, ოღონდ არავითარ შემთხვევაში ეს ნიშანი არ არის საქვეყნო, პროგრესზე, წინსვლაზე გათვლილი, რაც საბოლოო ჯამში წამგებიანია ჩვენი ქვეყნისათვის.

ყოფილა შემთხვევა, რომ ადგილობრივისა და ჩამოსულის დაპირისპირება კონფლიქტში გადაზრდილა, საზოგადოებრივი დაპირისპირების საგნად ქცეულა. საჭირო იყო ჩამოგვეყალიბებინა უნივერსიტეტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. შეუძლებელია, შეიქმნას უნივერსიტეტი ჩამოსული კადრების გარეშე,

---

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არავი“ №21.

ამიტომ ჩვენი პრინციპული პოზიცია, რომელიც მაშინ დავაფიქსირეთ, დღევანდლამდე უცვლელია, 1990 წელს ვწერდით: „ჩვენი ლექსიკონიდან ამოვადლოთ სიტყვები – **ადგილობრივი** და **ჩამოსული**. საქართველოში არ არსებობს **ჩამოსული** ქართველი. ჯავახეთის სოფელ კოთელიაში არის საგვარეულო სახლი – ეგრისელაანი. როგორ ფიქრობთ, როდის ჩამოსულან ეგრისელაანი ეგრი-სიდან?“ (გაზეთი „მესხეთი“ №1, 1990წ.) ამ ნათქვამით გვინდოდა, ხაზი გაგვესვა იმ ფაქტისათვის, რომ ჩამოსულობა არ იყო კონიუქტურული მოვლენა, ის სხვადასხვა ფაქტორთან იყო დაკავშირებული და ჩვენს ქვეყანას ახასიათებდა მთელი ისტორიის მანძილზე. შიდა მიგრაციები და უნივერსიტეტის შექმნასთან დაკავშირებული მიმოსვლა, მართალია, განსხვავდებოდა, მაგრამ ამით პრობლემის არსი არ იცვლებოდა.

1990 წელს შეიქმნა ფილიალის ინფრასტრუქტურა. ჩამოყალიბდა ადმინისტრაცია და აკადემიური ნაწილი. ახალციხისთვის ახალი თანამდებობები და სამსახური იყო თვალში საცემი. მანამდე ყველაზე პოპულარულ სამუშაო ადგილებად ითვლებოდა პარტიის რაიკომსა და აღმასკომში მუშაობა. მას მოჰყვებოდა სავაჭრო და საწარმოების ხელმძღვანელობა, საავადმყოფო და ა.შ.

რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანი რგოლი იყო განათლება, თავისი განათლების განყოფილების ადმინისტრაციით. ყველაზე პოპულარული და ეროვნული დანესებულება თბილისიდან ჩამოსული მსახიობებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ახალციხეში ინტელექტუალური სამსახური, სადაც 95 კაცს ემუშავა, არ არსებობდა. 1990 წელს ქალაქში გაჩნდა 95 სამუშაო ადგილი. მათ შორის გაჩნდა დოცენტის, პროფესორის, მასწავლებლის და უფროსი მასწავლებლის თანამდებობები. ლაბორანტის ტრადიციული გაგება შეიცვალა. თურმე ლაბორანტი მხოლოდ ქიმიურ, ბიოლოგიურ, სამედიცინო და სხვა დარგებს არ სჭირდებოდა. ახალი იყო ფაკულტეტის ცნება, კათედრა და სხვა ისეთი ტერმინი, რომელთა შესახებ მხოლოდ საუნივერსიტეტო ცხოვრებით შეიძლება გვექონოდა ინფორმაცია.

რაც მთავარია, ეს არ იყო მხოლოდ ტერმინოლოგიური, ყურ-მოკრული სიახლეები. იწყებოდა მენტალური ცვლილებანი ქალაქის მასშტაბით, რასაც მომავალში უნდა მოჰყოლოდა რეგიონის მასშტაბები.

სამწუხაროდ, სიახლე უმტკივნეულოდ არ მოდის. ბევრი მონინაალმდევე ჰყავდა უნივერსიტეტს. ავრცელებდნენ ათასგვარ ხმებს და მათ შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი: „ჩამოვლენ ქალაქელები და ბაზარი გაძვირდება, ყველაფერს იყიდნიან!“ დღევანდელი მათთვის სასაცილოდ ჟღერს ასეთი ფსიქოლოგიის საზოგადოების თუნდაც არსებობა. ისიც გვახსოვს, რა ბაზარი იყო ახალციხეში ერთ პატარა ადგილზე. მახსენდება, ჩვენს პროფესორებს ხანდახან ვალიც რომ ჰქონიათ გამყიდველებისა, ხელფასს რომ ელოდებოდნენ ნაყიდი პროდუქტის ფასის გადასახდელად.

მიმოსვლა თბილისსა და ახალციხეს შორის ადვილი არ გახლდათ 1990 წელს და საერთოდ ოთხმოცდაათიან წლებში. გზა გზას არ ჰგავდა, არ არსებობდა საჭირო რაოდენობის ტრანსპორტი, ავტობუსები. ახლად იდგამდა ფეხს მიკროავტობუსების ტიპი. მოძრაობის ერთადერთი რეგულარული საშუალება იყო მატარებელი – „ვალე-თბილისი“.

ყველას გვახსოვს, რა ხდებოდა ვალის მატარებელზე, რა რაოდენობის ხალხი მოძრაობდა მატარებლით. ერთი შეხედვით პრაქტიკული უნდა ყოფილიყო მატარებელი, რომელიც თბილისიდან გამოდიოდა ღამის 12 საათზე და ჩამოდიოდა დილის 8 საათზე. თითქოს აენყო თავიდან საქმე, ჩამოსულები პირდაპირ ლექციებზე შედიოდნენ, მაგრამ პერიოდი დაემთხვა ცუდი. იშლებოდა საბჭოთა სისტემა, კონტროლი, ტექნიკური გარანტიები, ჯერ არ შექმნილიყო კაპიტალისტურ ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკა. არავითარი გარანტია არ გვექონდა, რომ მატარებელი გრაფიკით იმოძრავებდა და მართლაც ყოფილა შემთხვევა, როცა მატარებელი გაჩერებულა დიდთოვლობისა და უდენობის გამო გზაში, ვეღარ წამოსულა და ფეხით ჩამოსულან აწყურვიდან თბილისელები.

მატარებელი იმდენად პრობლემური შეიქნა, რომ მას „ტანჯულა“ შეარქვეს. „ტანჯულა“ კი ჩვენ გვტანჯავდა. ველოდით მატარებლის ჩამოსვლას, რაზეც ბევრი ლექციის დაწყება იყო დამოკიდებული. ისხდნენ სტუდენტები და მოთმინებით ელოდნენ.

1990 წლის პირველი სემესტრი პირველი გამოცდებით დამთავრდა. „ჩვენი პროფესურა კმაყოფილია სტუდენტებით, სტუდენტებიც კმაყოფილები არიან. მკაცრი გამოცდები სიყვარულსა და პატივისცემას ბადებს. ვიდრე ჩვენსავე კადრს გავზრდით, მანამდე ფილიალში ლექციების წაკითხვას არ გვამადლიან თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები“. (მ. ბერიძე, ერთი წელი გავიდა, გაზეთი „მესხეთი“, №5, 1991წ.)

უნივერსიტეტმა ქალაქს ახალგაზრდული სახე მისცა, გაახალგაზრდავა. პრობლემების მიუხედავად, აშკარა იყო წინსვლა, რაზეც მაშინდელი პუბლიკაციაც მეტყველებს: „პირველმა სემესტრმა ჩაიარა და შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ კარგი ახალგაზრდობა გვყავს. მათ უკვე ჩაუყარეს საფუძველი ახალ, ახალციხურ სტუდენტობას. ალბათ, დაგვეთანხმებიან, რომ **ქალაქს სასიკეთოდ დაეცყო უნივერსიტეტი**. ჩვენ ესეც გვმატებს რწმენას და გვაიმედებს, რომ სწორი გზით მივდივართ“ („მესხეთი“, №5 1991წ.). არ შეიძლება, არ ითქვას პირველივე წლის კარგ შედეგებზე. მისაღები გამოცდების მაღალ დონეზე და ობიექტურად ჩატარებამ სერიოზული შედეგი გამოიღო. პირველ რიგში უნივერსიტეტს ახალციხეში გამოეხმაურა თბილისის პროფესურა, სამცხე-ჯავახეთიდან წასული და თბილისში მოღვაწე ინტელიგენცია. ისინი ხედავდნენ, რომ ფილიალი სწორ გზაზე იდგა და შედეგებზე იყო ორიენტირებული. წლის ბოლოს პროფესორი **თენგიზ კიკაჩიშვილი** წერდა: „ახალციხეში უნივერსიტეტის ფილიალის გახსნით მართლაც რომ დიდი საქმე გაკეთდა, ამიტომ მე დიდი პასუხისმგებლობითა და შინაგანი კმაყოფილებით მოვედი. პირადად მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ერთცენტრიანობისა. ვფიქრობ, ახალი კულტურის კერა უთუოდ იტყვის თავის სიტყვას, ამის საფუძველს გვაძლევს ფილიალის სტუდენტობა. მათში ვხედავ დიდ შინაგან ენთუზიაზმს და პასუხისმგებლობას, იგრძნობა რომ მართლა უნდათ სწავლა, რომ ზედმეტი პედანტიიდან შორს არიან. არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს

თავისი თავის გარდა, რასაც უნდა მოუფრთხილდეს ლექტორიც და სტუდენტიც. მართალია, ცოტა ძნელია აქეთ წამოსვლა, მხედველობაში მაქვს დრო, მანძილი და ტრანსპორტი, მაგრამ არ უნდა მოვერიდოთ არაფერს, რომ დანყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ“ (ციტატა მოყვანილია პ. ასპინძის წერილიდან „პროფესორი თენგიზ კიკაჩიშვილი, გაზეთი „მესხეთი“, 1990წ. 3 დეკემბერი). უნივერსიტეტისათვის (ფილიალისათვის) განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი პროფესორების მხარდაჭერას, ჩვენთან ლექციების კითხვას. ერთ-ერთი ასეთი სწორედ თ. კიკაჩიშვილი იყო, ვინც მხარში ამოუდგა ფილიალს.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აკადემიკოს **ალექსანდრე ბარამაძის** მოლოცვა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი უხუცესი პროფესორი მთელი ჩემი გონითა და გულით მხურვალედ მივესალმები დედა უნივერსიტეტის ღირსეულ პირმშოს – მესხეთის ფილიალის დაბადებას.

მესხეთი იყო ძველი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის დიდი კერა. ამ კერის აღორძინების შესაძლებლობა შეაპირობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უცილობელმა წარმატებებმა.

მიგულეთ საძირკველჩაყრილი საშვილიშვილო ეროვნული საქმის ერთგულ თანამდგომად“ (გაზეთი „მესხეთი“, 1990წ. 3 დეკემბერი).

ფილიალს იმედით უყურებდნენ მესხეთში მოღვაწე მეცნიერები, ისინი უნდა ქცეულიყვნენ დასაყრდენ ძალად ჩვენი უნივერსიტეტისათვის. ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი ადამიანი იყო **სერგო ხოსიტაშვილი**, რომელიც თავისი წერილებითა და საქმიანობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. 1990 წელს ის გვწერდა: „პატივცემულო მერაბ! თქვენ, ყველა სტუდენტს, მათ მშობლებს, ყველა მანდ დამსწრე საზოგადოებას – ვულოცავ ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნას.

ამ რამდენიმე წლის წინ პროფესორ **ნოდარ ტაბიძეს** გაზეთ „თბილისის“ კორესპოდენტი შეეკითხა: რას ინატრებდით თქვენს ცხოვრებაში? მან უპასუხა, ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნასო.

აღსრულდა ბატონი ნოდარისა და მესხ მოღვაწეთა ნატვრა, რისთვისაც 30 წელზე მეტია ვიბრძვით.

გისურვებთ წარმატებებს, კეთილი და ნათელი კვალის გაფლებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სადიდებლად. პატივისცემით, თქვენი სერგო ხოსიტაშვილი ახალციხის საავადმყოფოდან“ (გაზეთი „მესხეთი“, 1990წ. №2), სამწუხაროდ ბატონი სერგო მალე გარდაიცვალა.

რაც მთავარია, აქტიურობდა სტუდენტობა. მათთვის არ იყო სულ ერთი, ვინ ასწავლიდათ და როგორ ასწავლიდათ. სტუდენტობიდან წამოსული უკომპრომისო პოზიცია ხშირად გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი ამა თუ იმ ლექტორის შესახებ.

უკვე პირველივე სემესტრის ბოლოს წერდა ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი **მ. ლომსაძე**:

„ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის დაარსება უდავოდ მამულიშვილური საქმეა. ყოველ დიდ საქმეს კი წარმატებებთან ერთად გარკვეული სიძნელეებიც ახლავს. ერთ-ერთი პრობლემათაგანი, რომელიც საკმაოდ მწვავედ დადგა ჩვენს წინაშე, არის სწავლების დონე, ურთიერთობა სტუდენტობასა და ლექტორ-მასწავლებელთა შორის.

შეიძლება ამ პრობლემაზე ლაპარაკი ზოგიერთს ნაადრევად მოეჩვენოს, მაგრამ არც მისი დამალვა უშველის საქმეს. მით უმეტეს რომ ამ საკითხს უკვე შევეჯახეთ და საკმაოდ მტკივნეულადაც. საქმე ეხება ეკონომიკის ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სწავლებას. ამ საგანს ასწავლის ბატონი თ. მ. გვესმის, რომ ისეთ სპეციფიკურ ფაკულტეტზე, როგორც ჩვენი, ამ საგნის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია ჩვენთან გაძლიერებით უნდა ისწავლებოდეს. ხდება კი პირიქით, სისტემურად ცდება ლექციები, როცა გვიტარდება, მაშინაც ძალაზე დოგმატურად, რასაც სტუდენტები ვერ შევეგუებით“ („მესხეთი“ №2, 1990წ.).

ეს წერილი ბევრ რამეზე დააფიქრებს ადამიანს. საგრძნობია იმდროინდელი პათოსი, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია უნდა ისწავლებოდეს ეკონომისტებთან. დასმულია პროფესორის პრობლემა, სწავლების ფორმისა და შედეგის საკითხი და სხვა.

მიზანი ყველასთვის ნათელი იყო, ამიტომ შემთხვევითი დამოკიდებულება ვერ გავიდოდა ფონს. ლექტორმა, რა თქმა უნდა, დატოვა ფილიალი.

სტუდენტებზე ზრუნვა სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა. გარდა სტიპენდიისა, ვაძლევდით სპეციალურ დახმარებას. რთული და მძიმე წლები გვექონდა, ფილიალს ჰქონდა გარკვეული ავტონომია ამ მხრივ, რაც მთავარია, ავტონომიასთან ერთად დიდი იყო ნდობა, როგორც თსუ-საგან, ისე სამინისტროს მხრიდან. მოვიყვანთ ერთ-ერთ ბრძანებას, რომელიც კარგად ასახავს ფილიალის მაშინდელ დამოკიდებულებას სოციალური ფონის მიმართ:

**„მიეცეთ ერთდროული დახმარება 100 მანეთის ოდენობით სტიპენდიის ფონდიდან ავღანეთში ნამსახურებ შემდეგ სტუდენტებს:**

1. გობაძე გურამ ოთარის ძეს (ისტორიის სპეც.)
2. გელაშვილ ალექსანდრე შილვას ძეს (ისტორიის სპეც.)

**მიეცეთ ერთდროული დახმარება 40 მანეთის ოდენობით სტიპენდიის ფონდიდან შემდეგ სტუდენტებს:**

1. თარხნიშვილი მთვარისა ზაქარეას ასული (ისტორიის სპეც.)
2. ჩიხრაძე დავით დავითის ძე (ისტორიის სპეც.)
3. ფერაძე თამაზ ანდროს ძე (ისტორიის სპეც.)
4. ისაკაძე მაკარ შურას ძე (ისტორიის სპეც.)
5. ფირცხალაიშვილი დარეჯან რეზოს ასული (ისტორიის სპეც.)
6. კაპანაძე ომარ ჯიმშერის ძე (ისტორიის სპეც.)
7. ჯვარიძე მარინე ანზორის ასული (ფილოლოგიის სპეც.)
8. ასპანიძე მაია (ფილოლოგიის სპეც.)“

**ეს დახმარება გაენია სტუდენტებს წინასაახალწლოდ, 1990 წლის 28 დეკემბერს (ბრძანება №85).**

ნიშანდობლივია ავღანეთში ნამსახურები ბიჭებისადმი გამოჩენილი ყურადღება და მათთვის კიდევ უფრო მეტი თანხის გადაცემა. მებრძოლებს ყველთვის გამორჩეული ყურადღება ექცეოდათ ჩვენს უნივერსიტეტში.

ფილიალის მისია, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ეს დეკლარირებული არ ყოფილა, დემოგრაფიული პრობლემისადმი მხარში დგომა ც იყო. ამ მხრივ საინტერესოა უკვე 1991 წლის 12 თებერვლის ბრძანება (№94), რომელიც გვამცნობს, რომ დახმარების გარდა გაიცემოდა ჯილდო შვილიან სტუდენტებზე.

„მიეცეს ჯილდოს სახით 60 მანეთის ოდენობით სტიპენდიის ფონდიდან ორი შვილის დედას ლიდა ნოდარის ასულ ტალახაძეს.

მიეცეს ერთდროული დახმარება 40 მანეთის ოდენობით სტიპენდიის ფონდიდან შემდეგ სტუდენტებს:

1. ბარბაქაძე მათა ომარის ასული (ფილოლოგიის სპეც)
2. ზანაძე მზევინარი ზაურის ასული (ფილოლოგიის სპეც.)
3. ლომსაძე ინგა თამაზის ასული (ფილოლოგიის სპეც.)
4. მაკარიძე ია აკაკის ასული (ფილოლოგიის სპეც.)
5. ქუქჩიშვილი მათა გიორგის ასული (ფილოლოგიის სპეც)
6. შეშაბერიძე ნონა რეზოს ასული (ისტორიის სპეც.)
7. ლომსაძე მალხაზ (ეკონომიკის სპეც.)
8. ზედგინიძე გიული (ფილოლოგიის სპეც.)“

ამ ტიპის დახმარება, ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში, არ ატარებდა ერთჯერად ხასიათს. ბევრ სტუდენტს, ვისთვისაც ვერ მოხერხდა შესაბამისი მხარში დგომა 1990 წელს, 1991 წლის დასაწყისშივე მივეციით დახმარებები. 1991 წლის 26 იანვრის ბრძანება №89 გვამცნობს:

„მიეცეთ ერთდროული დახმარება 40 მანეთის ოდენობით სტიპენდიის ფონდიდან შემდეგ სტუდენტებს:

1. ირმა ტარიელის ასულ სანდროშვილს – ეკონომიკის სპეც.
2. მიხეილ იუზას ძე კაპანაძეს – ეკონომიკის სპეც.
3. ტარიელ ზურაბის ძე გულიაშვილს – ეკონომიკის სპეც.
4. ნანი არჩილის ასულს გოგოლაძეს – ეკონომიკის სპეც.
5. ზურაბ ლადოს ძე ვაჭარაძეს – ეკონომიკის სპეც.
6. კობა ტარიელის ძე სანდროშვილს – ეკონომიკის სპეც.
7. ირმა დავითის ასულს ქიმაძე – ფილოლოგიის სპეც.
8. მანანა ჟორჟიკის ასულს გოგოლაძეს – ფილოლოგიის სპეც.
9. ირმა გენადის ასულს ხუციშვილს – ფილოლოგიის სპეც.
10. იანა ვიქტორის ასულს ხუციშვილს – ფილოლოგიის სპეც.
11. ლიდა ნოდარის ასულ ტალახაძეს – ფილოლოგიის სპეც.

12. ნადიმ მევლუდის ძე ბოლქვაძეს – ისტორიის სპეც.

13. ირინა რომანის ასულ სვანიევს – ფილოლოგიის სპეც.

14. ეკატერინე ელგუჯას ასულს გორგოძეს – ფილოლოგიის სპეც.“

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს მაშინ გადადგმული ნაბიჯის სისწორე. ზემოთ მოხმობილი დოკუმენტებიდან კიდევ ერთი პოზიტიური შედეგი იკვეთება. ბევრი მაშინდელი პირველ-კურსელი სტუდენტი დღეს წარმატებული მოქალაქეა და ემსახურება თავის ქვეყანას. რომ არა ამ ტიპის მხარში დგომა ჩვენი უნივერსიტეტისა, შეიძლება გასჭირვებოდათ მათ ამ წარმატების მიღწევა.

დახმარების განევას მოვუძებნეთ იურიდიული საფუძველი.

ამით ვლებულობდით პირად პასუხისმგებლობას პირველ რიგში, რადგან ეს ხდებოდა ფილიალის დირექტორის ხელმოწერით, მაგრამ ამასთან ერთად საჭირო იყო სტუდენტის განცხადება, სასწავლო ნაწილის წარდგინება და პროფკომიტეტის თავმჯდომარის შუამდგომლობა.

დღევანდელი საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრის, კომპიუტერული გამოცდებისა და ფართო ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში ბევრს შეიძლება გაუკვირდეს 1990 წლის სასემესტრო გამოცდების ბრძანებაში დასმული საკითხები, მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ ბევრი რამ დღესაც არის აქტუალური. თვალში საცემია ისიც, რომ საფუძველი ეყრება საუნივერსიტეტო გამოცდების ახალ ტრადიციას. კარგად ჩანს სწავლის (სწავლების) სისტემური ხასიათის ცვლილება. ეს ბრძანება ისტორიის ნაწილია, რომელიც ასახავს მაშინდელ საგამოცდო სისტემას და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, ამიტომ მოვიყვანთ მთლიანად (ბრძანება №80. 14 დეკემბერი, 1990 წ.):

„1. ლექცია სემინარები დამთავრდეს ამ წლის 25 დეკემბერს.

2. საგნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ჩათვლები, უნდა ჩატარდეს 10-25 დეკემბერს.

3. დაევალოს თსუ. ახალციხის ფილიალის სასწავლო ნაწილს: მდივნებმა დროულად მოამზადონ გამოცდებისა და ჩათვლების უწყისები, შეამოწმონ გაცემული ჩათვლის წიგნაკები.

4. არ დაუშვან სტუდენტები ჩათვლასა თუ გამოცდაზე ჩათვლის წიგნაკის გარეშე.

5. სტუდენტი ჩათვლაზე ან გამოცდაზე გამოუცხადებლობის გამო, წარმოადგენს ცნობას, ამ შემთხვევაში სტუდენტს უწყისში უფორმდება „არ გამოცხადდა“. ხელახალი უწყისის გაცემის საკითხს წყვეტს დირექცია ან კათედრა.

6. სტუდენტმა ყოველგვარი ჩათვლა თუ გამოცდა უნდა ჩააბაროს 1991 წლის 25 იანვრამდე, ამასთანავე ორი ან მეტი ჩათვლის დარჩენის შემთხვევაში სტუდენტი გამოცდებზე არ დაიშვება.

7. მასწავლებელი ვალდებულია, გამოცხადდეს უნივერსიტეტში დანიშნულ დღეს.

8. გამოცდებისა და ჩათვლების პერიოდში გახანგრძლივდეს ბიბლიოთეკის მუშაობა.

9. კათედრთა ლაბორანტები ვალდებული არიან, დაიცვან მუშაობის გრაფიკი.

დაევალოს სამნეო ნაწილს:

1. დროზე მოამარაგოს კაბინეტ-აუდიტორიები დაფებით, ცარცით და სხვა სასწავლო ინვენტარით.

2. დიდი ყურადღება დაუთმოს აუდიტორიებში სისუფთავის დაცვას და გათბობას.

3. გამოცდების პერიოდში სასწავლო კორპუსში შეშვება მოხდეს თანამშრომელთა პირადობის მონმობითა და სტუდენტის ბილეთით.

4. უზრუნველყოს სასადილოს ნორმალური ფუნქციონირება. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს თსუ ახალციხის ფილიალის დირექციას.“

თუ ამ ყველაფერს დღევანდელობას შევადარებთ, აღმოჩნდება რომ გამოცდებთან და სწავლასთან დაკავშირებული-ატრიბუტიკის დიდი ნაწილი ისტორიის კუთვნილება გამხდარა. დღევანდელ სტუდენტს აღარ სჭირდება **ჩათვლის წიგნაკი**, რომელიც მაშინდელი განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი იყო. ჩათვლის წიგნაკში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული ყველა ჩათვლა, ვიდრე გამოცდები დაიწყებოდა. გამოცდებზე სტუდენტს ვერ დავუშვებდით ჩათვლების არქონის შემთხვევაში. დღეისათვის ჩათვლები შეცვალა სწავლის შუალედურმა პერიოდმა, შეფასბამ,

თავისი შუალედური გამოცდით. დღეს შეფასების მექანიზმი გართულებულია, მაგრამ მეტი თავისუფლება აქვთ სტუდენტსაც და პროფესორსაც, თუმცა გამოკვეთილად, კატეგორიულად ვერ ვიტყვით, რომ უკეთესად გავდივართ შედეგზე, ვიდრე ჩათვლის წიგნაკისა და ჩათვლების არსებობის დროს. ჩათვლის წიგნაკში აისახებოდა გამოცდებიც, რაც დასტურდებოდა პროფესორის ხელმოწერით. ვფიქრობთ ლექტორის პასუხისმგებლობა მეტი იყო მაშინ, ვიდრე დღეს ელექტრონული გამოცდების პირობებში. გამოცდების თანამედროვე სისტემამ დააშორა ერთმანეთს სტუდენტი და პროფესორი. საგამოცდო ცენტრი, რომელიც შუალედურ რგოლად იქცა სტუდენტსა და ლექტორს შორის, ბევრ პრობლემას წაანყდა. რაც მთავარია, შედეგი ადვილად იკარგება და მასზე პასუხისმგებლობა რამდენიმე ობიექტზე ნაწილდება, რაც საბოლოოდ უარყოფით ეფექტს იძლევა. ამიტომაცაა, რომ ადვილად მოჭამა დრო დღევანდელმა შუალედურმა რგოლმა. გაჩნდა ზეპირი გამოცდის აუცილებლობა. ჩათვლის წიგნაკის პერიოდში გამიჯნული იყო ზეპირი და წერიტი ჩათვლები და გამოცდები.

დღევანდელობამ აქტიურად დააყენა ზეპირი და წერიტი გამოცდების პრობლემა, ამიტომ გაჩნდა შერეული (ზეპირი, წერიტი) გამოცდის აუცილებლობა ერთდროულად, რასაც გარკვეული რისკები ახლავს.

აღარ არის საჭირო სტუდენტური ბილეთის ქონა დღეს. აღარავის აქვს ეს დოკუმენტი, რადგან დაიკარგა და აღარ არსებობს ის უპირატესობა, რასაც სტუდენტს ანიჭებდა დოკუმენტი. ჯერ ერთი, იმდენად ადვილია სტუდენტად გახდომა და იმდენი უნივერსიტეტი, რომ თავისთავად სტუდენტობა აღარ არის საზოგადოების აქტუალური ნაწილი, იგი იქცა პრაგმატულ ნაწილად. სტუდებილეთმა აზრი დაკარგა იმიტომაც, რომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს დღეს ნებისმიერი მსგავსი დოკუმენტის შექმნა. ალბათ ირონიის მომგვრელია ბრძანების ის პუნქტი, რომელიც გვამცნობს, რომ „გამოცდების პერიოდში სასწავლო კორპუსში შეშვება მოხდეს თანამშრომელთა **პირადობის მონმობითა და სტუდენტის ბილეთით**“, რადგან სტუდენტი თავისუფალია ლექციაზე დასწრებიდან, გამოცდებიდან, ყველაფრიდან. მისი თავისუფლება იზღუდება, თუ რამეს დაავალდებულებს. რაც შეეხება

თანამშრომელთა „შეშვებას“, მათი დაფიქსირება ხდება ელექტრო-  
ნულად, სპეციალურ ლილაკზე თითის დაჭერით. შესაბამისად  
მოხსნილია შეშვება-არშეშვების გამაკონტროლებელი კარისკაცი.  
დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს ავტორიტარული  
ინფრასტრუქტურის, იდეოლოგიის მაშინდელი სახე თავისი ავითა  
და კარგით. ნებისმიერი თავისუფლების ბოლო უფრო მკაცრი  
კონტროლია. მოსალოდნელია ბევრი რამის გამკაცრება სამო-  
მავლოდ.

დღევანდელი უნივერსიტეტის კაბინეტ – ლაბორატორიები  
შესაბამისი დონისაა და სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა  
თანამედროვე უნივერსიტეტის შექმნა. საკმაოდ სერიოზული  
ინფრასტრუქტურა აქვს უნივერსიტეტს თავისი დანახარჯებითა  
და შემოსავლებით. 1990 წელს, როდესაც ყველაფერს მიმართუ-  
ლება ეძლეოდა და ძიების პროცესში ვიყავით, ხანდახან ცარცის  
საკითხიც ბრძანების ობიექტი შეიძლება გამხდარიყო. კედლების  
დაფად გამოყენების დროც უნდა წასულიყო. ამიტომ ისტორიული  
მნიშვნელობა აქვს ბრძანების იმ მუხლს, რომელიც სამნეო ნაწილს  
ეხებოდა.

„დროზე მოამარაგოს კაბინეტ-აუდიტორიები დაფებით, ცარ-  
ცით და სხვა სასწავლო ინვენტარით.

1990 წელს დაედო ზღვარი სემესტრს, რომლის დაწყებაც საკ-  
მაოდ დაგვიანდა და დღევანდლამდე, მიუხედავად ყოველწლიური  
დადგენილებისა თუ გადაწყვეტილებებისა, სემესტრი სწორედ ამ  
დროს მთავრდება: „ლექცია-სემინარები დამთავრდეს ამ წლის 25  
დეკემბერს“.

მეცენატობა, კულტურული თუ მეცნიერული საქმისადმი დახ-  
მარება, მხარში დგომა მაინცდამაინც არ მოსწონთ ადამიანებს.  
პირველ როგში ფულის პატრონს უნდა ესმოდეს იმ საქმის  
მნიშვნელობა, რომელსაც ეხმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში  
გამორიცხულია ფულის გაღება. ფილიალის უსახურ შენობას დიდი  
თანხები სჭირდებოდა. სახელმწიფო დონეზე ამ საქმის მოგვარე-  
ბას, როგორც უკვე აღინიშნა, ბევრი რამე უშლიდა ხელს. სპეცია-  
ლური წერილები, მიმართვები, თხოვნები და ა.შ. გარკვეულ  
რეზერვად ჩანდა. პირველ წელს აშკარა გახდა, რომ საზოგა-  
დოების დაინტერესება უნივერსიტეტის ცხოვრებით შეიძლებოდა,

ოლონდ ხალხს უნდა დაენახა სიახლესთან ერთად თავდადება მისი კოლექტივისა. **მაშინ არავის აზრად არ მოუვიდოდა, მაგალითად, რომ რაიმე სავაჭრო ობიექტი გაეხსნა უნივერსიტეტში თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე, უნივერსიტეტი ჩვენია!** – ამბობდა ახალციხე, ჩვენია! – სჯეროდათ სტუდენტებს, ლექტორებს, ამიტომ მასზე ზრუნვა ყველას ვალი უნდა გამხდარიყო. უნივერსიტეტზე ზრუნვა აერთიანებდა საზოგადოებას: სტუდენტობას, მათ მშობლებს, ინდივიდუალურ პირებს და ორგანიზაცია-დანესებულებებს. დღეს კარგად ჩანს მაშინდელი ერთიანობა. ამ მხრივ საინტერესოა ფილიალის თანამშრომელთა 1990 წლის 26 ოქტომბრის საერთო კრება, რომელზეც მთავარმა ბუღალტერმა **რუსუდან სტეფანიანმა** გამოიტანა საკითხი „თსუ ახალციხის ფილიალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ“. მოხსენება თან ერთვის საერთო კრების ოქმს ხელნაწერის სახით. მოვიყვანთ ამონარიდს დანართიდან:

„ფილიალის ფინანსური სიძნელების აღმოფხვრაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენმა სტუდენტებმა და ორგანიზაცია-დანესებულებებმა.

დღეისათვის მიმდინარე სპეცანგარიშზე ამ მიზნით გვერიცხება 71400 მანეთი. მათ შორის 10 900 მანეთი სტუდენტებმა, მათმა მშობლებმა და კერძო პირებმა შემოიტანეს, ხოლო 60,5 ათასი მანეთი ორგანიზაცია-დანესებულებებმა გადმორიცხეს.

1. სახ. დზღვევის ინსპექციამ – 2000 მანეთი.
2. ყოფ რემტექნიკის ქარხანამ – 2000
3. ახალქალაქის რუსთველის საზოგადოებამ – 2000
4. ახალციხის სავაჭრო ბაზამ – 1000
5. ტრიკოტაჟის სავაჭრო გაერთიანება „ოქსინო“. – 10,0 ათასი
6. კამვოლური დართვის ფაბრიკა – 2,0 ათასი
7. მაუდ-კამვოლის კომბინატი – 5,0 ათასი
8. სპეცდიზაინრემონტაჟი – 5.0 ათასი
9. ტრიკოტაჟის ს/გაერთ. „ბახტრიონი“ – 3,0 ათასი
10. საგალანტერიო ფაბრიკა „მარაბდა“ – 1,0 ათასი
11. ქიათურის სამკერვალო ფაბრიკა – 2,0 ათასი
12. მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკა – 25,0 ათასი

მა5.

13. კოოპერატივი „ტყის სიკეთე“ – 500 მანეთი.

14. ბლუაშვილი ბადრი 300 მან.

მადლობის მეტი მათ მიმართ რა გვეთქმის, ჩვენ კი ყოველ კაპიკს გავუფრთხილდებით და გავხარჯავთ მიზნობრივად ჩვენი ფილიალის საკეთილდღეოდ, რათა ჩვენმა სტუდენტმა ახალგაზრდობამ ლაღად და ბედნიერად იგრძნონ თავი ახალციხის ფილიალში.“

ლიაობა გუნდური მუშაობის მთავარი პრინციპია. როდესაც დაწესებულების რომელიმე რგოლი სხვებისგან დაფარულად, განხილვის გარეშე ცდილობს რაიმე ინიციატივის რეალიზებას, წარმატება ნაკლებად არის გარანტირებული. უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ საზოგადოებისადმი მისამართი ღია წერილი დირექციის სხდომაზე იქნა გატანილი. წერილი თან ერთვის ოქმს. წერილი ემოციურია და სწორედ ამითაც არის დასაფასებელი:

**ღია წერილი ახალციხის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ყველას ვისთვისაც ძვირფასია მესხეთის მომავალი**

თანამოქალაქნო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა თავისი სიტყვა უკვე თაქვა თქვენს წინაშე. უნივერსიტეტის სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალციხელია. ფილიალში მხოლოდ პირველ კურსზე ლექციას კითხულობდა 7 მეცნიერებათა დოქტორი და 13 მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენი სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეული ახალგაზრდები არიან.

უჭირს რესპუბლიკას, უჭირს თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ ახალციხის უნივერსიტეტს შესაფერისი სახე ჰქონდეს. გაჯანჯლებული რემონტი უსახსრობის შედეგია. მოგმართავთ ყველას, ერთად ავაშენოთ თსუ ახალციხის ფილიალი, მივცეთ მას თანამედროვე შენობის ფორმა. ყველაფერი წავა და ჩვენს შვილებს, შთამომავლობას დარჩება ცოდნის ტაძარი“. თსუ ახალციხის ფილიალის დირექციის სხდომის ოქმი №5. 1991 წლის 28 ივნისი.

ვფიქრობთ, აუცილებელია წარმოვადგინოთ იმ ადამიანთა სია, ვინც 1990 წელს, ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის წელს, შეუდგა

საუნივერსიტეტო ცხოვრების შექმნის რთულ გზას. ისინი არიან აკადემიური ნაწილის წარმომადგენლები, დოცენტები და პროფესორები, როგორც მაშინდელი ტერმინოლოგია გვამცნობს; ლაბორანტები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია, სამეურნეო, ტექნიკური პერსონალი და სხვა. მე თითოეული მათგანის მოსვლა მახსოვს, ჩვენი თანამშრომლობა ხომ საფილიალო ბრძანებით ფორმდებოდა.

ბევრი მათ შორის დღევანდლამდე იღწვის და მუშაობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბევრმა ცხოვრების სხვა გზა ნახა, ზოგი აღარც არის და წავიდა ამ ქვეყნიდან, სამაგიეროდ დატოვა თავისი კვალი ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

აი, ისინიც:

**მერაბ ბერიძე** – თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორი 1990 — 2005

თსუ ახალციხის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი

**ახესაძე ირმა** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მდივანი 1990 — 1993

**ათანელაშვილი არჩილ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი 1990 — 1994

**ანდრიაშვილი მერი** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1992

**ასპანიძე პავლე** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი 1990 — 1991

**აფრიდონიძე მალხაზ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1993

**ახალაშვილი მამუკა** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1992

**ახალკაცი ნიკოლოზ** – ისტორიის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი 1990 — 1997

**არბოლიშვილი ანზორ** – I კორპუსის კომენდანტი 2007 ზეინკალი 1990 — 2007

**აბრამიანი სედა** – დამლაგებელი 1990 — 2002

**ბაბუნაშვილი ხათუნა** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1992

**ბედნარსკი კარლო** – კარისკაცი 1990 — 1991

**ბერიძე ლევან** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1992

**ბერიძე ნანა** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2000

**ბერიძე ლალი** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2007

**ბერიძე მანანა** – თსუ ახალციხის ფილიალის კომპიუტერული ლაბორატორიის ლაბორანტი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2005

**ბლუაშვილი ლია** – თსუ ახალციხის ფილიალის საქმის-მწარმოებელი 1990 — 1991

**ბლუაშვილი მადონა** – თსუ ახალციხის ფილიალის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე 1990 — 2007

**გაგეშიძე ჯულიეტა** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2001

**გელაშვილი თამარ** – თსუ ახალციხის ფილიალის კომენდანტი 1990 — 1998

**გელაშვილი მარინა** – თსუ ახალციხის ფილიალის კადრების უფროსი ინსპექტორი 1990 — 1992

**გოგოლაური რომან** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის ლაბორანტი 1990 — 1991

**გოზალიშვილი ლილი** – თსუ ახალციხის ფილიალის კომპიუტერული ლაბორატორიის ლაბორანტი 1990 — 2006

**გრძელიშვილი ქეთინო** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2007

**გურგენიძე უშანგი** – თსუ ახალციხის ფილიალის კომპიუტერული ლაბორატორიის გამგე 1990 — 1997

**გრიგორიანი გრიგორ** – დურგალი 1990 — 1991

**ერეკლიშვილი ირაკლი** – კარისკაცი 1990 — 1991

**ვაშაკიძე სერგო** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი 1990 — 1991

**ვარდენოსიანი მარგარიტა** – დამლაგებელი 1990 — 1993

**ვაშაკიძე ზურაბ** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი 1990 — 1992

**ზაზაძე ეთერი** – თსუ ახალციხის ფილიალის ბიბლიოთეკარი 1990 — 2007

**ზაზაძე მარინა** – თსუ ახალციხის ფილიალის რადიო ინჟინერი 1990 — 1991

**ზედგინიძე გიული** – თსუ ახალციხის ფილიალის ბიბლიოთეკარი 1990 — 1991

**ზედგინიძე მაია** – თსუ ახალციხის ფილიალის ფიზ-აღზრდის მასწავლებელი 1990 — 1993

**ზედგინიძე მაია** – თსუ ახალციხის ფილიალის კლუბის გამგე 1990 — 1997

**თელიაშვილი სიმონ** – თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილე, სამეურნეო ნაწილის უფროსი 1990 — 1994

**თელიაშვილი სტეფანე** – აგრონომი 1990-1991

**ივანიძე ვასილ** – მეხანძრე 1990 — 1992

**ივანიძე ვენერა** – თსუ ახალციხის ფილიალის დისპეტჩერი 1990 — 1994

**ივანიძე მანანა** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1995

**ინასარიძე თამარ** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი 1990 — 1992

**ინასარიძე ლელა** – კომპიუტერული ლაბორატორიის ლაბორანტი 1990 — 2000

**ინასარიძე რაგულ** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1992

**კაკიტაძე კონსტანტინე** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, დოცენტი 1990 — 1998

**კაპანაძე რაისა** – დამლაგებელი 1990 — 1994

**კაჭკაჭიშვილი ნუნუ** – თსუ ახალციხის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსი ლაბორანტი 1990 — 1991

**კედელაშვილი - გურგენიძე ლარისა** – თსუ ახალციხის ფილიალის სტატისტიკოსი 1990 — 1995

**კვინიკაძე გიორგი** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის კათედრის გამგე 1990 — 1991

**კიკაჩიშვილი თენგიზ** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი 1990 — 1993

**კუტალაძე გურამ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2000

**ლაზარაშვილი მარო** – დამლაგებელი 1997 — 2000, მეეზოვე 1990 — 1994

**ლომინაშვილი ნანა** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი 1990 — დღემდე

**ლომიძე ლიდა** – დამლაგებელი 1990 — დღემდე

**ლომიძე ლუიზა** – დამლაგებელი 1990 — 1993

**მელიქიძე სერგო** – თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში 1990 – 2005

თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი

**მელიქიძე გურამ** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი 1990 — 1991

**მთვარელიძე ივანე** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1991

**მიქელაძე ნუნუ** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2004

**მოთიაშვილი გიორგი** – სანტექნიკოსი 1990 — 1992

**მჟავანაძე მზევინარ** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2000

**მშვიდლობაძე ევგენი** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1991

**ნადირაძე სიმონ** – ცეცხლფარეში 1990 — 1991

**ნათენაძე ნიკოლოზ** – კარისკაცი 1990 — 1993

**ნარიმანიშვილი ეთერ** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი 1990 — 1999

**პაპუაშვილი ნუგზარ** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1991

**ჟღენტო თინა** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1994

**სალაღია ქეთევან** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი 1990 — 2007

**სტეფანიანი რუსუდან** – თსუ ახალციხის ფილიალის მთავარი ბუღალტერი 1990 — 2007

**ტაბატაძე ხვიჩა** – კომენდანტი 1990 — 1997

**ფეიქრიშვილი ფიქრია** – თსუ ახალციხის ფილიალის ბიბლიოთეკარი 1990 — 1993

**ფირანიშვილი ზაზა** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1994

**ფუტყარაძე ტარიელ** – თსუ ახალციხის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე 1990 — 1991

**ქიქოძე ზაალ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1993

**ქურასბედიანი გულქან** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი 1990 — 1991

**ლამბაშიძე ოთარ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი – 1990 – 1995

**ყულიჯანიშვილი აკაკი** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1996 ფაკულტეტის პროფესორი 1990 — 1995

**შაყულაშვილი ამალია** – თსუ ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2007

**შეშაბერიძე პაატა** – სანყოფის გამგე 1990 — 1997

**შეშაბერიძე ცარო** – თსუ ახალციხის ფილიალის მოლარე-მონაგარიშე 1990 — 2006

**შიოლაშვილი გოჩა** – მუშა 1990 — 1992

**ჩაფიძე ნელი** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1991

**ჩერქეზიშვილი გიორგი** – დარაჯი 1990 — 1991

**ჩილინგარიშვილი სიმონ** – ცეცხლფარეში 1990 — 1991

**ცისკარიძე ნაზი** – თსუ ახალციხის ფილიალის მდივან-მემანქანე 1990 — 1998

**ცხოვრებაშვილი გურამ** – მძღოლი 1990 — 1997

**ნიქარიძე სპარტაკ** – თსუ ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1993

**წერეთელი გალინა** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990

**ჭყონია ლალი** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1993

**ხმალაძე ვარლამ** – თსუ ახალციხის ფილიალის ფიზ-აღზრდის მასწავლებელი 1990 — 2007

**ხრუანოვსკაია ნარგიზა** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1993

**ხუციშვილი მარინე** – თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 1999

**ჯანოვა გულიკო** – თსუ ახალციხის ფილიალის უცხო ენათა ფაკულტეტის მასწავლებელი 1990 — 2007

**ჯაფარიძე ნუნუ** – თსუ ახალციხის ფილიალის მდივან-მემანქანე 1990 — 2004

**ჯინჭველაძე ნაირა** – დამლაგებელი 1990 — 1995

# პოეზია

## ეკა ბაქრაძე

\*\*\*

გზის გასაყართან ბავშვობა იცდის,  
თითქოს ჩაუმქრალ კოცონს ვეღვლები.  
იცის ბავშვობამ, მხოლოდ მან იცის,  
რატომ ეძებენ ხელებს ხელები.  
ვერ გამოვედი მონუსხულ წრიდან,  
ჯერ ისევ ახალ როლს ვიზეპირებ,  
მე, სიყვარულის სახელით მსჯიდა  
დრო... დაამსხვრევედა სულში ჯებირებს...  
გამოგონილი აკვარიუმის  
ბუტაფორიებს ვაბნევედი მძივებს  
და მცდიდა ბედის მილენიუმი -  
განაჩენივით მჩატე და მძიმე!  
გზაჯვარედინზე ბავშვობა სახლობს,  
ხელში მომწყვდეულ თოვლის გუნდებით...  
და, შორიახლოს, ბედის გაკრული  
ხელნაწერების წაშლას ვუნდებით!..  
შენ ისევ შენ ხარ... მაოცებ, ისევ,  
გიდგას მკათათვე საჭირნახულო,  
ცხოვრება, ავი ძალღივით, გვისევეს  
ეჭვებს და... წარსულს სიზმრად ვნახულობთ...  
რას მკარნახობდა ქალური ალლო,  
პატარა გოგოს უმანკო ვნებით...  
სულში ყინულის ნამსხვრევეებს ვალობ  
და ბუნიობის ზენიტში ვდგები!!!

**„შენ მოგაყარეს მინა ბელტებად, გულზე ვარდსაც რომ  
არ იკარებდი“**

ასე, ანაზდად, თვალდაშრეტილი,  
გააჩხაკუნებს ოთახში ჩამრთველს,  
შემდეგ, შეძრული უცხო სინათლით,  
ისევ წყვიდადის მორევში ჩათვლემს...  
ასე, თანდათან, მიმწუხრი მოვა,  
უფრორე - ჟამი თავანყვეტილი...  
და უპასუხო კითხვების გროვას  
დაებჯინება მრავალწერტილი...  
როგორც ეს გული - სისხლდანრეტილი,  
ძლივს მოფართხალე მკერდის არეში, -  
ესეც ცაშია გადანყვეტილი,  
ჩვენს გაჩენამდე და ჩვენ გარეშე...  
ასე, ანაზდად, ასე ჯიუტად  
მიიკვლევს სავალს, ბნელში, უჩინო,  
სულს ყოველისშემძლე უფალს მიუტანს, -  
ხორცი სვავეებს რომ გადაურჩინოს!..

\*\*\*

ხელს თუ გაგიშვებ,  
დაგერქმევა განვლილი,  
უკვე ნამიერი,  
წარსულის მკვიდრი,  
არავის უკვირს,  
რატომა ვარ  
ასეთი მშვიდი...  
შენ ხომ ყოველთვის  
დროითა და მანძილით  
მღლიდი...  
ჩვენს შორის,  
სივრცე, მხოლოდ დროა,

რომელიც მიდის...  
არც დასაბამი,  
არც დასასრული,  
მხოლოდ წარსული...  
ზღვარგადასული  
სიცარიელით  
გავსებული დასალიერი,  
არტახებს შუა  
გაფენილი  
თეთრი მანდილი,  
თვალს და ხელს შუა  
გაფრენილი

დრო და მანძილი...  
ღვიძილი, ძილი,  
დროის უფსკრულის  
უფსკერო ძირი,  
დანალმული  
წამზომით, ხიდი! -  
არავის გიკვირთ,  
რატომა ვარ  
ასეთი მშვიდი!..  
მთვარის ფაზები...  
ბუნდოვანი  
ბრტყელი ფრაზები,  
მზეზე ლაქები, -  
შეეყარა ცას ბატონები...  
ციხე-კოშკები, დარბაზები  
და ქალაქები -  
არაფრის მთქმელი,  
სიყალბეთა მარათონები...  
ღამის პალიტრა,  
მიმქრალ სხივთა  
ვერცხლის ფერები,  
მარადიულად აპყრობილი  
ცისკენ ხელები...  
მე ამ ხელებით  
ეკლებს ვგლეჯდი,  
სალ კლდეებს ვფშვნიდი...  
მაინც არ გიკვირთ,  
რატომა ვარ  
ასეთი მშვიდი!.  
წარსული გაქრა,  
მომავალი  
არა ჩანს ჯერაც,  
მარადისობის  
ერთი წამი  
მე ისევ მჯერა...

აისბერგივით,  
დამსხვრეული  
მრისხანე ტალღა  
რა უცებ გალღვა...  
ადამიანმა ბუნება  
წარყვნა, -  
ახლოა წარღვნა!..  
და ტვინში ურჩად  
ამოძრავდა  
დროის ქანქარა,  
უდროობაში გაყინული  
კი არ გამქრალა, -  
შეჩერდა,  
ჩემში ჩაიკარგა...  
და დრო დაგუბდა,  
მარადიული  
კვლავ განივრცო,  
ისევ დაბრუნდა,  
რომ ნულოვანი  
ათვლის წერტილი  
აღმომეჩინა  
დროის რაფაზე,  
მე კი, ის კარი  
გამოკეტილი,  
კი არ გავადე -  
უფრო ჩავრაზე...  
რა დრო გასულა...  
გზის გასაყართან,  
ვინ იცის,  
როგორ შფოთავდა მოსე,  
ისიც, ვინც შეხსნა  
კარიბჭე სივრცეს  
და უსასრულოდ  
ამაღლდა დროზე...

სამყაროს ტანში  
გააჟრიალა,  
დროს გადაასწრო!  
დროს აუხირდა!  
მარტოდენ ბზა და  
დაფნა კი არა,  
ეკლის გვირგვინიც  
ძვირად უღირდა...  
წარსული გვაძლევს  
ჟამთგამძლე ფესვებს,  
მომავალი - ფრთებს  
და ფრენის უნარს,  
ცხოვრება ადგენს  
თამაშის წესებს  
და ჩვენს გარშემო  
სამყარო ბრუნავს...  
ან გვასწავლიდნენ, -  
უნდა ბრუნავდეს!  
უკუნისიდან უკუნისამდე,

დასაწყისიდან  
დასასრულამდე...  
ვიდრე დადგება  
მიმწუხრის ჟამი,  
გამოიყენე  
ის ერთი წამი!  
არ მკითხო ოლონდ,  
მე. რა მაბრუნებს  
დროის და სივრცის  
მონუსხულ წრეში? -  
რადგან დედა ვარ  
და ეს სამყარო  
ჩვილი ბავშვივით  
მიჭირავს ხელში...  
ეს მე ვარ,  
თავად სიცოცხლის ხიდი!  
ამიტომაც ვარ  
ასე თამამი,  
ასე უსაზღვროდ,  
უსაზმნოდ მშვიდი...

## **(„სად მიდის გული?“ – შემოგჩურჩულა დედამ, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე)**

„სად მიდის გული?“ - კითხულობს დედა,  
უიმედობას თვალებით ამხელს...  
ვერ ვბედავ, სადმე მივჩქმალო ელდა  
და, უნებურად, ვარიდებ სახეს...  
სად მიდის გული, რა ხდება ნეტავ,  
როცა განგება იმედებს გართმევს?!  
ეს, მერამდენედ, ჩურჩულებს დედა:  
„გარდაუვალის დათმენა გმართებს!“  
ცრემლივით წვეთავს დალლილ მკერდიდან

ჯიუტი სენი, ვით დედის ხსენი!  
ვაი, რა უცებ დამიბერდი და,  
ვერც სიბერისგან ვერ დაგიხსენი...  
ფერდაკარგული გული გაფრინდა  
დღემოკლე, უტყვი პეპელასავით,  
გამოქცეული ჩემი ზღაპრიდან  
და გაფრენილი ფრთების სავსავით...  
გული ბავშვივით დაგიჩნა გარეთ,  
მოურჩენელი ტკივილის მსგავსად,  
ვპასუხობ დედას: „ტკბილი და მწარე  
გული, არასდროს არ მიდის არსად!!!“

## თბილისი (ექსპროზტი)

მაინც სხვა არის,  
როცა თბილისი თბილისობს,  
როცა გული ხალისობს,  
როცა მთანმინდა  
შემოდგომის მზეს  
მიმინოსავით მკლავზე დაისვამს...  
მაინც სხვა არის,  
როცა მეტეხთან  
დედაქალაქი გულში გიკონებს,  
სიონის ახლოს  
უფლის ლოცვას და  
დედო ზარის ხმას  
რომ გაიგონებ...  
თბილისი ისევ თბილისქალაქობს,  
ისევ სავსეა მზით და ბარაქით,  
თბილისი - ჩემი სულის ალაგი,  
ჩემი ოცნების დედაქალაქი.  
მაინც სხვა არის,

როცა თბილისი თბილისობს,  
როცა გული ხალისობს,  
როცა მთანმინდა  
შემოდგომის მზეს  
მიმინოსავით მკლავზე დაისვამს...

\*\*\*

მარადიულს და წარმავალს შუა,  
ვით ზღაპრის გმირებს, გვამანეიერებს -  
ნატეხი პურის გამხმარი ყუა  
გვყოფნის მოკვდავებს და მიწეიერებს ...  
მაგრამ გარშემო ბურუსი თუა, -  
ხანდახან, ვითომ მოვირგებთ იღბალს,  
მარადიულს და წარმავალს შუა  
შემოვიბურავთ შარმად და ნილბად  
სიტყვას... ისევ და ისევ, სიტყვებით  
ვანონასწორებთ გადახრილ პინას,  
ვიღაცამ უკვე ანონა სწორად...  
გრდემლივით, სიტყვაც  
გრგვინავს და გმინავს...  
მაგრამ, ვაი, რომ მეციხოვნეებს  
სათოფურებთან ღრმა ძილით ძინავთ!!!  
მარადიულს და წარმავალს შუა  
ვლოლნი იმედის გამომხმარ ყუას...

# პოეზია

## კლარა გელაშვილი

### არ დაიჯერო...

მინდა, დავირბინო შენი მთა-ველები,  
მინდა, მოგეფერო მესხეთო,  
უნდა მოვიძიო ჩემი ნაკვალევი,—  
თაფლის სანთლით უნდა ვეძებო!...  
მიდი, დამიძახე, მინდა ჩავაქსოვო,  
ფრთათეთრ გვირილებში ღიღილო,  
ცხრა მთას გადაგისვრი, აღარ გაგიკარებ,  
გულს შემოჩენილო ტკივილო!  
თითქოს მოგიძულე დედინაცვალივით,  
გტკივა, — სხვა სახატე ვინამე...  
ეს არ დაიჯერო, ჩემო საყუნეთო,  
ფეხი მე შენს მკერდზე ვისწავლე!  
როცა ავბორგდები, ძილი გამიტყდება,  
ვიცი, მონატრება მტანჯავს,  
მყისვე გეახლები და თავს გავიმართლებ,—  
ქალისბედია და, რა ვქნა?!

### ჩემი საუნჯე

ნეტავი რა მემართება, ნეტავ რა?...  
დღეს ქვიშხეთზე მემღერება დღედაღამ...  
დამავინწყდა თითქოს ჩემი მესხეთი,  
მაგრამ არა, დამითმია ვერცერთი!  
აქ, წმინდანის საუფლოში შრიალებს,  
ცაცხვი ამბობს, რაც არავის არ უთქვამს,  
აქ მგოსანთა სუნთქვა თავს დასტრიალებს  
ნინოს ჰანგით სუნთქვაშეკრულ განთიადს.

ნაბლის ჩრდილში შეყუყუელი წარსული,  
ჭადრის ხმლებქვეშ ჯვარნაწერი სამოთხე,  
გალაკტიონს ისევ უნდა მოვუხმო,  
რომ ლექსებით დასალიერს გამოგყვე...

ტატო მერანს მოაგელვებს ჭადრებში,  
აკაკის ცა აქაც ფირუზფერია,  
თუმცა, შოთას მოკაშკაშე ვარსკვლავი  
და ვარძია, ჩემთვის ყველაფერია!

## მისხეთი

აქ სულ სხვაგვარი ზეცაა,  
ფერი-კამკამა ლურჯი,  
დღეს მერამდენედ ვინატრე,-  
მემარჯვებოდეს ფუნჯი  
და კვლავ, ამ სულის ტილოზე,  
გავამუქებდი ფერებს,  
თავი არ მეგრძნო ეულად,  
იმის გარეშე, მერე...  
ანყურის ციხეს, ყოველთვის,  
ბრძოლის გარეშე ვიღებ,  
გავაბატონებ ბავშვობას,  
ხელს ვერ შებედავს ვინმე!  
წმინდა გიორგის საყდარში  
მე ყოველ ღამეს ვათევ,  
დედის თითებით შანდალზე  
მშვიდობის სურვილს ვანთებ...  
მაღლა, ქათქათა ღრუბლებში,  
ვგრძნობ, კვლავ ბავშვივით ვცურავ,-  
ამ ცის ქვეშ მინდა სიცოცხლე,  
კვლავ ამ ჰაერით ვსუნთქავ.

## ნერგები

გეოგრაფიის მასწავლებელი უცნაური კაცი იყო, — სათქმელს პირდაპირ და მარტივად არასოდეს ამბობდა. შორიდან მოუვლიდა, თითქოს ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა, ნელნელა გიახლოვდებოდა. მერე აზრებით დატვირთულ ხურჯინს გახსნიდა, იქიდან საგულდაგულოდ შეფუთულ კითხვას გამოუჩენდა თავს და პასუხს დაელოდებოდა. ხშირად ეს პასუხი კითხვასთან ერთად იყო გახვეული, — გამოცნობა არ გაგიჭირდებოდა. ჩვეულებრივ - კი თავი უნდა გემტვრია, რატომ თქვა ესო?

ერთხელ საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე გვესაუბრებოდა. კედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან მივიდა, ჯოხი თბილისს მიაბჯინა და თავების საყელოში ჩასაძვრენი კითხვა დაგვისვა: სულხან-საბამ პარიზამდე რომელი ქალაქები გაიარა და მათგან ქართველებისა რომელი იყო? იმ დროს ასეთი კითხვა პროვოკაციულადაც შეგეძლო ჩაგეთვალა, — რუსული ხიშტი საზღვრის იქით კი არა, იქამდე გახედვასაც გიკრძალავდა. შენ-კი ახლა უნდა გეთქვა, იმ „იქითში“ რომელი ქალაქი იყო ქართველებისა! სულის ამოუღებელი თავები შეგვითვალა და თვალეში ღიმილი გაუკრთა, — კარგი, მომავალ შეხვედრამდე გაარკვიეთ და მითხართო. — ჩვენც ერთდროულად გავითავისუფლეთ ფილტვები.

იელი ჯერ არ შეეყვითლებულიყო. შაშვებიც ჩუმად იყვნენ. ხეებში წვენი მოძრაობა საცაა დაიწყებოდა. მასწავლებელი რას გაუჩერდებოდა, დროის შესაფერისი და საფიქრალ-ასახსნელი გამოცანით არ გავენვალებინეთ! ზარის დარეკვამდე ცოტაღა რჩებოდა. საუბარი შეწყვიტა, წვერამოსასვლელებსა და ოდნავ მკერდ-დანჩეულებს საჭირბოროტო კითხვა გვითავაზა:

— რა არის აუცილებელი, ნერგმა რომ გაიხაროს? — სკამის საზურგეს მიეყრდნო და პასუხს დაელოდა. ერთი პირობა

ვიფიქრეთ, მახეს ხომ არ გვიგებსო, — გამოცანა უჩვეულოდ მარტივი და ადვილი გვეჩვენა. მერე გული გავიმაგრეთ და ერთდოულად შევეუტიეთ „მწვალებელს“. ზოგმა — კარგი მიწაო, ზოგმა — მორწყვაო და ატყდა ხმაური, — ერთმანეთს არ ვაცლიდით ბრძნული აზრების ამოფრქვევას. ის-კი მოთმინებით უცდიდა ვულკანის ჩაცხრომას. შემდეგ ფანჯრის შემშვენ ყვავილთან დადგა და ჩამომარცვლა:

— ნერგი რომ გაახაროს, ადამიანს აუცილებლად სჭირდება: — შეისვენა და მერე ჩამოთვლას შეუდგა, თან თითო „რამ“-ს შესაფერის ფრაზას მიადევნებდა.

— უფლის მადლი, — „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“;

— სიყვარული, — „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“;

— ერთგულება, — „არ დავინწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“;

— მოთმინება, — „მოთმინებითა შენითაო...“

— სამართლიანობა, — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“;

— სიკეთე, — „კარგი ქენი, ქვაზე დადე...“

— სიუხვე, — „უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“;

— განწყობა, — „დღე-მეხვალე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო“;

— აზროვნება, — „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია“;

— ცოდნა, — „ის ვიცი, რომ არ ვიცი!“

ყვავილს მოშორდა. სულდაღებულ სახეებს დააკვირდა. მერე მერხების შუა რიგთან შეყოვნდა. ჩემ გვერდით დადგა, თავზე ხელი გადამისვა და ბოლო აკორდით დაამთავრა:

— თქვენც ნერგები ხართ. გაიზრდებით და, თუ ეს ყველაფერი გექნებათ, საკუთარი ნერგების გაზრდა-გახარებასაც შეძლებთ! — სიტყვის დამთავრებისთანავე ზარის ხმა გაისმა. არავინ გატოკებულა. გასუსულები ვისხედით. მასწავლებელი მაგიდისკენ გატრიალდა, ჟურნალი და ჯოხი აიღო. მერე ღიმილი გადმოგვინიავა და ლოცვასავით მოგვეფერა:

— გაიხარეთ, ნერგებო!

მას მერე ოცი გაზაფხული გადმოვარდისფერდა. უკან დარჩა ცხრა აპრილის სისხლიანი ღამე, დამოუკიდებლობის აღდგენის სიხარულიანი ერთი წელი; რუსულ ხიმტებმომარჯვებულმა არქიფო-ედუარდ-გიორგიმ ახალი ორჯონიკიძეების, კიტოვან-სიგოვანების ხელით გაანაცარტუტა თავისუფლების სურნელი, მინაში ჩამარხა ხალხის საყვარელი პრეზიდენტი და მას მიაყოლა ენგურსიქეთი საქართველო.

ჩვენს „მწვალებელს“ გულმა უმტყუნა. სკოლის ოთხეულიდან - კი ორნი დავრჩით, მე და „თამადა“, — ერთი „ნერგი“ რუსულმა მოიერიშემ ტამიშთან ჩაამინა, მეორე — ავღანეთიდან ჩამოასვენეს. ყოველ ვარდობისთვის მათ საფლავებთან ვიკრიბებოდით. იქიდან „გენერლის“ ოჯახში პატარების მოსანახულებლად მივდიოდით.

იმ დღეს ათიოდე მეგობარ-ახლობელმა მოიყარა თავი. სუფრასთან ვისხედით, გადანარსულებულ ამბებს ვისხენებდით. „გენერლის“ მამას ნაფარეულიდან გულ-ღვიძლის გამთბობი ღვინო ჩამოეტანა. მისმა სურნელმა და ბავშვების ჟრიამულმა სევდიფერი ღრუბლები ჩრდილოეთის სტეპებში გადარეკა. „თამადამ“ ჯამი მოითხოვა, მთასავით წამოიმართა და ხსოვნის კიდობანის გასაღები ფრაზები წინ დაგვილაგა:

— ქება-დიდება: წინაპრებს, ქართველს რომ არ ავიწყდება; ქმარს, ვის საფლავზეც ცოლი მდულარე ცრემლებს დაანვეთებს; ქალს, ვისი საფლავიც ქმარს ახსენდება; დედამთილს, რძალი საფლავზე სანთელს რომ დაუნთებს; დედინაცვალს, გერი საფლავზე ყვავილებს რომ მიუტანს; აღმზრდელს, ვის სიტყვებსაც აღზრდილი არ ივიწყებს! — ყველაფერი ერთ ჯამში ჩაყარა და სულმოუთქმელად დაცალა.

აივნის კარები ღია იყო. ქუჩიდან ხმაური, შეძახილები შემოგვიერთდა, — უნივერსიტეტის სტუდენტები თავისუფლების მოედნისკენ მიემართებოდნენ, დროშები მალლა ეჭირათ და ხმაშენყობით დაიქუხებდნენ-ხოლმე: სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! მომეჩვენა, აივანზე თითქოს ჩვენი „მწვალებელი“ იდგა, ახალგაზრდებს სიყვარულისფერი მზერით მიაცილებდა, თან ლოცვასავით მიადევნებდა:

— გაიხარეთ, ნერგებო!

# თარგმანი

ხოსრო შაჰანი (ირანი, 1930 - 2002)



## „სასელმნიშო ნაგავი“

იმხანად ჩვენი სახლი მთავარი გზიდან განშტოებულ ერთ მიგდებულ ქუჩაზე მდებარეობდა და ამ ვინრო, მიყრუებულ შესახვევში დაახლოებით თოთხმეტი-თხუთმეტი ოჯახი ცხოვრობდა.

იმ ქუჩაზე ჩემს გადასახლებამდე, არ ვიცი, რა მიზეზით, ქუჩის შუაგული ნაგავსაყრელად იყო ქცეული და მეზობლებს ყოველ დილით, თითქოს რაღაც მოვალეობით პირი შეუკრავთო, თითო ვედრით ნაგავი და საოჯახო ნარჩენები მოჰქონდათ და სანაგვედ-ქცეულ ადგილზე ყრიდნენ. ჩვენი უბნის მეზოვესაც მოეძებნა იქამდე მოკლე გზა და იმავეს აკეთებდა, რასაც ხსენებული მეზობლები - სადაც კი რამე ნაგავს და ნაყარ-ნუყარ საგნებს შეაგროვებდა, ურიკით მოჰქონდა და ჩვენი ქუჩის ნაგავსაყრელზე ახვავებდა.

ერთი-ორჯერ მეზობლებს ვკითხე: „თქვენს ნაგავს და ნარჩენებს შუა ქუჩაში რატომ ყრით-მეთქი?“

მიპასუხეს: „ყველა ყრის და ჩვენც ვყრითო“.

უბნის მეზოვესაც ვკითხე: „შენ რაღად აგროვებ ნაგავს სხვა უბნებში და ჩვენს ქუჩაზე რატომ მოგაქვს?“

ასე მითხრა: „ჩვენ დავალებული გვაქვს, რომ ნაგავი ერთ ადგილზე დავაგროვოთ... მერე ქალაქის მმართველობის მანქანა მოვა და წაიღებს“.

ჰოდა, წავედი და ქალაქის მმართველობის შესაბამისი უბნის განყოფილებაში განვაცხადე:

„ჩვენი ქუჩა ნამდვილ ნაგავსაყრელად არის ქცეული, ხალხის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია, გაცვით განკარგულება, რომ ყველა სიბინძურე იქიდან მოაშორონ და ქუჩის მცხოვრებლებიც გააფრთხილეთ, რომ იქ ნაგავი აღარ დაყარონ“.

ასე მიპასუხეს: „ამ საქმეს თავისი წესი და რიგი გააჩნია და აკრძალულია თვითნებურად ამ ნაგვის გატანა. ჯერ უნდა სააუქციონო განაცხადი გავაკეთოთ, მერე სამჯერ გამოვაქვეყნოთ ეს განაცხადი მრავალტირაჟიან გაზეთში და თქვენი ქუჩის საყოფაცხოვრებო ნარჩენებში ვინც ყველაზე მეტ თანხას გადაიხდის, მას მივეციდითო ნაგავს“.

მომეჩვენა, რომ ასეთი პასუხით სურდათ დაუყოვნებლივ თავიდან მოეშორებინათ ჩემი მსგავსი მთხოვნელი და ესლა ვუთხარი:

„კარგი, მაგრამ სანამ აუქციონოს განაცხადება დაიბეჭდება, უკიდურეს შემთხვევაში იმაზე მაინც იზრუნეთ, რომ ნაგვის გროვა და სიბინძურე სიგრძე-სიგანეში აღარ გაიზარდოს“.

მათი პასუხი იყო: „ჩვენ უფლება არ გვაქვს, სახელმწიფოს შემოსავლების ზრდას ხელი შევუშალოთ“.

მუნიციპალიტეტიდან წამოვედი და რამდენიმე დღე სულ კბილების კრაჭუნით ვიკავებდი დუმილს. საუბედუროდ, ჩვენი სახლი ქუჩის ბოლოში იყო და არანაირი არჩევანი არ მქონდა საიმისოდ, რომ სხვა გზით მევლო და ამიტომაც დღეში რამდენჯერმე ჩავუვლიდი ხოლმე გვერდს ამ ნაგავსაყრელს, სადაც საჭმლის ნარჩენებზე დაგეშილი მანანწალა ძაღლები და აუტანელი ბუზები მიმაცილებდნენ აქეთ-იქით; დამიჯერებთ, ალბათ, რომ ყოველთვის როცა იქ ჩავივლიდი, ნახევარ სიცოცხლეს ვკარგავდი და გულისრევის და თავბრუსხვევის შეგრძნებით ვიტანჯებოდი. ერთხელაც წავედი, საღებავები და ფუნჯი ვიყიდე და შუა ქუჩაში ნაგავსაყრელის თავზე კედელს წავანერე: „დაიწყელოს იმის დედამა, ვინც აქ ნაგავი დაყაროს და აქაურობა დააბინძუროს“.

მაგრამ არც ამ საშუალებამ გაჭრა, რადგან ღამით ქუჩის ბიჭები მოვიდნენ, კედელს კიბე მიადგეს და „დაყაროს“ გადააკეთეს ასე - „არ დაყაროს“, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ იმ დღის შემდეგ სხვა ქუჩების მცხოვრებლებმაც გაიგეს, რომ ნაგავი სწორედ იქ უნდა დაყარონ და „კეთილშობილურ საქმეში“ წვლილის შესატანად ჩვენს ქუჩაზე მოდიოდნენ, თავისი ნაგავი მოჰქონდათ და ნაგავსაყრელის გროვას ზემოდან ამატებდნენ.

ერთი-ორჯერ ქუჩის ბინადრებს თავი მოვუყარე, შუა ქუჩაში ორატორის ტრიბუნა დავდგი, შევდექი მასზე და სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის ოფიციალური წარმომადგენელივით იქ შეკრებილი მეზობლებისთვის ქადაგება დავიწყე იმის შესახებ, რომ ნაგვის დაყრა შეიძლება ნაირგვარი სნეულებების გავრცელების მიზეზი გახდეს, მაგრამ არც ამან გამოიღო შედეგი და ნაგავსაყრელის სიგრძე-სიგანე დღითიდღე კიდევ უფრო მატულობდა.

ერთ დღეს იმ უბნის ასაკოვან და დარბაისელ მცხოვრებთა ნაწილი შევკრიბე და მივმართე:

- „მოდით, ფული შევავროვოთ, ნაგავმზიდი მანქანა და რამდენიმე მუშა დავიქირავოთ, ეს ნაგავი ქალაქარეთ გავატანინოთ და ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ ამ სიბინძურისგან.“

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს, ერთი ისე წავიდა, რომ ხმაც არ ამოუღია, მეორემ კი თავი გაიქნია და სინანულით მითხრა:

- „ბატონო ჩემო! ჩვენ იმ საქმეში არ ვერევიტ, რაც ჩვენ არ გვცხება. ეს ნაგავი სახელმწიფოს ეკუთვნის და მას პატრონი ჰყავს, ჩვენ ვერ გავბედავთ, რომ სახელმწიფო ქონებას ხელი ვახლოთ“.

მე სიტყვა გავანწყვეტინე:

- „როდიდან გახდა ნაგავი სახელმწიფოს კუთვნილება და ქონება?! სახელმწიფო თქვენ ნაგვის გამყიდველი გგონიათ, თუ რა?! ეს რანაირი ლაპარაკია?! ამ ნაგვის გროვამ ჩვენ ცხოვრება გაგვიმწარა, სახელმწიფოს იმის დრო ჯერ არ აქვს, რომ ეს ნარჩენები გაიტანოს და თუ ამ საქმეს ჩვენ მოვაბამათ თავს, მადლობასაც კი გვეტყვიან; ყველა საქმის გაკეთებას სახელმწიფოსგან ხომ არ უნდა ველოდეთ...“

მოხუცებმა ასე მიპასუხეს:

- „ჩვენ აუტკივარ თავს არ ავიტკივებთ და არც იმის დრო და ნებისყოფა გვაქვს, რომ სახელმწიფო ინსტანციებში კარდაკარ ვიაროთ და საქმე ვარკვიოთ; შენ მარტო თუ შეძლებ ამის მოგვარებას, წადი და მოაგვარე“.

მივხვდი, რომ მათ ვერაფრით დავიყოლიებდი და ვკითხე:

- „მე თუ მოვახერხებ ის, რომ ეს ნაგავი ამ ქუჩიდან გავატანინო, თქვენ მპირდებით, რომ აქაურობას აღარ დაანაგვიანებთ?“

დამთანხმდნენ:

- „თუ არავინ დაყრის, ჩვენც აღარ დავყრიით“.

ჰოდა, წავედი, ას თუმნად ნაგვის მანქანა და სამი-ოთხი მუშა დავიქირავე და ორიოდ საათში ქუჩაში ნაგვის ჭაჭანება აღარ იყო.... მერე იქაურობა დავაგვევინე, წყალიც მოასხურეს აქეთ-იქით და ჩვენმა ქუჩამ თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა; ქუჩის ბინადრებმაც როცა ნახეს, რომ გზა გასუფთავდა, აღარც ძაღლები დანანალებდნენ და აღარც კოლო-ბუზის სახსენებელი იყო სადმე, დიდად მადლიერნი დარჩნენ და მას შემდეგ, ღმერთი-რჯული, შუა ქუჩაში ნაგავი აღარავის დაუყრია.

\* \* \*

ამ ამბიდან ოციოდე დღის შემდეგ, სამსახურში რომ მივდიოდი, დავინახე ერთ სახლთან, ქუჩის შუა ნაწილში ვილაც ჩინოვნიკი იდგა და მეზობლის პატარა გოგოს ეკითხებოდა:

- „მაშ, ვინ გაიტანა აქედან ნაგავი?“

- „მე რა ვიცი, ვინ გაიტანა“ - უპასუხა გოგონამ.

მე ცნობისმოყვარეობამ დამძლია, გავჩერდი და ყური მივუგდე. ამასობაში ეზოს კართან გოგონას დედა მოვიდა და ჩინოვნიკს უთხრა:

- ღმერთმანი, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, უფროსო! რამდენიც არ ვუთხარით იმ ბატონს - „ნუ იზამ ამას“, ყურადღება არ მოგვაქცია - „თქვენი საქმე არ არისო“.

ჩინოვნიკმა წარბი შეიკრა და მრისხანედ იკითხა:

- „სად არის მისი სახლი?“

გოგონას დედამ კარის ჩარჩოდან თავი გამოყო, მზერით მიანიშნა ჩემი სახლისკენ და უპასუხა: - „აი იქ, ქუჩის ბოლოშია - მერე მეც დამინახა და კმაყოფილებით შესძახა:

- „აი, აქ რომ დგას, ეს კაცია“.

ჩინოვნიკმა სახე ჩემკენ შემოაბრუნა, მკაცრად შემომხედა და მკითხა:

- „აქედან ნაგავი თქვენ გაიტანეთ?“

მე დავეთანხმე: - „ღიახ-მეთქი“

ჩინოვნიკმა თავიდან ფეხებამდე ჩამათვალიერა და ისევ მკითხა:

- „ვისი ნებართვით?“

- „რა ნებართვა სჭირდებოდა ამას, ბატონო?! შუა ქუჩაში ნაგვის და სიბინძურის გროვა ეყარა... ჰოდა, მე ვუთხარი მუშებს და წაიღეს...“

- „სად წაიღეს?“

- „რა გითხრათ, აბა?! არ ვიცი...“

- „როგორ თუ რა მითხრა?! არ იცი, ნაგავი სად წაიღეს?“

- „მე საიდან უნდა ვიცოდე, უფროსო?! მძლოლმა წაიღო სადღაც...“

ჩინოვნიკმა დოინჯი შემოიყარა და დამიბღვირა:

- „რატომ ისულელებ თავს?! ხაზინის კუთვნილი ქონება მიიტაცე, სახელმწიფო ნაგავი წაიღე და გაყიდე... ფული ჯიბეში ჩაიჩხ-რიალე და ახლა მე აქ მასხარად მიგდებ?“

მომეჩვენა, რომ იმწუთს ან ის ჩინოვნიკი ვერ იყო თავის გონებაზე ან მე და მღელვარება ველარ შევიკავე:

- „ბატონო ჩემო! რატომ კადრულობთ ასეთი რამის თქმას?! რომელ სახელმწიფო ქონებაზე მელაპარაკებით?! რა გავყიდე?! მე თვითონ ასი თუმანი გადავიხადე ჩემი ჯიბიდან, რომ ნაგავი გაეტანათ და ქუჩა სუფთა ყოფილიყო...“

ჩინოვნიკმა ბლოკნოტი ამოიღო, მე ვინაობა გამომკითხა, საგულდაგულოდ ჩაინიშნა და წავიდა, მეც ჩემი სამსახურის გზას დავადექი.

\* \* \*

მეორე დღით ისევ ის ჩინოვნიკი დამადგა სახლში და ქალაქის სამმართველოში თავის უფროსთან წამიყვანა. ოთახში რომ შევედი, ის უფროსი ერთხანს რაღაც საბუთებს აწერდა ხელს, მერე თავი აწია, მე შემომხედა და ჩინოვნიკს გადაულაპარაკა:

- „ეს არის ის კაცი, ვინც სახელმწიფო ნაგავი მიითვისა და შეჭამა? ესაა?!“

მე ჩინოვნიკს არ დავაცალე პასუხის გაცემა და თავად ჩავეჭერი მათ საუბარს:

- „რას ბრძანებთ, ბატონო?! ვინ შეჭამა სახელმწიფო ნაგავი?! ნუთუ მე ვგავარ ნაგვისმჭამელ კაცს?!“

სახელმწიფო მოხელემ ჩაიღიმა და მითხრა:

- „არა, ნაგვის ჭამას მე თქვენ არ გაბრალებთ... აი, ნაგვის გაყიდვა და ნაშოვნი ფულის ჭამა და გაფლანგვა კი შეგიძლიათ... გთხოვთ დაბრძანდეთ“.

ჩამოვჯექი და თავაზიანად განვაგრძეთ საუბარი.

- „აბა, ახლა მომიყევით, სად წაიღეთ ის ნაგავი?“ - მკითხა დიდმა ჩინოვნიკმა.

- „გუშინ თქვენს ხელქვეითს უკვე ვუთხარი, რომ არ ვიცი სად წაიღეს ის ნაგავი; მხოლოდ ის ვიცი, რომ ასი თუმანი გადაუხადე მძღოლს და წაიღო...“

ჩემმა თანამოსაუბრემ სიგარეტს მოუკიდა, გააბოლა და მითხრა:

- „ის თუ იცოდით, რომ ეს საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ნაგავი სახელმწიფოს კუთვნილებაა და, ჩვენი სპეციალისტების გამოთვლების თანახმად, თქვენ შვიდი ათასი თუმანის ღირებულების სახელმწიფო ქონება უნებართვოდ გაყიდეთ? - და არ დამაცალა პასუხის გაცემა, ისე დამცეცხლა - ამას ჰქვია სახელმწიფო ქონების მიტაცება, ამას ჰქვია ხაზინის ქურდობა... ახლა გაიგეთ?“

უცებ ვიგრძენი. რომ საფეთქლები დამებერა, ტვინში სისხლი ამივარდა და ლამის გონება დავკარგე... „ანუ რა? - ვუთხარი საკუთარ თავს - რა ჩავიდინე ეს?! ხომ ვარ ახლა ღირსი სახელმწიფოს ქონების გაფლანგვისთვის დამიჭირონ და ციხეში ჩამსვან?“ - ბოლოს ბოდიშს მოხდით მივმართე მოხელეს:

- „ბატონო! იქნებ მითხრათ რას ვიმსახურებ ახლა ჩადენილი დანაშაულის გამო?“

- „რას და... ჩვენ გვაქვს კანონი... კოდექსი... პარაგრაფები...“

- „დიახ, დიახ... ვიცი...“

- „ჰოდა, 247856-ე მუხლის მესამე პარაგრაფის „ბე“ პუნქტის თანახმად, თქვენი საქციელი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ქონების უკანონო მითვისება.

- „რა ვქნა ახლა მე?! როგორ მოვიქცე, რა წყალში ჩავვარდე?!“

- დავინყე ნუნუნი, მაგრამ დიდმა ჩინოვნიკმა შემაჩერა და მითხრა:

- „ახლა შევავსებთ თქვენს მონაცემებს და საქმეს პროკურატურაში გადავგზავნით, მაშ!“

„ღმერთო, ჩემო! ეს რა ჩავიდინე?! რა ძალა მედგა, რომ სახელმწიფო ქონებას ხელი დავაკარე?!... ეს დაწყველილი ნაგავი და სიბინძურის გროვა წლების განმავლობაში იქ ეყარა და მე რატომ ჩავყავი ცხვირი იმაში, რაც ჩემი საქმე არ იყო?! რომელი ჩინოვნიკი ან რომელი მოსამართლე და უფლის მოციქული მე ვიყავი, რომ სხვებზე მეტად გამოვიდე თავი?! ეს რა ჩავიდინე?! რა ძალა მედგა...“.

ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოვიღე: - „ბატონო უფროსო! ახლა იქნებ ცოტა დრო მომცეთ, რომ სახელმწიფოსთვის განკუთვნილი ნაგვის ოდენობა სადმე მოვაგროვო და თავის ადგილზე დავაბრუნო?“

სახელმწიფო მოხელემ თვალები დამიბრიალა:

- „განა ყველა ნაგავი სახელმწიფო ნაგავია?! სახელმწიფო საქმე შენ ხუმრობა ხომ არ გგონია?!“

არც მე დავიხიე უკან:

- „ბატონო ჩემო! ასე ძალიან რატომ მედავებით? რა განსხვავებაა - ნაგავი ნაგავია..“

დიდმა ჩინოვნიკმა დამიღრიალა:

- „არავითარ შემთხვევაში! თუ შეგიძლია, ოცდაოთხი საათის განმავლობაში სწორედ ის საყოფაცხოვრებო ნარჩენები მოძებნეთ და თავის ადგილზე დააბრუნეთ, თუ არა და ვალდებული ვიქნები, თქვენი საქმე პროკურატურას გადავცე“.

ასე და ამრიგად გადაწყდა, რომ ხვალ ნაგავი უნდა დამებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურატურა წამიყენებდა ბრალს...

მუნიციპალიტეტის შენობიდან გამოვედი, სიგარეტი გავაბოლე და უმისამართოდ გავუყევი გზას, თავში კი ათასგვარი აზრი მიტრიალებდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მომეძებნა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან: „სახელმწიფო ნაგავი! რომ მცოდნოდა, იმ ნაგავს ასეთი პატრონი ჰყავდა, განა თითხ დავაკარებდი?! მე მეგონა, კეთილ საქმეს ჩავიდენდი, სისუფთავეს და ჰიგიენას დავიცავდი, ხალხსაც სამსახურს გავუწევდი და ქალაქის მმართველობასაც შევეშველებოდი ქალაქში წესრიგის დამყარებაში... რას ვიფიქრებდი, თუ ასე შემობრუნდებოდა საქმე?! იმ დღეს, როცა მუნიციპალიტეტში მითხრეს, რომ ნაგავი აუქციონზე უნდა გაიტანონ და გაზეთებში განცხადება გაავრცელონ ამ აუქციონის თაობაზე, ჩავთვალე, რომ მეხუმრებოდნენ, მაგრამ ვაი!... სახელმწიფოს მოხელეები თურმე არასოდეს ხუმრობენ...“

ამ ფიქრებით იმ გარაჟის გზას დავადექი, სადაც ოცი დღის წინ მანქანა დავიქირავე... მინდოდა იმ მანქანის მძღოლი მენახა და მეკითხა - სად წაიღო ჩვენი ქუჩიდან ის წყეული ნაგავი. იქ ჩემი ნაცნობი მძღოლის ამბავი რომ ვიკითხე, ასე მითხრეს: „ერთი კვირის წინ მას გარაჟის გამგესთან ჩხუბი მოუვიდა, სამსახურს თავი დაანება და ახლა სადღაც სამხრეთში საბარგო მანქანაზე მუშაობს, მაგრამ მისი მისამართი არავინ იცისო“.

დავბრუნდი ისევ სახლში იმ იმედით, რომ მეზობლები დამეხმარებოდნენ და პირველივე ნაცნობს მივადექი:

- „თუ გახსოვთ, ამ ოციოდე დღის წინ პატარა სამსახური გავუწიე ამ ჩვენს ქუჩას და აქ რომ ნაგავი ეყარა, ჩემი ხარჯით ქალაქგარეთ გავიტანიე...“

- „დიახ, დიახ - მიპასუხეს - ძალიან დიდი მადლობელი ვართ თქვენი და, როგორც ხედავთ, ჩვენც ვასრულებთ პირობას და ნაგავს იქ აღარ ვყრით“.

- „მეც მადლობელი ვარ თქვენი - ვუპასუხე - მაგრამ ახლა ერთი პრობლემა წარმოიშვა - სახელმწიფო ჩემგან ითხოვს თავისი კუთვნილი ნაგვის ადგილზე დაბრუნებას; იქნებ ახლა თქვენ დამეხმაროთ და ყველა ოჯახიდან ერთი-ორი ვედრო ნაგავი

გამოიტანოთ და მე მომცეთ, რომ წავილო და ისევ შუა ქუჩაში დავყარო და ამით ჩემს თავს რამე ვუშველო“.

ასე მითხრეს: - „ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ და პირობას ვერ დავარღვევთ“.

- „კარგი... კარგი.... მეც პატივს ვცემ თავისი სიტყვის პატრონ ხალხს, მაგრამ სახელმწიფო ახლა მხოლოდ შვიდი ათასი თუმნის ანაზღაურებას კი არ მედავება, არამედ დაპატიმრებასაც მიპირებენ; ამიტომაც ჩვენი მეგობრობის და მეზობლობის ხათრით გთხოვთ - ღვთის გულისთვის. თითო ვედრო ნაგავი მასესხეთ და ერთი კვირის შემდეგ უკლებლივ უკან ჩაგასესხებთ“.

ერთმა მეზობელმა ცხვირწინ კარი მომიჯახუნა და მითხრა: - „ჩვენ გასასესხებელი ზედმეტი ნაგავი არ გვაქვსო“, მეორე მეზობელმა ჭკუის დარიგება დამინყო: - „ტვინი უნდა გქონოდა და იმ საქმეში ცხვირი არ ჩაგეყო, რაც შენ არ გეხებოდა; შენ რა გგონია, ჩვენ ბრძელები ვიყავით და ვერ ვხედავდით ნაგავს?! მაგრამ ჩვენ კარგად გვესმოდათ, რაც მოჰყვებოდა ამ საქმეს... ჰოდა, შენ მოაბი ამ საქმეს თავი და შენვე აგე პასუხი...“

\* \* \*

„ღმერთო ჩემო! რა ვქნა?! იმდენი ნაგავი და ნარჩენები სად ვიშოვო, რომ შუა ქუჩა გავავსო?“ - ამ მწარე ფიქრებში ჩაძირულმა კითხვა-კითხვით მივაკვლიე ქალაქგარეთ ნაგავსაყრელს, იქ კი რამდენიმე ვაჭარი და გლეხი დავინახე, რომლებსაც ნაგავი და ნაკელი შეეგროვებინათ ნიადაგის გასანაყოფიერებლად და ბევრი ხვეწნის შემდეგ დავითანხმე ორმოცი თუმნის საფასურად დაეთმოთ ეს ნაგავი ჩემთვის; ავკიდე ეს ავლა-დიდება სახედარს და იმ სახედრის პატრონთან ერთად ჩვენი ქუჩისკენ წამოვედი... დავცალეთ ნაგავით სავსე ტომრები იქვე, სადაც ადრე სახელმწიფოს კუთვნილი სანაგვე იყო მოწყობილი და სახედარი თავისი პატრონიანად ჯერ თვალსაც არ იყო მიფარებული, რომ უცებ დავინახე ჩემსკენ მომავალი სათვალთან და ილღიაში პორტფელამოჩრილი კაცი, რომელიც გაჯგიმული ნაბიჯებით ჩემსკენ მოდიოდა და როგორც მომიახლოვდა, მაშინვე მრისხანედ მითხრა:

- რატომ აბინძურებ გარემოს, რას ყრი მანდ?!

- არაფერია, ბატონო! სახელმწიფო ნაგავს, რომელიც მე მოვიპარე, უკან ვაბრუნებ თავის ადგილზე.

- სახელმწიფო ნაგავი რა არის, კაცო?! - (არა, მან უფრო სხვა სიტყვებით დამახასიათა, რასაც აქ ვერ დავწერ) - შენ ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებ და არავინ იცის კიდეც რა ბნელი აზრები გაწუხებს და თანაც გინდა, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს გადააბრალო?!  
მეც ველარ შევიკავე სიბრაზისგან თავი და შეეყვირე: - „საერთოდ ვინ ხარ შენ, რომ ასე მელაპარაკები?!“

ასე მითხრა: - „მე ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი ინსპექტორი ვარ და მევალება. რომ გამოვავლინო ყველა ის პირი, ვინც ნაგავს ყრის ქუჩაში, დავაჯარიმო ისინი და მათი საქმე საგანგებო ორგანოებს გადავცე“.

„მგონი, მეორე შარში გავყავი თავი“ - გავიფიქრე, ინსპექტორმა კი მშვიდი ტონით განაგრძო: - „ახლა ეს ნაგავი ისევ იმ ტომრებში ჩაყარე, აჰკიდე სახედარს და წაილე იქ, საიდანაც მოიტანე; მერე მოხვალ ჩემთან სანიტარულ ინსპექციაში და იქ გავარკვევთ შენს ნამდვილ მიზანს და განზრახვას“.

ყელში ბურთი მომანვა, თვალები ცრემლით ამევსო და ინსპექტორს შევევედრე: - „ბატონო! ვაი ჩემს თავს... მხოლოდ ოცდაოთხი საათი მაქვს საიმისოდ, რომ ჩემ მიერ მოპარული სახელმწიფო ნაგავი მოვავროვო და ადგილზე დავაბრუნო და აგერ, უკვე ორმოცი თუმანი გადავიხადე აქ მოსატანად...“

ისევ დამიბღვირა: „-შენ მე ზღაპრებს ნუ მიყვები; არ მაინტერესებს, რამდენი გადაიხადე! სახეზე გატყობ, რომ შენ რალაც დივერსიული ორგანიზაციის წევრი ხარ და დავალებული გაქვს აქ ნაგვის დაყრით და მიკრობების გავრცელებით ადამიანებს შორის მწვავე ინფექციური დაავადებების გავრცელება გამოიწვიო; მე ვალდებული ვარ ეს ამბავი ვაცნობო შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და ისინი მიიღებენ შენს მიმართ ზომებს შენი დივერსიული და ძირგამომთხრელი ქმედებების გამო; ახლა კი აკრიფე ეს ნაგავი აქედან, ჩქარა!“

ჩემმა ხვეწნა-მუდარამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ინსპექტორმა იმ ნაგავ-ნაკელის მცირეოდენი ნაწილი ნიშუშის სახით ცხვირსახოცში გაახვია, რათა ლაბორატორიაში გაერკვიათ, თუ რა

სახის მიკრობებით ვაპირებდი ადამიანთა შორის ეპიდემიის გამონწვევას და მათი სიცოცხლის ხელყოფას... მერე მთელი ნაგავი ისევ ტომრებში ჩამაყრევინა და იმავე სახედრით წამალვინა იქ, საიდანაც მოვიტანე და ამაშიც დამატებით ორმოცდაათი თუმანი გადავიხადე... ბოლოს კი სანიტარული ინსპექციისკენ გაუუდექი გზას.



მხატვარი: **ლელა ფერაძე**

\* \* \*

სანიტარულ ინსპექციაში დამკითხეს და დაახლოებით 15-16 გვერდიანი საქმე შეკერეს იმის თაობაზე, რომ ნაგავს ვყრიდი ქუჩაში და ამით იქ მცხოვრებელთა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს ვუქმნიდი... და ხუთასი თუმნითაც დამაჯარიმეს! მერე ხსენებული ინსპექტორის მიერ წამოღებული ნიმუში საგულდაგულოდ შეფუთეს და შესაბამის ლაბორატორიაში შესასწავლად და დასკვნების გამოსატანად გადააგზავნეს... იქ უნდა გაერკვიათ, თუ რა სახის მიკრობებს შეიცავდა ჩემ მიერ დაყრილი ნაგავი და აქედან გამომდინარე რომელი ბანდის წვერი ვიყავი და რომელი უცხო სახელმწიფოს დავალებით ვახორციელებდი ჩემს ბაქტერიოლოგიურ დივერსიას და ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამასთან ერთად ჩამომართვეს ხელწერილი, რომ გამოძიების დამთავრებამდე ქალაქის ფარგლებს არ დავტოვებდი და არსად მივიმალებოდი.

ასე და ამრიგად, მივენდე ჩემს ბედისწერას, რადგან არც ის შემეძლო, რომ სახელმწიფო ნაგავი უკან დამებრუნებინა და არც იმდენი ფული მქონდა, რომ ვინმესთვის მიმეცა, მეთქვა - შევცდიმეთქი...

„არც უნდათ, ის ქნან! მე მეტი აღარ შემეძლია“ - ამ გადაწყვეტილებით წამოვედი სახლში.

\* \* \*

ამასობაში სამი მტანჯველი თვე გავიდა, რომლის აღწერაც ჩემს ძალებს აღემატება და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ერთი სახელმწიფო დანესებულება იკვლევდა იმას, თუ რა მიზნით მოვიპარე და შევჭამე მათი კუთვნილი ნაგავი, ანუ სად წავიღე, ვის მივყიდე და მერე სად დავაბანდე მიღებული თანხა და ამის გამო დამეკისრა შვიდი ათასი თუმანი ჯარიმის გადახდა... მეორე დანესებულება, ანუ სანიტარული ინსპექცია კი ადგენდა დოკუმენტაციას იმის გასარკვევად, თუ რა ბაქტერიოლოგიური იარაღით ვაპირებდი ნაირგვარ სნეულებათა გამოწვევას, რათა შემდეგ სხვა ორგანოებში გაერკვიათ ჩემი ჯაშუშობის საკითხი.

დიახ, სამი თვე გავიდა და საბოლოოდ ასეთი შედეგი მივიღე: შვიდი ათასი თუმანი ხომ გადავიხადე, ამას დაემატა ის, რომ

მთელი ჩემი ქონება აუქციონზე გაყიდეს და კიდევ სამი ათასი თუმნის გადახდა დამეკისრა ყოველთვიურად სახელმწიფოსთვის მიყენებული მორალურ-მატერიალური ზარალისთვის მანამ, სანამ საბოლოოდ არ დადგინდება, რომელი დივერსიული ჯგუფის წარმომადგენელი ვარ და რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებით ვმოქმედებდი.... ღმერთმა იცის, როდის გაარკვევენ ამას! ყველაზე აუტანელი კი ის არის, რომ ქუჩაში ჩემს დანახვაზე მეზობლები ჩემკენ იშვერენ ხელს და ერთმანეთს ეუბნებიან:

- „ერთი ამას შეხედეთ! 50 ათასი თუმნის სახელმწიფო ქონება მოიპარა და შეჭამა და ისე დადის, თითქოს არაფერი დაუშავებია... ნაბიჯის გადადგმაც რომ არ ეშლება?! ვინმემ რომ უთხრას, თვალსზევით შავი წარბი გაქვსო, ალბათ, გაბრაზდება კიდევ... ამას ჰქვია თალღითი კაცი! ასე უბრალოდ ნუ უყურებთ - რაც მინის ზემოთ ჩანს, სამი იმდენი ქვემოთაა....“

**ირანულიდან თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა**

# თარგმანი

## აკსელ ბაკუნცი

აკსელ ბაკუნცი დაიბადა გორისში 1899 წელს. გორისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1910 წელს ჩააბარა ეჩმიაძინის გეოგრაფიის სემინარიაში. მიიღო კარგი განათლება, გაიღრმავა ცოდნა სომხურ ლიტერატურაში. მან პედაგოგიური მუშაობა გააგრძელა ზანგეზურის რაიონის სოფელ ლორში. შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ხარკოვში. 1923 წელს მან დაამთავრა ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და დაბრუნდა თავის სამშობლოში—ზანგეზურში. დაიწყო მუშაობა აგრონომად.

1924 წელს გამოქვეყნდა „პროვინციული წერილები“, „ჩვენი სოფელი“, „წერილები სოფლიდან“, რომელმაც საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. შემდგომ წლებში დაიბეჭდა „მირჰავი“, „საუ“, „ალპური ია“ და სხვა.

აკსელ ბაკუნცი გარდაიცვალა 1937 წელს.



## ალპური ია

კაქავაბერთის თავი ღრუბლებითაა დაფარული. ციხის დაკბილული ზღუდეები იკარგება თეთრ ღრუბლებში, მხოლოდ შავია მაღალი კოშკები. შორიდან ნანგრევები არ ჩანს, თითქოსდა კოშკის თავზე მეთვალყურე დგას. დაკეტილია სასახლის რკინის კარი. კოშკის თავზე ვილაცა ხმას აძლევს ქარაფზე ამსვლელს.

ქარი თანდათან ფანტავს ღრუბლებს, ხევებში დნება თოვლი, ზღუდის ზემოთ მოჩანს ბუჩქები, კოშკის გადახრილი თავი, მინაში ნახევრად ჩაფლული კედლები. არანაირი რკინის კარი, არანაირი დარაჯი კოშკის თავზე.

სიჩუმე სუფევს კაქავაბერთის ნანგრევებში, მხოლოდ ხევეში ხმაურობს მდინარე ბასუტა, თითქოს ის თეთრი ქაფის ქვეშ იქცევს ათასობით დარდსა და ნაღველს. მისი აზვირთებული ტალღები ხმაურით ეხეთქება ნაპირებსა და ქვებს.

ზღუდის თავზე ბუდე დაუდგამთ ძერასა და სვავს. ისინი გაიგებენ თუ არა ფეხის ხმას ზღუდის ქვეშ, მაშინვე გამოფრინდებიან ბუდიდან და დაფრინავენ მის გარშემო, ასევე სწრაფად გამოფრინდება ქვის ნაპრალიდან არწივი. თითქოს ციხე-სიმაგრეს იცავენო.

კაქავაბერთის ერთადერთი ყვავილი ალპური იაა, მისი ღერო კაკბის ფეხის ფერივით წითელია, ყვავილი კი გარგარის ფერი. ალპური ია კლდის ქვეშ იზრდება. ქვები მზისგან გამთბარა, როდესაც ღრუბლები ფარავს ქვებსა და კედლებს, იაც იხრება და თავს დებს ქვებზე.

მდინარე ბასუტას მეორე მხარეს, ხეობაში, კლდეებზე მოჩანს რამდენიმე სახლი. დილით ერდოებიდან ამოდის კვამლი, რომელიც იფანტება ჰაერში, როგორც ლურჯი ჰორიზონტი და დნება ღრუბლებში. შუადღისას სოფელში იძახის მამალი, მამლის ყვილთან ერთადერთი მოხუცი ისვენებს ჩრდილში, ჩუმად ტირის და თან ხელჯოხით სილაზე რაღაცას წერს, იხსენებს თავის წარსულს.

როგორც სოფელში, ასევე ციხე-სიმაგრეზე ნელ-ნელა მიიწურება დრო, წლები იმავე ხის ფოთლების მსგავსი. ამიტომაც ერევა მოხუცს მეხსიერება. მდინარე ხმაურობს, გორაკზე იგივე ქვები და იგივე ქვის არწივი ....

რამდენ თაობას უცხოვრია მდინარე ბასუტასთან ახლოს. გაჭირვებული სოფლის გლეხები დახეულ ნაბდებს ფენდნენ ქვებზე, ლერწმით ხურავდნენ კარვებს. ყოველ გაზაფხულზე, როცა კი გაიშლებოდა კაქავაბერთის თავზე ალპური ია, თხასა და ცხვარს მიერეკებოდნენ მთის ფერდობზე. ხმელი ფეტვის პურიტა და შენახული თხის ყველით გაჰქონდათ თავი ზამთარში.

შუადღისას სამი მხედარი კაქავაბერთის ქარაფზე ადიოდა. არა მხოლოდ ტანსაცმლით, არამედ ცხენზე ჯდომითაც კი ემჩნეოდათ, რომ ორი ცხენოსანი ქალაქელი იყო და არ ენახათ არც კაქავაბერთი და არც მისი ქარაფი.

მესამე ცხენოსანი თავისთვის ჩუმად ღიღინებდა ნაღვლიან სიმღერას. დამწუხრებული და სასოწარკვეთილი იყო, როგორც უდაბნოს ხევი, მოწყენილი ქარაფი და შორეული სოფელი.

პირველი ცხენოსანი გაუნძრევლად იჯდა კლდის თავზე და თვალს ვერ აცილებდა ციხის კედლებს. თითქოს ღრუბლებიც ხან წინ ინევდნენ, ხან უკან. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. მის თავში მხოლოდ ციხის ისტორია ტრიალებდა, მატიანეებში ჩანერილი მდგომარეობა თავადაზნაურთა ბატონობის დროს, როცა ბევრი რამ განადგურდა. თითქოს მას ახლაც ესმოდა რკინის კართან შეჯავშნულ ცხენთა ფლოქვების ხმაური, იარაღის ჟღარუნი. სიმწრით იხსენებდა ყველაფერს.

როცა მათ კარავთან მიაღწიეს, პირველმა ცხენოსანმა გზა გააგრძელა. ის ეძებდა ძველ გზას და ვერ ხედავდა ვერც კარვებს, ვერც ნაცარში მოთამაშე ნახევრად შიშველ ბავშვებსა და თხებს, რომლებიც გაცოცხლებული აქეთ-იქით იყურებოდნენ.

მეორე ცხენოსანი კაქავაბერთის წარსულს არ ეძებდა. მისი მთელი სიმდიდრე გიგანტური უბის სქელი რვეული და წვრილ-ცხვირიანი ფანქარი იყო. მისთვის საკმარისი იყო, შეეხედა ლამაზი კუთხისათვის, ხავსიანი ქვისთვის, რომ თვალით დანახული დაეხატა ფანქრით.

პირველი ცხენოსანი არქეოლოგი იყო, მეორე კი მხატვარი. როცა მათ კარვამდე მიაღწიეს, ძაღლებმა შეუტიეს ცხენოსნებს. ძაღლების ხმაზე რამდენიმე კაცი კარვებიდან გამოვიდა. ნაცარში მოთამაშე ბავშვებმა დაინახეს, თუ როგორ გაეკიდნენ ძაღლები ცხენოსნებს. მესამე ცხენოსანი ამაოდ ცდილობდა მათ მოგერიებას. ძაღლები ციხის კედლებამდე გაჰყვნენ, შემდეგ კი ერთმანეთში თამაშით დაბრუნდნენ.

კაქავაბერთის კლდეები თითქოს გაცოცხლებულიყვნენ და ელაპარაკებოდნენ არქეოლოგს. იგი უახლოვდებოდა ამა თუ იმ ქვას, იხრებოდა, უყურებდა, ზომავდა და რალაცას წერდა. ფეხით თხრიდა მიწას, რომ გამოეჩინა მიწის ქვეშ დამარხული გათლილი ქვის წვერო. ის ავიდა კედელზე, თავი გამოყო კოშკიდან და ხმამაღლა დაიძახა, როცა კოშკის კუთხეში, ქვაზე დაინახა მოჩუქურთმებული სიგელები.

მესამე ცხენოსანი, რომელიც კედლის ახლოს იჯდა და ეწეოდა, არქეოლოგის შეძახილზე შემკრთალი წამოხტა ფეხზე. მან გაიფიქრა, ალბათ გველმა უკბინაო.

ქუდიანმა კაცმა შეამჩნია კედლის ხვრელი. სწრაფად დახატა ჩამონგრეული კედლები, კრისტალური კოშკი და ნაკვალევი. ციხის შესავლელს, რომ ხატავდა, წამიერად გაშეშდა ფანქრით ხელში. მისი ფეხის ხმაზე ბუდიდან ერთი სვაკი გამოფრინდა. ჩხავილით შემოუარა ციხეს, მის ჩხავილზე სხვებიც მოგროვდნენ.

სვაკების ჩხავილისაგან შეშინებული ცხენები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. არქეოლოგმა კოშკის თავიდან გადმოიხედა და დაიძახა: მე ვიპოვე ბაკურ ბატონის აკლდამა, მხატვარმა ვერ გაიგონა მისი სიტყვები. იგი თვალგაშტერებული მისჩერებოდა სვაკების სიარულს, მათი ფრთების ძლიერ მოძრაობებსა და სისხლიან ნისკარტებს. რა შოკისმომგვრელი გამოცხადებაა? მხატვარი წამიერად კვლავ გაშეშდა ფანქრით ხელში და ვერც კი იგრძნო, თუ როგორ ჩამოუვარდა ქუდი ქვაზე.

კარგებიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც ქამარში გარჭობილი ჰქონდა ნამგალი, თავი კი ჭუჭყიანი ცხვირსახოცით შეკრული. იგი ავიდა ციხის თავზე, მიუახლოვდა ცხენებთან მჯდარ ციხის მცველს და ჰკითხა: ვინ არიან ესენი? რაზე მოსულან აქ, რას ეძებენ ციხის ნანგრევებში? დარაჯი მაშინვე მიუახლოვდა და უთხრა: წიგნებში წერია, რომ კაქავაბერთის თავზე ოქროს საგანძურია დამარხული.

მთიბავი ჩაფიქრდა და გაეშურა ყანისაკენ. მიდიოდა და ჩუმად თავისთვის ლაპარაკობდა. რა მოხდებოდა თუ თვითონ იპოვიდა ოქროს საგანძურს? რამდენჯერ ჩამომჯდარა იმ ქვებზე. წარმოიდგინა ის განძი, რომ ჰქონოდა ახალუხის ჯიბეში, რამდენ ძროხას იყიდდა.

ჩაფიქრებული მიუახლოვდა ყანას, გულდანყვეტილმა მოიკიდა ხელი ახალუხზე, უიმედოდ ჩამოიფერთხა კალთა და გააგრძელა ცელვა.

ციხის ქვებში აქა-იქ ამოსულიყო ალპური იები, ყვავილი – გარგარის ფერი. არქიტექტორი ვერ ხედავდა, ვერც იებს, ვერც ბალახს. ის ფეხით ტკეპნიდა ბალახსა და ყვავილს. მისთვის სამყარო იყო უზარმაზარი მუზეუმი, სადაც არაფერი არ იყო ცოცხალი. მან კლდეზე წამოაყენა ქვა და ჩაფიქრდა.

ქუდიანმა კაცმა დახატა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო არქეოლოგისათვის.

ქუდიანმა კაცმა დახატა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო არქეოლოგისათვის. რვეულის პირველ გვერდზე დახატა ციხის ერთი ნაწილი, დაკბილული ნაპრალები, ქვის არწივის ბუდე და კედლის ქვეშ ამოსული იეზი.



მხატვარი: ნანა ყორანაშვილი

შუადღისას ისინი ციხიდან ჩამოვიდნენ. არქეოლოგმა ერთხელ კიდევ შემოუარა ციხეს ოთხივე მხრიდან, რვეულში რაღაც ჩაინიშნა და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ცხენებს.

ამჯერად ყველაზე წინ მიდიოდა მესამე ცხენოსანი. არქეოლოგის თავში მხოლოდ ბაკურ ბატონი და მემატინის პერგამენტი იდო, ხოლო მხატვარი ფიქრობდა იებზე, უსმენდა მდინარე ბასუტას ყრუ ხმაურს, მესამე ცხენოსანს კი თვალწინ ედგა ახალი ლავაში, ყველი და მანონი.

მან პირველ კარავთან დააბა ცხენები და თვითონ შიგნით შევიდა. მთელი დღის მშვიერი ცხენები შეუდგნენ მწვანე ბალახის ჭამას.

ერთი პატარა ბიჭი კარავთან ახლოს ნაკვერცხალში სოკოს წვავდა. უცნობი ხალხის დანახვამ ის გაოგნა, აღარ იცოდა სოკო დაეტოვებინა ცეცხლში და გაქცეულიყო დედასთან, თუ სოკოც თან წაეღო? ამ დროს მას მოესმა დედის შიშველი ფეხის ხმა, ბავშვმა ამოისუნთქა, ერთი შემწვარი სოკო ამოიღო ნაცრიდან და დადო ოჯახის ქვაზე.

დედამ თავსაფარი თვალებზე ჩამოიწია, შევიდა კარავში, კუთხეში დადებული ორი ბალიში გამოიტანა და გაუნოდა სტუმრებს.

მესამე ცხენოსანმა არქეოლოგის ჩანთიდან კონსერვი ამოიღო.

ჩვენ მშვიერები ვართ დაო. თუ გაქვს მანონი და ჩაი, იქნებ მოგვიტანო? შაქარი ჩვენ გვაქვს.

ქალი მიუახლოვა ცეცხლს, ბავშვის სოკოები გვერდზე გადადო და ნაკვერცხალს შუბერა, უცბად თავსაფარი ჩამოუვარდა, ქუდიანმა კაცმა დაუნახა თეთრი შუბლი, შავი თმები და ლურჯი თვალები.

მისი მზერა დარჩა კერიაზე. სად ენახა მას ასეთი სახე? მაღალი თეთრი შუბლი და მუქი ლურჯი თვალები. ქალი ფეხზე წამოდგა და ჩაიდანნი ცეცხლზე დადგა. მხატვარმა ძალიან ახლოდან დაინახა მისი თვალები, მურიანი წარბები და მურიანი თმები.

ძალიან დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ. ნუთუ შესაძლებელია ეს ორი სახე ერთმანეთს ასე ძალიან ჰგავდეს. კაქავაბერდის მზეს ქალის სახე ცოტათი დაენვა, მაგრამ თვალების

ფორმა და ფერი იგივე ჰქონდა, ტუჩებიც იგივე როგორც იმ ქალს, წელწერილი და ტანმალალი იყო.

ქალი ჩაის ამზადებდა, ჩუმად და სწრაფი მოძრაობებით. ყოველ წუთს, როცა კი დაიხრებოდა, ადგებოდა ან შიშველი ფეხებით დადიოდა ფარდაზე, ირხეოდა მისი ლამაზი ტანი, შრიალებდა მისი ლამაზი ტანსაცმელი და ედებოდა შიშველ ფეხებს.

იმ ქალსაც ჰქონდა შრიალა ტანსაცმელი, მუქი ფერის მოსაცმელი, შავი შალის ქუდი, რომლის თავი ნარინჯისფერი იყო. შორს იყო, ძალიან შორს. მდინარე ბასუტა სხვა მდინარესთან შერევით უახლოვდება იმ ზღვას, რომლის ნაპირთან, სილაზე ერთ დღეს ისხდნენ ერთი ქალი და მხატვარი.

დარაჯმა გახსნა კონსერვის მეორე ყუთიც. არქეოლოგი სუფრიდან და სპილენძის თეფშიდან თავს არ სწევდა. ბავშვმა სოკო შეჭამა და თვალი გაუშტერდა კონსერვის პრიალა თავსახურზე, უცდიდა, რომ დაეცალათ ყუთი. კაცმა შეამჩნია ბავშვის მზერა კონსერვის ყუთზე, აიღო ყუთი და ბავშვს მიანოდა.

ბიჭმა ყუთი შეაჯანღარა და კარვის წინ მყოფმა ძაღლმა სწრაფად შთანთქა ხორცის ნარჩენები, შემდეგ იგი ცარიელი ყუთით ხელში გაიქცა ბავშვებისაკენ, რათა ეჩვენებინა თეთრი თუნუქის ყუთი, რომელიც მათთვის სიახლე იყო.

ქალბატონი ჩაფიქრებული იჯდა კერიასთან, ხშირად ხდიდა თავს ჩაიდანს, ეჩქარებოდა წყლის ადუღება. თანაც ნაკვერცხლებს ურევდა, ერთმანეთთან აახლოვებდა, აძლიერებდა ცეცხლს. კვამლით იყო ავსილი მთელი კარავი, რომელიც ქალს თვალის გახელის საშუალებას არ აძლევდა. თვალები, რომ დაეცვა კვამლისაგან, ხელი შუბლზე ჰქონდა მიდებულის.

კერიასთან მჯდარ ქალს დაკუზვისას გრძელი ტანსაცმლის ქვემიდან უჩანდა თეთრი შიშველი ფეხი. ზღვის ნაპირზე შავი შალის ქუდიანი ქალი ქოლგის წვერით რაღაცას წერდა და შლიდა. კვაცი კი ამტვრევდა ხმელ ტოტებს, ხოლო ზღვის ტალღები ეხეთქებოდა მათ ფეხებს და ჯოხის ნამსხვრევებთან ერთად სრაფადვე უბრუნდებოდა ზღვას. ამ ქალმა ზღვას პირობა მისცა და წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: თითქოს მსოფლიო უზარმაზარი ზღვა იყო, ხოლო მისი გული ზღვაში შერწყმული.

გავიდა დრო. ძალიან სწრაფად და მოულოდნელად გაიყო მათი გზები. ფიქრებში დარჩა მხოლოდ წყვილი ლურჯი თვალები, მუქი ფერის ქურთუკი და ქოლგის წვერი, რომლითაც ქალი პირობას წერდა სილაზე და ისევ შლიდა.

ჩაიდანში წყალი ადულდა, თავსახური ახმაურდა. ქალმა თეფშები და ქიქები დაალაგა მაგიდაზე. როცა ის დაიხარა მაგიდის გადასაფარებლის გასასწორებლად მხრიდან თმის ნაწნავი გადმოუვარდა. ზღვის ქალს მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა და თეთრი ქამარი, მისი წვრილი წელის ქვეშ ჩანდა ცისფერი კაპილარები. ბავშვი კარავში შემოვარდა ცარიელი კონსერვის ყუთით ხელში. კარვის კართან მდგარი ბავშვები გაკვირვებული სახით უყურებდნენ ფარდაზე დამსხდარ სტუმრებს. ამჯერად უსაზღვრო იყო ბავშვის სიხარული, როდესაც მან მიიღო კონსერვის მეორე ყუთი. ბავშვი დაჯდა ფარდაზე, დედამ მას ჩაი დაუსხა, კაცმა კი შაქრის დიდი ნატეხი ჩაუგდო.

ბავშვს გაუკვირდა, როცა შაქრის ნატეხები ჩაის ზედაპირზე ამოტივტივდა, მან ხელი ჩაყო და შაქარი პირში ჩაიდო. ცხელმა ჩაიმ თითი დაუნვა, მაგრამ კრინტიც კი არ დაძრა, ვინაიდან ნახევრად გამდნარი შაქარი ძალიან გემრიელი იყო. ჩუმად ჩაეცინა არქეოლოგს, წარსულიდან რაღაც გაახსენდა. ქალმა კიდევ დაუსხა ჩაი, ბავშვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ქუდიანმა კაცმა შენიშნა ეს ღიმილი. ძალიან ნაცნობი იყო მისთვის ასეთი ღიმილი. ქალს ზედა ტუჩი აუკანკალდა, ღიმილისაგან ლოყები აუნითლდა, როგორც სისხლისფერი წითელი მიხაკის ფურცლები. ნაცნობი იყო სახის ნაკვთები და მისი გამომეტყველება. მან უცბად ამოიღო გულის უბიდან რვეული, გადაშალა რამდენიმე ფურცელი, რომელზეც ეხატა ქვები, ქანდაკებები, ქვის არწივის ბუდე. კაცმა სუფთა ფურცელზე დახატა კერიასთან მჯდარი ქალი. იგი დახუჭული თვალებითაც კი ხედავდა ამ ქალის პროფილს.

მხოლოდ ბავშვმა შეამჩნია თეთრ ქალღმერთს დახატული ნახატი. მან ჩათვალა, რომ ამ ნახატზე აისახა ყველაფერი, როგორც ანკარა წყაროს წყალი.

მგზავრმა ცხენოსნები კარავთან მიიყვანა. ერთ-ერთმა ცხენოსანმა ცხენებს აღვირი გაუკეთა და გაუმაგრა უნაგირი, შემდეგ

ჩანთა ჩამოჰკიდა უნაგირზე და მიუახლოვდა კერიასთან მჯდარ ქალს გამოსამშვიდობებლად. ქალი ფეხზე წამოდგა, თავსაბურავი სწრაფად ჩამოიფარა შუბლზე და თითების წვერით დაიჭირა მესამე ცხენოსნის გამოწოდებული ხელი, ასევე გამოემშვიდობნენ დანარჩენი ცხენოსნებიც. ამჯერად ქალმა გულზე ხელი მიიკრა და დახარა თავი. მგზავრმა ბავშვს მისცა ვერცხლის მონეტა და თავზე ხელი გადაუსვა.

ცხენოსნები დაემშენნენ კაქავაბერთის ქარაფიდან ბასუტა ხევისკენ. თითოეული ცხენოსანი თავის ფიქრებში იყო ჩართული. გზის ორივე ნაპირზე გაშლილიყო ალპური იები. ერთი ცხენოსანი დაიხარა, მოწყვიტა ერთი ია და ჩადო რვეულის შუაში, სადაც დახატული იყო სამფეხა სკამი და სუსტი, ტანმალალი ქალი.

ცხენების ფეხით აგორებული ქვეები ხმაურით ცვიოდნენ ხევში. მის თავში მხოლოდ ზღვა და ზღვის ტალღები ტრიალებდა, რომელიც ურტყამდა ხან ქალის ხავერდოვან თავსაფარს, ხან მხრებზე ჩამოშვებულ გრძელ ნაწნავებს, ხან ქვის ქანდაკებას, კედლებსა და ქვებს შუა ამოსულ გარგარისფერ ალპურ იებს.

დაღამდა.

ამავე გზაზე კარვებისაკენ მიემართებოდა კაცი, მას ქამარში გაყრილი ჰქონდა ფოლადის ბრჭყვიალა ნამგალი. ჩანდა, რომ გაბეზრებული იყო. მთელი დღის განმავლობაში თიბავდა, ჭრიდა ჩალას მოკლე ნამგლით და ამიტომ წელი ძალიან სტკიოდა. დაღლილი კაცი წელი ნაბიჯებით მიდიოდა აღმართზე. ჯოხს ეყრდნობოდა, მუხლები ძალიან უკანკალებდა, ცდილობდა სული მოეთქვა, რომ შეძლებოდა გზის გაგრძელება.

მთიბავი ის კაცი იყო, რომელსაც მესამე ცხენოსანი მოუყვა ციხე-სიმაგრეში არსებული საგანძურის შესახებ. მან თავისი ყანიდან დაინახა ცხენოსნები. მათ ცხენებზე ჩამოკიდებული ჩანთები და გაიფიქრა, ნამდვილად ნახეს საგანძური – ის საგანძური, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ინახებოდა ქვების ქვეშ, რომლებზეც ხშირად მჯდარა იგი. ეს იყო წლების წინ, როცა ის ციხე-სიმაგრის ნანგრევებში ინახავდა თხასა და ცხვარს. დაღლილი კაცი ამ ფიქრებით იყო გაოგნებული, გაცოფებული, როგორც საღამო უამს ტყიდან გამოვარდნილი მშვიერი დათვი.

კაცი მიუახლოვდა კარავს, ფეხი ნაჰკრა ძალღს, რომელიც მონატრებულ, მთელი დღის უნახავ პატრონს მიეგება. ქამრიდან ნამგალი ამოიძრო და ძირს დააგდო, ჯოხი დადო კერიასთან და უხმოდ დაჯდა ფარდაგზე.

ცეცხლი ბოლავდა. ჩაიდანში დულდა ცხელი ჩაი. მაგიდაზე ორი ნატეხი შაქარი იდო. მთიბავს ტანსაცმელი და გასვრილი წინდებიც კი არ ჰქონდა გახდილი, რომ კარავში შემოვიდა მისი ცოლი. გრძელი კაბის კალთაზე ჩამოკიდებული ჰყავდა ბავშვი, რომელსაც ხელში ცარიელი კონსერვის ყუთი ეჭირა.

ბავშვი მამისკენ გაიქცა ცარიელი კონსერვის ყუთების საჩვენებლად. მამა მიხვდა, რომ ცხენოსნები ყოფილან მის კარავში. ბავშვმა მას აჩვენა ფოლადის მონეტა, რომელიც მას ერთმა კეთილმა ბიძიამ აჩუქა.

მამამ ფეხი ჰკრა ბავშვსა და ცარიელი კონსერვის ყუთებს. ბავშვი ნაიქცა, ყუთები დაგორდა, იგი სწრაფად წამოდგა და გაიქცა ყუთების დასაჭერად. ყუთებჩახუტებული მიეკრა დედის კალთას და ტირილი დაიწყო. მამამ წყნარად დაუძახა შვილს და სთხოვა ფოლადის მონეტა. მტირალა ბავშვი ნელა მიუახლოვდა მამას. ის მოუყვა, რომ სტუმარს გულის ჯიბეში ჰქონდა ერთი პრიალა ნივთი, რომელშიც იდო ფურცელი. მამი იმ კაცმა, რომელმაც ფოლადის მონეტა მომცა, დედას სახე დახატა ფურცელზე და ჩაიდო უბეში.

ეჭვმა ელვისებურად გაიარა კაცის გულში. თვალეები გაუფართოვდა და ფერი წაუვიდა. დედამ გადახედა შვილს, მამამ შეხედა ქალის ანითლებულ ლოყებს. ეს ყველაფერი მოხდა ერთ წამში. გაცოფებულმა კაცმა გადადგა ერთი ნაბიჯი, დაავლო ხელი მძიმე ჯოხს და ჩასცხო ქალს ბეჭებში.

ქალს ნაწნავები გადმოეკიდა, გადმოვარდა ჩაიდანის, გატეხილი ჯოხი დავარდა ფარდაგზე. ქალი ხმის ამოულებლად გარეთ გამოვარდა, სიმწრისაგან ხელი მხარზე დაიდო და მწარედ აქვითინდა.

ბავშვი ცარიელი კონსერვის ყუთებთანჩახუტებული დაიმაღლა დედის კალთის ქვეშ. კაცს ცოტა სინანული დაეტყო, შეჭამა საჭმელი, მოიხადა ქუდი, თავქვეშ ამოიძო და მიწვა ფარდაგზე.

კაქავაბერთის თავზე სიჩუმე ჩამოვარდა. კერიაში ჩაქრა ცეცხლი. ძალიან ბნელი ღამე იყო. ცხოველთა ხმებისაგან შეშინებული

ძალეებიც კი მიყუჩდნენ კარვის გვერდზე. ცხვარი დაეყარა მინდორზე. ქალიც ბავშვთან ერთად ფარდაგზე მიწვა .

კაქავაბერთის თავზე ღრუბლებმა ხმაურით გადაუარეს კარვებს. სინესტისაგან წვეთები დაეცა ქვებს, ხავსებს, თავშეყრილ ცხვრებს მატყლზე ლამის ცვარი დაედო, ასევე დაედო ცვარი ალპური იების ფურცლებსაც.

სურნელებით მთვრალ ხოჭოს ეძინა ყვავილის გულში და მას ისე მიაჩნდა თითქოს ქვეყანა კეთილსურნელოვანი ყვავილნარია, ალპური ია....

**სომხურიდან თარგმნა მარიამ ბალასანიანმა**

## რამაზ ბუბა ხოტივარი

კინორეჟისორი, სცენარისტი, პედაგოგი.

გადაიღო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, მათ შორის: „დარიალის ჩანახატები“, „ლაზარეს თავგადასავალი“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „დიმიტრი მეორე“, „მარკოზის სახარება“ და სხვა.



### მავინ, კაცობრიობის ისტორიამდე ანუ უპატრონო ამირანი (დოკუმენტალისტის წერილი)

დიდი ხანია ვოცნებობ გაადავილო შემეცნებითი ფილმი ამ თემაზე.

მეც მიმაჩნია, რომ ის, რაც ცხოვრობს მითოლოგიაში, ოდეს-ღაც მართლაც არსებობდა.

ვგრძნობ, რომ მითი არის ისტორიული სიმართლის შენახვის უტყუარი საშუალება.

„უუძველესი ციხის ჩანს ნანგრევები შორი“...

პრესიდან: „ბრიტანელი ენათმეცნიერების მრავალწლიანი კვლევებით დასტურდება, რომ კაცობრიობის საერთო დედაენა კავკასიაში აღმოცენდა. ინგლისელი მეცნიერის მარკ პეიგელის ვერსიას მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა. მეცნიერის მტკიცებით, კაცობრიობის დედაენა ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა. პეიგელი 15 ათასი წლის წინანდელი ენის კვალს ქართულ ენაშიც ხედავს... არსებობს კიდევ რამდენიმე თეორია.

მეცნიერები ქართული ენის კვალს ძველ ეგვიპტურ ცივილიზაცია-საც უკავშირებენ. ბრიტანეთის რიდინგის უნივერსიტეტში კი კვლევა გრძელდება“...

დიდი ხანია სხვადასხვა მხრიდან, ძირითადად უცხოეთიდან, ვიგებთ ერთობ სასიამოვნო ინფორმაციებს: ევროპის ძველზე-ძველი, ხშირად კი - უძველესი მოსახლეობა თურმე ყოფილა კავკასიიდან, კერძოდ კი ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიიდან. ანუ, იბერიიდან და კოლხეთიდან.

მთავარი აზრი ამ შრომებისა არის მტკიცება იმისა, რომ კავკასიელების, კერძოდ კი, იბერებისა და კოლხების წინაპრები იყვნენ აგრეთვე წინაპრები დღევანდელი ევროპელი ერებისა, რომ ჩვენი ძველზე უძველესი ქართველები დაიძრნენ კავკასიიდან დასავლეთისკენ და განსახლდნენ მთელს ევროპაში, ეგვიპტეში და ჩრდილო აფრიკაში უკიდურეს დასავლეთამდე, მაროკომდე, რომლის უძველეს კულტურას იბერიულს უწოდებენ.

ზოგ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ეს მოხდა დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინ, თუმცა თარიღები ავტორებს აქვთ სხვადასხვა. საერთოდ აქ აზრთა სხვადასხვაობა ძალიან ჭარბობს - ერთი მოსაზრების გარდა: ამ მეცნიერებს მიაჩნია, რომ ევროპისა და ჩრდილო აფრიკის პირველი კოლონიზატორები იყვნენ იბერები და კოლხები, ანუ ჩვენ, ქართველები.

ამ ჰიპოთეზებს აქვეყნებენ, ძირითადად, უცხოელი სპეციალისტები. ისინი თავის ასეთ მოსაზრებებს ხშირად ბეჭდავენ როგორც ავტორიტეტულ მეცნიერულ, ისე პოპულარულ გამოცემებში.

ბეჭდვით კი ბეჭდავენ, მაგრამ საქმე ამით მთავრდება.

ქართველებისგან, საქართველოს სახელმწიფოსგან ეს მეცნიერები ყურადღებას არ იმსახურებენ.

წარმოიდგინეთ ასეთი შრომები იქმნებოდეს ჩვენს რომელიმე მეზობლის პრეისტორიის შესახებ. რა პატივში ეყოლებოდათ ეს უცხოელი ავტორები, როგორ პოპულარიზაციას გაუკეთებდნენ მსოფლიოში, რამდენს თარგმნიდნენ სხვადასხვა ენებზე. ცალკე ინსტიტუტებსაც შეუქმნიდნენ.

ჩვენთან კი მივიწყებასაა მიცემული ამ თემაზე შექმნილი როგორც უცხოელი, ასევე ჩვენების - ივანე ჯავახიშვილისა და სხვა დიდი ქართველების შრომებიც კი.

რაშია საქმე?

აბა რა ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ჩვენი დღევანდელი ქართული მეცნიერება პასიურობს.

პასიურობს მთავრობაც, რადგან მეცნიერები ხმას არ იღებენ. თუ რამეს ამბობენ, - ზღვაში წვეთია.

დანამდვილებით ვიცი ის, რაც იცით ყველამ: ვიცი, რომ იოსებ სტალინმა უსაყვედურა ქართველ ისტორიკოსებს პასიურობა და პირადად დაავალა სამ დიდ ისტორიკოსს - ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს და სიმონ ჯანაშიას დაწერათ საქართველოს ნამდვილი, და არა რუსეთის იმპერიის მსახურ-ისტორიკოსთა მიერ რედაქტირებული (ანუ დამახინჯებული) ისტორია.

სტალინმა შეუკვეთა და დააფინანსა საქართველოს ნამდვილი ისტორიაო?

ეს რომ გავიგე, მორიგი ტყუილი მეგონა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლაც - სტალინის მითითებით ამ სამმა ჩვენმა გენიოსმა 1943 წელს შექმნა წიგნი-შედეგრი, ანუ რეალურ ისტორიულ საბუთებზე დაფუძნებული შესანიშნავი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიისა, რომელიც უკვე 1947 წლიდან ისწავლებოდა სკოლებში. გარდა ამისა, იგივე ტალღაზე, იმავე წლებში, შეიქმნა და დაიბეჭდა სხვა ავტორების ძალიან კარგი ნაშრომები, სადაც განიხილებოდა იმ დროისათვის მთელი მსოფლიოს მონაცემებით საქართველოს რეალური წინარეისტორია. მაგალითად (რაც მე ვიცი): ა. სვანიძის „Материалы по исследованию истории алародийских племён“ (1937), ს. ფირცხალავას „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესევე ტომები წინა აზიაში 10-6 ს.ს. ძვ.წ.“ (1947), იგივე ი. ჯავახიშვილის ნაშრომები და სხვა.

დასკვნა გამოდგა იმ დროისათვის გამაოგნებელი, ანუ ისეთი, საითკენაც ახლა მიდის მეცნიერება (მათ შორის გენეტიკაც) და რაც ჯერ კიდევ 1920 წელს დაწერა ნიკო მარმა: „იაფეტური ელემენტი ნამდვილად პირველი, ყველაზე ძველი, ეთნიკური ელემენტია ხმელთაშუაზღვის კულტურის შექმნაში“. (იაფეტურში, ნიკო მარი იმ დროს, ძირითადად, ქართულს გულისხმობდა).

და არა მარტო ხმელთაშუა ზღვის, არამედ მცირე აზიისა, წინა აზიისა და თვით აზიისაც!

თითქოს უნდა დაწყებულიყო ქართველთა უძველესი ისტორიის (პრეისტორიის, წინარეისტორის) ძირფესვიანი შესწავლა.

მაგრამ, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის იმპერიულმა მათრახმა არა თუ სასტიკად აკრძალა სამი დიდი ისტორიკოსის სახელმძღვანელო, მან ქართველთა წარსულის კვლევაც მკვეთრად შეაჩერა! 1955-1956 წლებში (როგორც ახლა ირკვევა), ამ პროფილის ქართველ ისტორიკოსებს სათითაოდ საიდუმლოდ იბარებდნენ КГБ-ში და აშინებდნენ დაახლოებით ასე: „Вы, грузинские историки - фашисты, сталинисты, шовинисты и буржуазные националисты (დახვრეტის ბრალდება). Вы что, правда думаете что вы, грузины, есть пуп земли?“ - да „Под страхом смерти“, ანუ სიკვდილის ან ციმბირში სამუდამო გადასახლების მუქარით, აიძულებდნენ მეცნიერებს შეეწყვიტათ ქართველთა გენეზისის გამოკვლევები და ისე ეწერათ, როგორც ველურ, უწარსულო ტომებზე. ანუ ისე, როგორც დაახლოებით იწერება ჩვენს სახელმძღვანელოებში... არ გაგიკვირდეთ, - დღესაც!.

1956 წელს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ბრძანებით სწავლებიდან ამოღებული იქნა 1943-1948 წლებში გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

მიზანი: არც ერთ თაობას არ უნდა სცოდნოდა სიმართლე საქართველოსა და მისი კულტურული ღირებულებების შესახებ. მის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა...

დიახ, იმ ზენოლის ინერციის შედეგია ის, რომ ჩვენი ოფიციალური ისტორია იწყება ლამის ლეონტი მროველის ნაშრომებით. რა იყო მანამდე - სერიოზულად არც წერია. აქ სრული სიბნელეა და დიდის მობოდიშებით წერენ იმას, რომ ყოფილა თურმე რალაცნაირი ბურუსით მოცული ტომები, „სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები“ - დიაოხი, იბერია, ქალდეა, კოლხა თუ კულხა და რალაც ამდაგვარი...

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერია და მათი დამქაში პატკანოვები უაღრესად ღიზიანდებოდნენ ძველთაძველი ქართული ქვეყნების (მათი კულტურის, წყობის და ა.შ) არსებობის გამო და კატეგორიულად მოითხოვდნენ - თქვენი ისტორია იწყება წმ. ნინოს

შემოსვლიდან (მოციქული ანდრიას შემოსვლაც უგულვებელყოფილი იყო), არავითარი ფარნავაზი, არავითარი ქალდეა, მითუმეტეს აიეტი - თქვენ ჰაოსის უმცროსი, სუსტი, უწარსულო, უკულტურო და უუფლებო ძმები ხართ და ჩვენს ჭკუაზე უნდა იართოთ.

დღემდე ჩვენი ბევრი ისტორიკოსი ფიქრობს როგორც ხრუმჩოვ-პატკანოვები. რა დიდი ძალა ჰქონია под страхом смерти-ს! მითუმეტეს, რომ 1956 9 მარტს თბილისის ქუჩებში ხრუმჩოვის მიერ ქართველობის საჩვენებელი დახვრეტებით გამოწვეული შიში, ბევრს სისხლში ქონდა უკვე გამჯდარი.

ანუ:

1955-56 წლებიდან საქართველოს ისტორიის სწავლება შემოატრიალეს ისევ უკან, და ჩვენი ისტორიის სწავლება დაიწყეს კვლავ ძველებურად თუ არა, კიდევ უფრო დაკნინებულად.

არადა, ქართველებს ყოველთვის ყავდათ და ახლაც ყავთ უძველესი ცივილიზაციების შესანიშნავი მკვლევარები, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, ქართველების დასაბამ ფესვებსაც იკვლევდნენ და ბევრიც გამოიკვლიეს, მაგრამ საქართველოს ოფიციალური ისტორია ამ საკითხს დღესაც ჩქმალავს.

„დღესაც ჩქმალავსო“? რატომ, რა დავაშავეთ ასეთი? არ ვიცი-მეთქი!

ბოლო ათას შვიდასი წლის საქართველოს ისტორია შესანიშნავად არის დამუშავებული ქართველი ისტორიკოსების მიერ. მაგრამ, რა იყო მანამდე, ანუ ანტიკურ ხანაში და უფრო ადრე, ბერძნებამდელ ეპოქებში, ვიმეორებ, ან სულ არ წერია, ან წერია ცოტა და მშრალად.

ან მიეწრება ძველ ბერძნებს. ან მიეკუთვნება მითოლოგიურ ზღაპრებს.

სინამდვილეში (როგორც ახლა ნელ-ნელა იკვეთება და იხსნება) - მაშინ ყოფილა, რაც ყოფილა!

მაშინ ვყოფილვართ, რაც ვყოფილვართ! მაშინ, კაცობრიობის ისტორიამდე!

ფაქტია - ჩვენი დღევანდელი ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფია დღემდე არის საბჭოთა (ანუ რუსულ-იმპერიული)

ისტორიოგრაფიის მძიმე გავლენის ქვეშ და რასაც წერს ჩვენს უძველეს ისტორიაზე, დიდი ხანია გადასახედა, რადგან ის სერიოზულად არც განიხილავს საქართველოს უძველეს ისტორიას.

საკვირველია, რატომ არის ასე - ქართველი მეცნიერების დონე ამ საკითხებში ხომ უაღრესად მაღალია. ჩვენ საქართველოს ისტორიის, მითოლოგიის, ანტიკური ისტორიის, ბიზანტინისტიკის, არმენოლოგიისა თუ აღმოსავლეთმცოდნეობის საქმეში მსოფლიო დონის მეცნიერები გვყავდა და ახლაც გვყავს (არ ვაზვიადებ, ნამდვილად ასეა), მაგრამ კოლხეთისა და იბერიის ბრწყინვალე და დიდებული (მართლაც ბრწყინვალე და დიდებული!) წარსულის შესახებ ბევრი არაფერი იწერება. უფრო სწორად, იწერება, მაგრამ ან არ იბეჭდება, ან იბეჭდება მეტად მცირე ტირაჟებით და არც კი შედის სახელმძღვანელოებსა და ოფიციალურ გამოცემებში.

ქართული ისტორიის სულიად შეგნებული დამალვა-დაკნინება დაიწყო არა მხოლოდ მეფის რუსეთის დროს - ის დაიწყო გაცილებით ადრე. და როცა იცი, თუ რა სიძნელები ხვდებოდათ ქართველ ისტორიკოსებს ამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში, რა გამუდმებული მორალური და, ხშირად, ფიზიკური წნეხის ქვეშ უხდებოდათ მუშაობა (ეს მეტად მძიმე საკითხი ცალკე გამოკვლევებს საჭიროებს), ენა ვერ მოგიბრუნდება უმოქმედობაში დასდომათ ბრალი, მითუმეტეს, რომ ამ ბოლო დროს დაიბეჭდა ბევრი საყურადღებო ნაშრომი. პირველ რიგში, ზვიად გამსახურდიას ლექციები ციკლი „საქართველოს სულიერი მისია“. (ამ შრომის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მისი მასშტაბების დანახვას ჩვენი თანამედროვება ჯერჯერობით ვერ ახერხებს. ამას, ალბათ, დრო უნდა. მანამდე კი ვისურვებდი ქართული სკოლის დამამთავრებელ კლასებში მაინც გააცნონ ჩვენს ბავშვებს მისი არსებობის შესახებ). ბატონ გია კვაშილავას სტატიები და ტელეგადაცემები ამ საკითხში, ჩემის აზრით, სერიოზულ გარღვევას წარმოადგენს. შესანიშნავია ბატონ ალიკო ცინცაძის კვლევები ქართული ანბანის ჰემატიკის შესახებ. აღარაფერს ვამბობ ჩვენი ენათმეცნიერების პატრიარქის ბატონ რამაზ პატარიძის ეპოქალურ ნაშრომებზე და ბევრი სხვა. უაღრესად მნიშვნელოვანი, ვიტყვოდი - რევოლუციური შრომების აქვს უკრაინელ მეცნიერს არტიომ ივანცოვს და ბევრ სხვა უცხოელს, მათ შორის რასელ გრეისა და კვენთინ ატკინსონს,

აგრეთვე ებრაელ ლინგვისტს იური მოსენკისს, რომელმაც შექმნა შრომების მთელი ციკლი „პირველი ცივილიზაციების ქართული სათავეები“ - მარტო მათი სათაურები რად ღირს:

1) ქართველები - ძველი ეგვიპტური კულტურის შემქმნელები;

2) ქართველები ძველ ბრიტანიაში;

3) ქართველები - აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის სანაპიროს მაცხოვრებლები;

4) უცნობი ქართული ენა და მესოპოტამის 600-წლიანი მართვა ქართული დინასტიის მიერ;

5) ქართველების ტომები ძველ მესოპოტამიაში...

და უამრავი სხვა ავტორი და მათი გასაოცარი მიგნებები ჩვენი უძველესი წარსულის შესახებ....

მაგრამ რად გინდა!

ჩვენი ოფიციალური სტრუქტურები დუმან. სხვა საქმეები აქვთ ალბათ, უფრო სერიოზული...

არც ყურადღება, არც დახმარება. არსაიღამ ხმა, არსით ძახილი.

ისევ: რაშია საქმე? ისევ ვპასუხობ: არ ვიცი. არ მესმის.

მოკლედ, როცა ოფიციალური მხარს არ გიჭერს, ხალხში და მეცნიერებშიც იწყება დაბნეულობა.

ალბად ამიტომაც, რომ ქართველები ხანდახან ვლიზიანდებით, როცა ვისმენთ და ვკითხვლობთ ქართველთა უძველესი წარსულის შესახებ უცხოელთა ასეთ საოცარ ტექსტებს.

ვლიზიანდებით, იმიტომ, რომ ამას ტრაბახსა და თავხედურ ნაციონალიზმში გვითვლიან როგორც ვითომც „ობიექტური“ ქართველები, ასევე ჩვენი არაკეთილმოსურნე უცხოელები - ერთდროულად იწყებენ ქილიკსა და დაცინვას.

ქართველებს (თითქმის ყველას) ამ ამბების გაგონებაზე იმ წამსვე გვემართება სკეფსისისა და, რატომღაც, თავის მართლების მწვავე შეტევები, თითქოს რამე დაგვეშავებინოს.

სკეპტიციზმი ხშირად ხომ უფიცობის ნიღაბია, ანუ, როცა რაიმე საკითხში ვერ ერკვევი (მაგრამ ამის დამალვა გინდა), იწყებ საკითხის გაბუნდოვნებას და სალი აზრების მომიჯნავე მოსაზრებების სერიოზულად წარმოთქმას („ყველა პატარა ერს თავისი კომპლექსები აქვს...“, „ეს კიდევ დასამტკიცებელია“, „ჩვენს

მეზობლებს ხომ არ დავემსგავსეთ?“, „სხვას სხვა აზრი აქვს“, „ხა-ხა, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, არა?“ და ა.შ.)

საერთოდ, სკეპტიციზმი პოპულარული ხდება იმ პერიოდებში, როცა არსებული ცოდნა ან იდეალები უკვე მოძველდნენ, ახლები კი ჯერ მკვეთრად არ ჩანან. ან ჯერ ვერ ხედავენ მათ.

ასეა დღეს...

ქართველი კაცი იწყებს ჩაფიქრებას და დაჯერებას მხოლოდ მაშინ, როცა აუხსნი, რომ ქართველთა უდიდესი და უძველესი წარსულის შესახებ წერენ უცხოელი და ხშირად მეტად სერიო-ზული მეცნიერები. ჩაფიქრებას კი იწყებს, მაგრამ ამ საკითხის სახელმწიფო დონეზე აყვანამდე, როგორც ჩანს ისევ შორია...

„უუძველესი“ - გალაკტიონის მოქნილი სიტყვაა:

„უუძველესი ციხის ჩანს ნანგრევები შორი,  
ჩქარი მდინარი რიყეს რგოლებს აზომებს ქორი“.

საქართველოს გარშემო რგოლებს აზომებენ არა მარტო ქორები.

ქორს რა უჭირს, გავუძლებთ როგორმე. ძერაა შემზარავი.

„შიაყრებიან ყორნები,

არ გაირევენ ძერასა...“.

ძერას ვერ იტანდენ ნაღდი ქართველები. იმიტომ ხომ არა, რომ ძველი ბერძნების (უფრო სწორად, მათზე უძველესი პელასგების) ახსნით, ზევსის ბრძანებით ძერა ყოველდღე, როგორც გადაუ-დებელ სავალდებულო სამსახურში, ისე ამოფრინდება ხოლმე ტარტარიდან და იწყებს უპატრონოდ დარჩენილი ამირან-პრო-მეთეს ღვიძლის კორტნას. ღვიძლის იმიტომ, რომ ძველისძვე-ლებმა კარგად იცოდნენ, რომ ადამიანის გრძნობები მოთავსე-ბულია სწორედ რომ ღვიძლში და ღვიძლისთვის დაზიანებების მიყენება განსაკუთრებულ ტკივილს იწვევს ცოცხალ ადამიანში - მითუმეტეს თუ ეს ადამიანი არის ტიტანი ამირან-პრომეთე.

ამირანის ღვიძლს კორტნის არა არწივი, ან ქორი, ან ყორანი, როგორც წერენ ხოლმე, არამედ ძერა (Milvinae, стервятник), უფრო სწორად, - ტარტარის მობინადრე ძერისჯიშის ბოროტი მფრინავი გველი, დაუზოგავი და აშშორებული ლემიჭამია დრაკონ-ფას-

კუნჯი, „ელვისებური სიკვდილი ციდან“ - სიმბოლო უნმინდურობისა. ყველაზე დემონიური მტაცებელთა შორის. ამირანის ღვიძლს კორტნა მისი პროფესიაცაა და მოთხოვნილებაც. როგორც ჩანს - გართობაც.

საქართველოს გარშემო რგოლებს უკვე საუკუნეებია აზომებენ ტარტარიდან ამოფრენილი სვავებიცა და ძერებიც. აზომებენ თავისი მოთხოვნილებებით.

ნუ დავტოვებთ ამირანს უპატრონოდ. თუ ჯაჭვებიდან ვერ ვათავისუფლებთ, ღვიძლს მაინც ნუ ვაკორტნივებთ. თორემ, ჩვენი უმოქმედობითა და არხეინობით გალიზიანებული ამირანი, როცა იქნება ხომ აიწყვეტს და დაერევა ყველა მტერს,- ჩვენც მიგვაყოლებს, თავგზააბნეულ, მაგრამ პრეტენზიებით სავსე ქართველებს ჩვენივე ცოცხალ-მკვდრებიანად.

\*\*\*

ამჯერად გთავაზობთ ჩემ მიერ ამოკრეფილი ტექსტების იმ ნაწილს, რომელიც ეხება კირკას (კირას, ცირას), კოლხეთის მეფის აიეტის ღვიძლ დას. მედეას მამიდასა და მათ შესაძლო ნათესავებსა და, საერთოდ, გენეალოგიას.

ქვემოთ არის მოყვანილი ამონარიდები კირკას შესახებ ანტიკური ავტორებისა. მიმაჩნია, ჯერ უნდა აღვადგინოთ ზუსტი (რამდენადაც შესაძლებელია) ფაქტები - და მხოლოდ ამის მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენც ვიტყვი, რა გავიგეთ, რასაც ვფიქრობთ, რა დასკვნა გამოვიტანეთ და საერთოდ საით მიგვყავს საქმე.

ესე იგი, ვინყებთ: კირკა, ანუ ცირა.

თავთუხისფერი ოქროდალალეებიანი მშვეიერი ქალღმერთი

ცირა

მზის ღმერთის ჰელიოსისა და ოკეანიდა პერსეიდას ასული  
კოლხეთის პრინცესა

ბატონ რისმაგ გორდეზიანს აქვს ბრწყინვალე ნაშრომი „Проблемы гомеровского эпоса“ (ქართულად ვერ მოვიძიე), სადაც

დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ სახელი Κίρκη (კირკე) ოდითგანვე იყო დაკავშირებული კოლხეთთან (ისევე როგორც სიტყვა „აია“), რომ ბერძნული (ალბათ პელასგური) სიტყვა κίρκος (წრე, ლათ., circus, circle) შეიძლება იყოს როგორც ბერძნული ისე არაბერძნული წარმომავლობისა. რომ ფორმას κίρκος (აქედან „შევარდენი“) აქვს დამაჯერებელი პარალელები ქართველურ ენებში გორ/გრ: გრგოლი, გირგოლი, გრკალი, გირკლი, კირკალი, კრიკალი, რკო (აქვეა რუსული „крук“)... ჩანს, რომ ეს სიტყვა ქართულის დაუხმარებლად ვერ აიხსნება. ქართულად გორგოლა, რგოლი, გრგოლი, (გრ)კალი, რკო იმავე მნიშვნელობისაა. სვანურად ლიკირკე - გაგორება, გირკად - ირგვლივ ფონეტიკურად ძლიერ უახლოვდება კირკეს სახელს.

წრე უძველეს ხალხებში იყო ქალური სანყისის სიმბოლო.

წრე და ცირა ქართულად ერთი და იგივეა - მეგრულად ცირა არის ქალი, გოგონა.

ძვ. ბერძნული ფორმით Κίρκη; Κυρία („ქალბატონი“, „ქალღმერთი“), შეადარე ჰინდი किरण - („სინათლის სვეტი“, „Луч света“, ქალბატონი).

ბერძნულად ოდნავ განსხვავებული Κύριε არის ღმერთიც, უფალიც.

Circe არის აგრეთვე ლათინთა ერთ-ერთი უძველესი ქალღმერთიც. ლათინურად იკითხება და გამოითქმის როგორც „ცირც“ე.

Circeo არის იტალიელთა უძველესი ქალღმერთიც. იტალიურად ისმის როგორც ჩირჩეო (ჩირჩეა).

რუსულად წერენ ხან Кирка-ს, ხან Цирцея-ს. ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად - როგორც ლათინურად - Circe.

გარდა ამისა, ცირა მითებში არის პირდაპირ გაიგივებული თითქმის ყველა დიდ ქალღმერთთან:

ცირასთან იგივდება აგრეთვე: აია, Aiaia, ἄϊος Αία, Aea, Heia, ἄρα, მიკენურად E-რა (ქალღმერთი, ოჯახისა და ქორწინების მფარველი), Eri, ერი, ჰერი, იგივე ჰერა, ჰაერა, Ἥρα (რუსულად Гера), Juno (ლათ. იუნონა);

მიკენურად E-RA (შდრ. ერი), ღმერთების მეფე-დედოფალი, ოჯახისა და ქორწინების მფარველი.

აია (Aia ბერძნულად გამოითქმის „ეა“) იყო უძველესი ოლიმპიამდელი (ბერძნებამდელი, პელასგური) ქალღმერთი. ბერძენი ოლიმპიელების ტიტანებზე (პელასგებზე) გამარჯვების შემდგომ ბერძენი ოლიმპიელების ქალღმერთიც.

ცირა (კირკა, Kίρκη, Circe, Цирцея) არის აგრეთვე გეაც (დედამინა) = Γῆ, Γᾶ, Γαῖα, Aía, Tellus - „მინა“, „ქვეყანა“ და სხვა.

საოცარია! ანუ:

ცირა ნიშნავს წრეს, ცირა ნიშნავს აგრეთვე გეას, დედამინას. დედამინა ხომ მრგვალია, წრეა!

ცირა არის იგივე გეა - ჩვენ გეორგიანელები ვართ უხსოვარი დროიდან!

წრე უკვე შეიკრა? თუ ჯერ იკვრება თანდათანობით?

ცირა, აია, გეა - მინა, ნმინდა, ღვთაებრივი.

აქ ბევრია კიდევ სამუშაო. სპეციალური ინსტიტუტია საჭირო.

ცირას აქვს უამრავი სხვა სინონიმიც: სირენა, მაცდური, შემცდენი, მემცენარე, გრძნეული, ჯადოსანი.

ანუ - ბოლოსდაბოლოს ქალი!

ესე იგი, ჩვენი კოლხი ქალი - ცირა მართლაც იყო ქალღმერთი, რადგან, როგორც ირკვევა, მასში ერთდროულად იყო ძალიან ბევრი რამ.

ცირა იყო გეა (მინა, ქვეყანა), იყო ერი, ჰერი, ჰერა;

ცირა იყო ოჯახისა და ქორწინების მფარველი ნმინდა არსება;

ცირა იყო ქალური სანყისის სიმბოლო;

არა მარტო სიმბოლო - ცირა იყო დედა, მეუღლე, საყვარელიც!

ამასთან ერთად ცირა იყო რეალური ისტორიული პირიც. ის იყო კოლხეთის პრინცესა, ყავდა სულ ცოტა, სამი ქმარი და გააჩინა შვილები, რომლებაც შექმნეს ევროპის დიდი კულტურა და ცივილიზაცია.

ჰყავდა მინიმუმ ხუთი ღვიძლი და-ძმა: აიეტი, პერსი, ალოე, პასიფაე, კალიფსო.

ამ ექვს ღვიძლ და-ძმას შესაძლებელია ყავდათ კიდევ ორი ღვიძლი და:

ჰეკატა (Ἑκάτη, Ekath, საიდუმლო ქალღმერთი);

ეგა (Aega, Αἴγυ, ანუ დიდება, ნათება, ბრწყინვალეობა, ჩირაღდანნი).

ამ ღვიძლი და-ძმების გარდა შემდგომში აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ მათ ნახევარ და-ძმებზე, ჰელიოსის შვილებზე, მაგ. კოლხ კორიბანტებზე, ფაეტონზე და სხვ.

თუმცა, ნუ ავჩქარდებით. ყველაფერი მოვყვეთ თანმიმდევრობით.

დავიწყოთ სულ-სულ თავიდან.

ცირას გენეალოგია იწყება მისი ბებია-ბაბუიდან, რადგან პელასგების მითოლოგიით, ცირას ბებია-ბაბუამდე იყო მხოლოდ ევრინომა, პირველშიზეში სამყაროს არსებობისა.

უნდა ვიცოდეთ აუცილებლად:

როცა ძველზე უძველესი მითოლოგიისა და ისტორიის შესწავლა დაიწყეს, ევროპელებმა (რომაელთაგან დაწყებული) დაუშვეს უნებლიე, ზოგ შემთხვევაში კი არც ისე უნებლიე, შეცდომა - პელასგებსაც და ძველ ბერძნებსაც დაარქვეს ერთი სახელი - „ძველი ბერძენი“. ევროპამ გააერთიანა დაპყრობილი დამპყრობელთან, განადგურებული გამანადგურებელთან. ევროპამ გააერთიანა ორი ერმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ერი, განსხვავებული ცივილიზაცია, ორი სხვადასხვა კულტურა, სულიერება და განიხილავდა მას, როგორც ერთს, ერთიანს (და აღტაცებაშიც მოდიოდა, ეს რა მდიდარი და განსხვავებული სულიერი კულტურა ქონიათო). მხოლოდ დროდადრო ხდებოდა ძალზედ სუსტი მცდელობები ამ საქმეში გარკვევისა. მაგრამ მაინც, დღემდე, მართალია არც ისე დაბეჯითებით, მაგრამ ეს ორი ხალხი მაინც განიხილება ლამის ერთ ხალხად.

ვინ იყვნენ პელასგები? „საბერძნეთს ადრე პელასგია ერქვა“ (ჰეროდოტი).

პელასგები, კარიელები, ლელეგები, აბანტები, აონები და სხვანი იყვნენ მონათესავე წინა- და არაბერძნული კულტურის

ხალხები, რომელიც ბინადრობდნენ ბალკანეთის ნახავარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის აუზში. ქრისტეშობამდე დაახლ. სამ ათას წელს ბალკანეთისაკენ ჩრდილოეთიდან (ურალიდან შუა ევროპის გავლით) დაიძრა ველურ ნომადთა ურიცხვი ურდოები. მომხვედურთა შემოსევები და მათი რაოდენობა დაუნდობელ ტალღებად მოდიოდა და განუწყვეტლივ მატულობდა წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე. დამპყრობლებს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელი ერქვათ (იონიელები, აქველები, დორიელები), მაგრამ საბოლოოდ (ქრისტემდე მე-VII ს-ში) მათ დაირქვეს სახელწოდება „ელინები“. ქართველებმა მათ დაარქვეს „ბერძნები“, რომაელებმა კი „Graeci, Γραικοί“. (ეს დიდი თემაა, აქ ბევრი სადაოცაა და ამის დეტალურად განხილვა არ არის ჩვენი მიზანი).

ჩრდილოეთიდან შემოსევები დააგვირგვინა კაცობრიობის ისტორიაში ალბად ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა, ვიტყვოდი პლანეტარულმა კატასტროფამ ქრისტეშობამდე მეთორმეტე საუკუნეში, ე.წ. „ბრინჯაოს კოლაფსმა“ (Bronze Age Collapse), რომლის ძირითადი შემსრულებლები გახლდათ ველური დორიელები, რომლებმაც დაანგრიეს ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, გაანადგურეს ყველაფერი, რისი განადგურებაც შეიძლებოდა, მოსპეს ყველა იმდროინდელი სახელმწიფო და, მათ შორის, პელასგები და პელასგიაც.

კიდევ შვიდასი თუ რვაასი წელი იბრძოდნენ პელასგთა ნარჩენები როგორც შეეძლოთ, მაგრამ ქრისტემდე მეხუთე საუკუნეში ყველაფერი დამთავრდა. დამთავრდა პელასგების მოსპობით, განდევნით, სრული ასიმილაციით, შემდეგ კი დავიწყებით (ამ უბედურებებზე მოვყვებით ქვემოთ)...

მაგრამ გაქრობამდე პელასგებმა და მათმა განშტოებამ - ეტრუსკებმა, უკვე შექმნეს ევროპის (თუ არა მთელი კაცობრიობის) ცივილიზაციისა და კულტურული აზროვნების მთავარი საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნო იგივე ბერძნებისა და რომაელების შემდგომი დიდი ცივილიზაციები.

ცნობილი მეცნიერის იური ოტკუპშიკოვის (Ю.Откупщиков, «Догреческий субстрат») და სხვა მეცნიერების მიხედვით, აღარავის აღარ ეპარება ეჭვი, რომ ძვ.ბერძნული ლექსიკა შეიცავს პელასგური სიტყვების მძლავრ ფენას. აი მცირე ჩამონათვალი:

ფლორა და ფაუნა (დაფნა, კვიპაროსი, კამა, სუმბუ-ლი=Hyacinthus, მწყერი);

მშენებლობა (აკროპოლი=ზედა ქალაქი, კოშკი, კავი, ლავგარ-დანი, ხიდი, ოთახი, ღუმელი, დარბაზი, სახლი, თიხა, ქვა, აგური);

საზღვაო ტერმინოლოგია (ზღვა, გემბანი, გემის მართვა, ბაგირი);

სამხედრო საქმე (შუბი, ჯავშანი, ხმალი, კომბალი, ცული=ჩუგლუგი);

მეტაღურგია (მეტალი, რკინა, ფოლადი, ტყვია);

სოფლის მეურნეობა: ოლივა=ზეთისხილი, ἄμπελος - ყურძენი;

მუსიკა და პოეზია (არფა, კითარა-გიტარა, არგა, დაფდაფი, ტიმპანი, იამბი, დითირამბი);

მსოფლმხედველობა (კოსმოსი, სამყარო, სამკაული, მორთვა=მშვენება, ურანი, ფარდული=ჩარდახი);

აგრეთვე - მეუფე, ერი, მმართველი, პრიტანი=უფროსი, კამერა, ბუხარი, კერამიკა, ფილა, ქურა, ტირანი, კიბერნ(ეტიკა);

ღმერთების არც ერთი სახელი, არც ერთი თეონიმი არ არის ბერძნული (არც ინდოევროპული) - მაგ. Ἑρμῆς ჰერმესი; თვით მდრ-ზევის ფონეტიკაც არ ყოფილა ინდოევროპული, როგორც ეგონათ ადრე;

ამკარად პელასგურია ყველა ტოპონიმი სუფიქსებით მაგ. -νθ- ნთ (Κόρινθος კირინთო, Ζάκυνθος ზაკინთი), ττ- tt (Λυκαβηττὸς ლიკაბეთ-მთა), -σσ- სს (Παρνασσὸς პარნასი). რაც შეეხება მუზების მთას პარნასს (საბერძნეთი), ასეთივე დასახელების ქალაქი და მთა არის კაპადოკიაში, ამიტომ მეცნიერები მიაკუთვნებენ მას ანატოლიურ სუბსტრატს (კაპადოკია, ძველი საქართველო!);

ასევე ამკარად პელასგურია ყველა საკუთარი სახელი სუფიქსებით ანტ, ანფ, ონტ, ონ, ეუ - მაგ. Ὀδυσσεὺς ოდისეესი და ბევრი-ბევრი სხვა.

ჰომეროსის მიხედვით, ტროის ომში (XIII-XII) პელასგები და მათი მონათესავე ხალხები (ლიკიელები, თრაკიელები, ფრიგიელები, მისიელები, მეონები, პაფლაგონიელები და სხვანი) ტროელების ძირითადი მოკავშირენი იყვნენ. თუმცა მტრები ტროელებს ყავდათ როგორც მოკავშირეთა, ასევე ნათესავთა შორისაც.

პელასგებს მკვლევარნი უკავშირებენ ეგვიპტური წყაროების Pw-z-s-ty-ს, ხეთურ Parista-ს — მცირე აზიის ტომს, სემიტურ — Pelestim-ს — პალესტინელებს. პელასგების წარმომავლობის საკითხებზე არ არის აზრთა ერთიანობა. თანდათანობით ძლიერდება თვალსაზრისი, რომ პელასგები ქართველური ტომი იყო - ამას საფუძვლად უდევს მრავალი ენობრივი პარალელი, ანტიკურ წყაროთა მონაცემები და არქეოლოგიური მასალა.

ზ. გამსახურდია: „პელაზგებზე პირდაპირ არის ჰეროდოტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამი, რომ ისინი იბერები იყვნენ“.

ალექსანდრე აფანასიევი წერს, რომ პელასგები უსამართლოდ მივიწყებული ხალხია, რომელმაც შექმნა უდიდესი ცივილიზაცია, დაარსა ბევრი ქალაქი: კორინთო, არგოსი, იოლკი, ათენი [თუკიდიდე: „ტირენების (პელასგების) ენა წარსულში იყო ძველი ათენელების ენა], რომ მათ უახლოეს ნათესავ ეტრუსკებზე ბევრად უფრო მეტს წერენ ვიდრე პელასგებზე. აფანასიევსა და ბევრ სხვა მეცნიერს მიაჩნიათ, რომ:

„პელასგები - ეს არის ხალხი, რომლებმაც მისცეს ცივილიზაცია ბერძნებს და ევროპას,

პელასგები - ეს არის საბერძნეთი ბერძნებამდე,

პელასგები - ეს არის იტალია ეტრუსკებამდე,

პელასგები - ეს არის მალრიბი ფინიკიელებამდე,

პელასგები - ეს არის პალესტინა ებრაელებამდე,

პელასგები - ეს არის ინგლისი კელტებამდე“

პელასგები დღეს აღარ არსებობენ. ისინი აითქვიფენ სხვა ხალხებში. პელასგებზე დარჩა ლეგენდები და მცირე ჩანაწერები. რას იზამ, ასე მოხდა. ვის მიუძღვის ბრალი ამ უბედურებაში განვიხილოთ მოგვიანებით. ახლა კი, რამდენადაც შევძლებთ,

დავინწყით თანდათანობით გარკვევა ისტორიულ და მითოლოგიურ მონაცემებში, იქნებ ცოტა რაიმე უფრო დავაზუსტოთ, რა იყო და როგორ.

ვეცადოთ და იქნებ შევიტანოთ კიდევ ჩვენი მცირე ნვლილი ამ დიდ საქმეში.

პირველ რიგში იმის გამო, რომ ჩვენ, მათ ახლო ნათესავენს, არ მოგვივიდეს იგივე.

დავინწყით ევრინომით.

ბერძნებამდელი პელასგების გადმოცემებითა და რობერტ გრეივისის მიხედვით (ძალზედ მოკლედ):

სამყარო ოდესღაც ხომ შეიქმნა. დასაწყისში, ყველა არსებულისა და არარსებულის შემქმნელი იყო უმაღლესი ქალღმერთი ევრინომა. ევრინომა მართავდა სამყაროს - დროის მის მიერვე შექმნამდე. (რა იყო დროის შექმნამდე, იცის მხოლოდ ევრინომამ, პირველმიზეზმა სამყაროს არსებობისა).

ერთხელაც ქალღმერთი ევრინომა წამოდგა და განაცალკევა ერთი და სხვა.

ანუ: არსთა მათარსებელმა არსებული შექმნა არარსებულიდან.

ეს არის *Creatio ex Nihilo* - შექმნა არაფრისგან.

ევრინომას არ ჰქონდა ამის ვალდებულება, მაგრამ (ადამიანთათვის გაუგებარი ზებუნებრივი ძალით) მან შექმნა ხილული სამყარო. ეს იყო მისი თავისუფალი არჩევანი, ეს იყო მისი ნება - მან გადაიყვანა ყველაფერი არსებული არყოფნის მდგომარეობიდან ყოფნის მდგომარეობაში - *productio totius substantiâ ex nihilo sui et subjecti*. როგორ გადაიყვანა, რატომ გადაიყვანა, რა მიზეზით, რა მიზნით - იცის მარტო ევრინომამ. ადამიანის გონება ამას ვერ ჩანვდა დღემდე.

სამყაროს შექმნა იყო პირველი შემოქმედებითი პროცესი და ისტორიის დასაწყისი.

ევრინომა არის შემოქმედებითი სული, რომელიც არარსებულიდან ქმნის არსებულს.

ამ სახელის - ევრინომა - ახსნის ბევრი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე ახლოს უნდა იყოს ძვ. ბერძნული (ან პელასგური) „კეთილი სახელის მქონე“, ან უფრო მოკლედ - „კეთილი სახელი“.

პელასგებს მიაჩნდათ, რომ თავიდან ევრინომამ გამოყო ერთ-მანეთისგან და განაცალკევა ცა და ზღვა და შექმნა შვიდი ციური სხეული (ანუ ძალა) და დააყენა ყოველი მათგანის სათავეში თითო ტიტანი თავისი ტიტანიდით.

ტიტანები არიან უძველესი და უდიდესი ღმერთები, რომლებიც დაბადა ევრინომამ არაფრისგან.

თუმცა, ტიტანებამდე ერონომამ შექმნა ოფიონი, რომელიც შეიყვარა, მაგრამ შემდგომში ოფიონს დაეუფლა ამპარტავანება. ევრინომას მიერ შექმნილი ოფიონი ურხცვად აცხადებდა, რომ მან შექმნა სამყარო და სხვა ყველაფერიც, რაც არის ქვეყანაზე. ყვებიან, რომ ევრინომა დიდხანს ითმენდა ოფიონისაგან წყენას, ხშირად გესლვასაც (გადმოცემით ოფიონი ყოფილა გველი - ეს მისი გველობა შეიძლება მხოლოდ მეტაფორაც იყოს). მაგრამ როცა ოფიონის ქცევა გახდა აუტანელი, მისგან დაღლილმა ევრინომამ ერთი მაგრად ჩასცხო თავში, ჩაუმტვრია კბილები და ჩააგდო ტარტარში. *(შევადაროთ ეს ეპიზოდი ბიბლიის ფრაზას: „ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და ქალს შორის, შენს თესლსა და მის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს და შენ ქუსლს უგესლავდე!“ (დაბადება 3;15).*

პელასგების მითოლოგიური აზროვნება არის კლასიკური მონოთეიზმი, ერთღმერთიანობა - ყველაფერი შექმნა ერთმა ღმერთმა ნებითა და ძალითა მისითა.

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“...

ღმერთს დაუპირისპირდა მის მიერვე შექმნილი გაამპარტავებული არსება. ეს არსება დაისაჯა.

სამყაროს შექმნის პელასგური გაგება ძალზედ გავს სამყაროს შექმნის ბიბლიურ გაგებას. რასაც ვერაფრით ვიტყვით ძველ ბერძენთა რელიგიურ წარმოდგენებზე.

პელასგების დაპყრობის შემდგომ პალასგების მსგავს მითოლოგიას სამყაროს შექმნის შესახებ ქმნიდნენ ძველი ბერძნებიც (დაინყო ჰესიოდემ). მაგრამ მსგავსება არის უფრო გარეგნული, ვიდრე სულიერი და შინაარსობრივი, რადგან პელასგების აზროვნება არის აბსოლუტურად არაბერძნული: ძველ ბერძნებთან

ღვთის ნებას სამყარო არ შეუქმნია. პირიქით, სამყარომ და ადამიანმა შექმნეს ღმერთები.

ბერძნებთან ყველაფერი იწყება ქაოსიდან, რომელიც არსებობდა სამყაროს შექმნამდე.

ქაოსი არის კოსმოგონიური კატეგორია, სამყაროს პირველადი მდგომარეობა, უკიდევანო და ბნელი სივრცე, მატერიისა და სიცარიელის უფორმო (ანუ წესრიგის სანინააღმდეგო) ერთიანობა.

ჰესიოდეს მიხედვით ქაოსმა შვა ერებ-სიბნელე და ნიუქტა-ლამე, მათ კი ეთერი და დღე.

ანუ ძვ. ბერძენთა მიხედვით დღე და სინათლე გამოვიდა ქაოსიდან, სიბნელისა და ღამისაგან.

პელასგებთან კი სამყარო შექმნა სიკეთემ, ევრინომამ, „კეთილმა სახელმა“.

ედიტ ჰამილტონი: „ბერძნებს არ ჯეროდათ, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა (ღმერთებმა). მათი წარმოდგენით ყველაფერი მოხდა პირიქით: სამყარომ შექმნა ღმერთები“.

იგორ მახანკოვი: „აბსოლუტურად არასწორია ბერძნების მითებისთვის რაღაც „სულების“ მინებება. ბერძნებისთვის სამყარო მატერიალურია, რადგან შექმნილია სუფთა მატერიალური პირველსაწყისებით - ცითა და დედამინით. აქ ვერაფერს ნახავთ არამატერიალურს, უმაღლესი ღმერთებიც კი მატერიალურები არიან - რა თქმა უნდა, მათი სხეულები უფრო სრულყოფილია, ხოლო ძარღვებში ჩქეფს ღვთიური სისხლი - „იქორი“. „სულიერების“, როგორც სასიცოცხლო ძალის („პნევმა“) ცნება და გაგება არსებობს, მაგრამ გულისხმობს სუფთა მატერიალურ სუნთქვას“...

ბერძნებმა არაფერი იცოდნენ მიცვალებულების სულების შესახებ. ისინი ცნობდნენ მათ მხოლოდ აჩრდილებს. (რა თქმა უნდა - ქრისტიანობის მიღებამდე).

კრეტაზე პელასგების ზევსის (დააკვირდით, არ ბერძნების, არამედ, პელასგების ზევსის) გაჩენის შესახებ დიდი რუსი მეცნიერი ალექსეი ლოსევი წერდა:

„ძველი ბერძენისთვის ღმერთის დაბადება და გარდაცვალება არის კურიოზული ეგზოტიკა, რაღაც მხიარული გამონაგონი, მაგალითად როგორც... ათინას დაბადება ზევსის თავიდან“...

„ზევის დაბადების მოტივი, როგორც აღიარებს თანამედროვე მეცნიერება (მაგ. ნილსონი), არის სრულიად არაბერძნული, რადგან ბერძნებში ღმერთები არც იბადებიან, არც კვდებიან“...

„ღმერთების დაბადების მოტივი არ წარმოადგენს მათი საკუთარი მითოლოგიის მოტივს, ის მიეკუთვნება მათ უცნობ წინამორბედებს“...

ეს უცნობი წინამორბედები იყვნენ პელასგები. პელასგთა არსთა მაარსებელს ევრინომას მოუნდა და შექმნა ღმერთი, თან ერთი კი არა - შვიდი, ანუ შვიდი ძალა, შვიდი ტიტანი, შვიდი ციური სხეული. ესენი არიან (რ. გრეივისი ღმერთებს მოიხსენიებს ხან ბერძნულად, ხან ლათინურად):

<p><b>ჰიპერიონი</b> (Υπερίων) და მისი მეუღლე <b>თეია</b> (Θεία) ფლობდნენ მზეს. (ჰიპერიონი და თეია იყვნენ ჩვენი ცირას უშუალო ბაბუა-ბებია).</p>	<p>მზე - სინათლისათვის</p>
<p><b>ატლანტი</b> (Ατλας) და მისი მეუღლე <b>თებე</b> (Φοίβη) ფლობდნენ მთვარეს. თვით ატლანტი არის სამყაროს ღმერთის (მსოფლიოს ხის) პერსონიფიკაცია, სამყაროს კოსმიური მოდელი. ტიტანებზე გამარჯვების შემდეგ, ზევსმა ოლიმპიელების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის გამო ატლანტს აიძულა მხრებით დაჭიროს ცის კამარა. ატლანტსაც უჭირავს ცის თალი - არა იმდენად ძალით, რამდენადაც ინტელექტითა და სულიერებით</p>	<p>მთვარე - შულოცვებისათვის</p>
<p><b>კროსი</b> (Κροίς Κρείος, ვერძი, ყოჩი) და მისი მეუღლე <b>დიონა</b> (Διώνη) ფლობდნენ პლანეტა მარსს. დიონა (მიკენურ-პელსგური divia di-u-ja) - წვიმის ქალღმერთი</p>	<p>მარსი, ანუ არესი - ზრდისათვის</p>

<p><b>კოიოსი</b> (Κοῖος) და მისი მეუღლე <b>მეტისი</b> (Μήτις) ფლობდნენ პლანეტა მერკურის. კოიოსს ქონდა იდუმალი კავშირი კუნძულ კოს-სთან, მეტისი (მეთიდა) კი იყო განსახიერება სიბრძნისა.</p>	<p>მერკური, ანუ შერმესი-სიბრძნისათვის.</p>
<p><b>ევრიმედონტი</b> (Εὐρυμέδων) და მისი მეუღლე <b>თემიდა</b> (Θέμις, Θέμιδος) ფლობდნენ პლანეტა იუპიტერს (Iuppiter, Ζεύς, Ζεὺς πατήρ).</p>	<p>გიგანტი იუპიტერიდა თემიდა – კანონებისათვის</p>
<p><b>ოკეანე</b> (Ὠκεανός) და მისი მეუღლე <b>ტეფია</b> (ტეტისი, Τηθύς) ფლობდნენ პლანეტა ვენერას (Venus)</p>	<p>ვენერა, ანუ აფროდიტე-სიყვარულისათვის</p>
<p><b>კრონოსი</b> (Κρόνος) და <b>რეა</b> (Ῥέα, Ῥεΐη) ფლობდნენ სატურნს. ეს მეტად რთული წყვილია. კრონოსის დრო იყო კაცობრიობის ოქროს ხანა. შვეს ექვსი ოლიმპიელი ღმერთი (ჰესტია, დემეტრა, ჰერა, აიდი, პოსეიდინი, ზევსი). რეამ (იგივე კიბელე, ყამარი) კრეტაზე ფარულად შვა ზევსი (ზევსი პელასგთა ღმერთი იყო ბერძენთა გამოჩენამდეც). ზევსს იცავდნენ და ზრდიდნენ კოლხი კურეტები (კორიბანტები, კაბირები). ამათზე - ცალკე.</p>	<p>სატურნი (კრონოსი)-მშვიდობისათვის.</p>

მაშასადამე, პელასგების მიხედვით ევრინომამ შექმნა შვიდი წყვილი ტიტანი, 14 უძველესი ღვთაება. „ტიტანი“ პელასგური სიტყვაა და, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მზის მცხუნვარე-ბასთან, მის მეუფებასთან ან მის ცოდნასთან. ტიტანებმა შეავსეს მთელი სამყარო, ცა და დედამიწა და თავისი შთამომავლობით მისცეს დასაბამი ყველაზე ძველი და დიდი ღმერთების თაობებსა და ადამიანებს.

პელასგების ქალღმერთ ევრინომას შემდგომი ქმედებების შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით. ვიცით (ასე თუ ისე) გადმოცემები ევრინომას შესახებ უკვე ძველი ბერძნებისა. მაგრამ ბერძნები, როგორც დამპყრობლები, ყველაფერს პელასგურს შეგნებულად თუ შეუგნებლად ცვლიდნენ, ხშირად ამახინჯებდნენ ან სულაც ანადგურებდნენ.

იგივე მოხდა მითოლოგიაშიც. ბერძენი ჰეროდოტე წერდა რომ პელასგები განვითარებაში ბევრად უსწრებდნენ ბერძნებს, რომლებმაც მიითვისეს ზოგიერთი პელასგური ღმერთის სახელი და მრავალი კულტიც (მაგ. კორიბანტ-კურეტი-კაბირების).

თუმცა ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნების არა „ზოგიერთი“, არამედ თითქმის ყველა ღმერთი პელასგური წარმოშობისაა. ბევრი სხვა ანტიკური ავტორი წერს დაახლოებით იგივეს - მაგრამ ბერძნებში ეს მაშინ (წარმოიდგინეთ, ახლაც!) ითვლებოდა „არაპატრიოტულად“, ანტიბერძნულ ქმედებად, რადგან, მაგალითად „პლანეტების მფლობელების ბუნება ბერძენთაგან ყოველთვის აღიქმებოდა როგორც არაბერძნული“ (ჰეროდოტე, I.131).

„პლანეტების მფლობელები“ ხომ ევრინომას მიერ შექმნილი ტიტანებია. ტიტანები და მათი ბუნება ბერძენთათვის უცხო, „არაბერძნული“ ანუ პელასგური იყო! ამას ამონიშნებს თვით ჰეროდოტე.

არისტოფანე (V ს. ქრისტემდე) კი პირდაპირ ადანაშაულებდა სელენასა და „გაიძვერა ჰელიოსს“ (მთვარესა და მზეს!) ბერძნების ლალატში, თითქოს ისინი ამზადებდნენ შეთქმულებას საბერძნეთის სპარსელთათვის ხელში ჩასაგდებად („სამყარო“, 403). არც არის გასაკვირი - „პლანეტების მფლობელები“ ხომ პელასგთა ღმერთები არიან!

მითები შექმნეს პელასგებმა (ამას ძვ. ბერძნები არც უარყოფდნენ), ამიტომ მოგვიანებით თვით პელასგებს აღიქვამდნენ მითოლოგიურ არსებებად. ბერძნებმა პელასგების მითოლოგიასა და ისტორიაზე დაყრდნობით, ააგეს საკუთარი მითოლოგია, ისტორია და უდიდესი (ვიტყოდი - განსაცვიფრებელი) კულტურაც. ძვ. ბერძნებმა აიღეს პელასგების მითები და გადაამუშავეს თავისნაირად. მაგალითად:

პელასგების ევრინომა, პირველმიზეზი სამყაროსი, ბერძნებთან გახდა მეორეხარისხოვანი ქალღმერთი: ჰესიოდეს მიხედვით ის უკვე ოკეანესა და ტეტისის ასულია, ზევსის ხარჭაა, რომელსაც მისგან ყავდა სამი ქარიტა (მხიარულების, მიმზიდველობის, სილამაზის ქალღმერთები) და მდინარის ღმერთი ასოპი. ევრინომა ბერძნებმა გადააქციეს ქალღმერთ ჰარმონიის მსახურადაც.

ევრინომას ტაძარი იდგა პელასგებთან, არკადიაში. მის ქანდაკებას კი გარშემო შემოხვეული ჰქონდა ოქროს ჯაჭვი (სიმბოლო პელასგების ბერძენთაგან დატყვევებისა?). ბერძნების მიხედვით, ევრინომამ დაამთავრა სავალალოდ - მეფობდა რა ერთ დროს ოლიმპოზე ოფიონთან ერთად, ხელჩართულ ბრძოლაში შევიდა რეასთან, დამარცხდა და ჩაგდებულ იქნა ტარტარში. ამ მითში კარგად ჩანს პელასგების განადგურების ამბავი: პელასგების ღმერთები ზევსი და დედამისი რეა ბერძნებმა გამოაცხადეს თავის ღმერთებად (ზოგი წერდა, გადაიბირეს), დაამარცხებინეს ევრინომა და თვითონ გაბატონდნენ ოლიმპოზე, უკვე როგორც ბერძნები. მიუხედავად ამისა, პელასგებს ძალიან უყვარდათ თავისი ევრინომა და სანამ საერთოდ არსებობდნენ და სანამ მთლიანად გადაგვარდებოდნენ (ქრისტიმდე მეხუთე საუკუნეში), ხშირად არქმევდნენ თავის ახალდაბადებულ გოგონებს ლამაზ პელაზგურ სახელს „ევრინომა“.

ევრინომა დატყვევებულია ტარტარში. მასთან ერთად კი სხვა დიადი პელასგებიც. ზოგი ტარტარშია, ზოგი აიდში, ზოგიც მიჯაჭვულია კავკასიის მთებზე. ბერძნებამდელი ღმერთები, ჰიპერეონი, ტიფონი, გიგანტები, ექიდნა, არახნა, მედუზა, მინოტავრი, ჰარპიები, გორგონები, კოლხიდის ხარები, პრომეთეოსი, ტანტალი და ბევრი სხვა არსება თუ ადამიანი ბერძენთაგან წარმოდგენილია ჩვენთვის როგორც უმძიმესი და უპატივბელი დანაშაულების ჩამდენი. მაგალითად, მედუზა გორგონას ბერძნები გვიხატავენ როგორც საშინელი გარეგნობის, უზარმაზართავიან, კბილებდაკრეჭილ, ენაგადმოგდებულ, თმის ნაცვლად თავზე გველებგადაყრილ არსებად, რომელის შეხედვაც ყველა სულიერს აქვავებს. პელასგებთან კი მედუზა იყო სილამაზის ქალღმერთი, კეთილი და სათნო, მაგრამ ძლიერი არსება, რომელიც ვერაფრით გატეხეს მომხვდურებმა. ტიტანებზე

გამარჯვების შემდგომ კი ბერძნებმა გადააქციეს სილამაზის განსახიერება მედუზა საზიზლარ ურჩხულად. მითების საკუთარ რედაქციებში, რა თქმა უნდა...

იგივე ითქმის თითქმის ყველა ბერძნებამდელ ღმერთზე და გმირზე...

(ძვ. ბერძნულად მედუზა - Μένιςα - ნიშნავს თითქოს „დამცველს“, „მბრძანებელს“, თუმცა ამ სახელის მნიშვნელობა პელასგურად ჯერ კიდევ ამოსაცნობია - ისევე. როგორც მაგალითად „მე-ღეა“, „მე-ტისი ანუ მე-ტიდა“ და სხვ.)

ევრინომამ, სანამ ამ ამბებს დაიტეხდა თავს, მოასწრო და შექმნა პირველი ადამიანი.

ამ ადამიანს ერქვა პელასგი (პელაზგი).

ჰომეროსი, რომელიც ძალიან აფასებდა პელასგებს, მაგრამ თავს მაინც იკავებდა არაბერძნების ქებიდან, ახასიათებს პელასგებს ასე:

„ღვთის დარი ხალხი“, აგრეთვე - „პირველი მოდგმა ადამიანის ჯიშისა - კრეტელები და პელასგები“.

ასევე „ღვთიურ ხალხად“ ახასიათებს პელასგებს ასიუს სამოსელი (VII ს. ქრისტემდე).

ეს ღვთის დარი პელასგი გამოვიდა არკადიის მიწიდან, მას მოყვნენ სხვებიც, რომელთაც პელასგმა (პირველად კაცობრიობის ისტორიაში) ასწავლა ქოხების აშენება, ნაყოფების ჭამა, ტყავის ტანსაცმლის კერვა და ჩაცმა.

**თუკიდიდეს** (დაახ.460-400 ქრისტემდე) მიხედვით, ასე დადიოდნენ ფოკიდასა და კუნძულ ევბეაზე.

\*\*\*

ჩვენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ შვიდივე წყვილი ტიტანის ყველა ასპექტი და მნიშვნელობა.

ამჯერად დავიწყოთ პირველი წყვილი ტიტანითა და მათი შთამომავლებით.

ტიტანი **ჰიპერიონი** და მისი მეუღლე ტიტანიდა **თეია (თეა)** ფლობდნენ მზეს, ანუ სინათლეს.

ჰიპერიონი, იპერიონი - ბერძენი ჰესიოდეს მიხედვით, მზის ღმერთი-ტიტანი, რომელმაც თეიასაგან გააჩინა სამი შვილი - **მზე, აისი და მთვარე.**

სიტყვა „ჰიპერიონი“ ნიშნავს ყველაზე მაღალს, ყველაზე კაშკაშა ღმერთს.

სიტყვასიტყვით: „ის, ვინც დადის ყველაზე მაღლა“, ანუ, „ის, ვინც არის ყველაზე მაღლა ცაზე“,

თანამედროვეობაში სიტყვა „ჰიპერ“, *ὑπέρ*, Hyper - პელას-გურიდან ბერძნულში და იქიდან ევროპულ ენებში გადავიდა პრეფიქსად და გაიგება, როგორც „ზე“, „ზემო“, „ზეალმატებული“, „ზებუნებრივი“, „ზევით მყოფი“, ნორმასთან შედარებით უფრო მეტად გაზრდილი. მაგ., ჰიპერაქტიური, ჰიპერტონია და სხვ. „სუპერის“ კიდევ უფრო აღმატებული ფორმა.

სხვათაშორის, ჰიპერიონი დაარქვეს, მარადმწვანე საკვიოის ჯიშის ყველაზე მაღალ ხეს.

ჰიპერიონს ძალზედ ხშირად აიგივებენ მის ძესთან - ჰელიოსთან („ოდისეა“ XII), ელინისტურ მითოლოგიაში კი პირდაპირ მიაჩნიათ, რომ **ჰიპერიონი და ჰელიოსი არის ერთი და იგივე ღმერთი.** [გავიხსენოთ - მამა და ძე რამ გაყო. „მე და მამა ჩემი ერთ ვართ“ (იოანე, 10:30); „რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი“ (იოანე, 14:9); თუმცა - „მამა ჩემზე უმეტესია“ (იოანე, 14:28)].

ჰიპერიონი არის ჰელიოსის ეპიკლესა, ანუ მუდმივი ეპითეტი, ღმერთის წმინდა მეტსახელი, თიკუნი.

თეია. პელასგების შემდგომი ბერძნები (ჰესიოდე და სხვანი) წერდნენ, რომ თეია იყო (ისევე როგორც ჰიპერიონი) ურანოსისა და გეას, ანუ ცისა და მიწის, უფროსი ასული.

მითოლოგიური ტრადიციით თეია გაიგივებულია დიდ დედასა და კიბელესთან. (კიბელე, ყამარი, რეა - მიწიერ არსთა მშობელი, ბუნების ამყავებელი, განმანაყოფიერებელი და ამალორძინებელი).

ჩადგმა: სხვათაშორის - თეია არის ჰიპოტეტური პლანეტა, უფრო დიდი, ვიდრე დედამიწა. თეია ოდესღაც დაეჯახა დედამიწას და მაშინ შექმნილა მთვარე. ბერძნები პელასგებს „მთვარემდელებს“ ეძახდნენ - *προσελήνοι*, Proselenes, ანუ „უფრო

ძველნი, ვიდრე მთვარე“. ასევე ფიქრობდნენ თვით პელასგებიც. პლუტარქე წერდა, რომ არკადიელი პელასგები იყვნენ პირველი ადამიანები დედამიწაზე, „ნარღვნამდელები“ და იმ გიგანტურ დაჯახებისას გადარჩენილები. პელასგები თვლიდნენ, რომ არიან ნარჩენები იმ უდიდესი კულტურის ისტორიამდელ ხალხისა, რომლებიც ცხოვრობდნენ კრონოსის ოქროს ხანის დროს (ამ დიდ თემასაც განვიხილავთ შემდგომში).

პელასგების და ბერძნების მითები ადასტურებენ, რომ ჰიპერიონი იყო მზის პირველი ღმერთი, მისი მეუღლე თეია - მთვარის პირველი ქალღმერთი. მათ შთამომავლობას ბაბუის (პაპის) სახელის გამო ჰიპერიონიდები ერქვათ.

დიოდორე სიცილიელი თავის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში (V 67, 1) წერს, რომ ევჰემერისტების ახსნით ჰიპერიონი ერქვა ადამიანს, რომელმაც პირველმა შეიცნო და ზუსტად გაიაზრა ციურ მნათობთა მოძრაობა, ამიტომ დაარქვეს მას ამ მნათობთა „მამა“. ისტორიულ დროში შეიძლება ასეც იყო და შემდეგ მიიღო მითის ფორმა. ერთი მეორეს არა თუ არ გამორიცხავს, პირიქით - ავსებს.

როცა წერს ჰიპერიონის სიკვდილზე (Diodori Bibliotheca historica III.60.2), დიოდორე, როგორც ჩანს გულისხმობს მის ტარტარში ჩაგდებას, თუმცა ეს ავტორი იყო ევჰემერისტი და მისი მიზანი იყო მითების ტყუილებში მხილება, მაგრამ დიოდორეც კი არ უარყოფს ჰიპერიონის არსებობას.

აზა ტახო-გოდი წერს: ჰიპერიონმა ამ ცეცხლოვანი ბრწყინვალეებით სავსე ტიტანმა, თეიასთან ერთად შვა მზე, მთვარე და აისი. დედამიწის ამ შვილიშვილებმა გამოქვაბულებში შეყრილ საცოდავ ხალხს აუნთეს ცის მწყალობელი ცეცხლი და გაანათეს დღე, ღამე და განთიადი (ჰესიოდე, „თეოგონია“ 371- 374).

ამის გამო ხომ არ ჩააგდო ზევსმა (რომელიც ვერ იტანდა ადამიანებს) ჰიპერიონი ტარტარში, როცა გაიმარჯვა მასზე?

პრომეთეც ხომ ამის (ადამიანებისათვის ცეცხლის, ანუ განათლების გაზიარების) გამო მიაჯაჭვა ზევსმა კავკასიონის მთებს!

ვერსია. დიონისე სქიტობრახიონი (Διονύσιος Σκυτοβραχίων, Dionysii Scytobrachionis, II ს. ქრისტემდე):

მეუღლე ჰიპერიონისა იყო ბასილეა (Βασιλεία), ურანის (ცის) და ტიტეას (მინის, გეას) ასული.

ბასილეას დედამ, ტიტეამ, შვა ტიტანები ერთ-ერთი კურეტისგან (sic! დიოდორე სიცილიელი, ისტორიული ბიბ-თეკა V 66, 2). ტიტეამ ურანისგან შვა აგრეთვე 18 ძე და რამდენიმე ასული, მათ შორის ბასილეა და რეა. სიკვდილის შემდეგ ტიტეას დაარქვეს გეა.

სქიტობრახიონის მიხედვით, ქალღმერთი ბასილეას სახელია „დიდი დედა“. ბასილეა გახდა ხელმწიფე მამის სიკვდილის შემდგომ (მამა ხომ ურანია, ცაა? ცა როდის მოკვდა? იქნებ რომელიღაც სხვა ცას გულისხმობს? ან იქნებ ჩვენი ეს ცა მართლაც მოკვდა და ჩვენ არ ვიცით?)

ბასილეა იყო დაი ჰიპერიონისა. შემდეგ მისი ცოლიც გახდა. შვა ჰელიოსი (ელია) და სელენა (მთვარე).

ქმრისა და შვილების სიკვდილის შემდეგ დაკარგა გონება და დაეხეტებოდა ქვეყანაზე ტიმპანონებით, წინწილებითა და დაფდაფებით. (იხ. კიბელა). (ჰიპერიონიც მოკვდა? როდის? იქნებ დიონისე სქიტობრახიონი მის ტარტარში ჩაგდებას გულისხმობს? ან იქნებ გვიყვება რომელიღაც ოჯახის შესახებ, რომელთა წევრებს ასეთი სახელები ქონდათ, ჩვენ კი მითოლოგიაში გადაგვყავს? დასამუშავებელია)

ჰიპერიონის გენეალოგიას ვერ გავაგრძელებთ, სანამ არ დავაზუსტებთ ჩვენთვის მთავარს:

დარწმუნებული ვარ - სახელი ჰიპერიონი (იპერიონი - Ἰπερίων – Iperion) მოდის სახელიდან იბერიონი.

ან პირიქით, იბერიონი მოდის ჰიპერიონიდან.

მთავარია ის, რომ იბერიონი იგივე ჰიპერიონ-იპერიონია!

ჰიპერიონის, ანუ იბერიონის ძისწულები, ანუ შვილიშვილები (აიეტი, ცირა და სხვანი) კი იბერიონ-კოლხები არიან! პელასგური და ბერძნული მითები პირდაპირ გვიდასტურებენ, რომ ჩვენ, იბერები და კოლხები, ერთნი ვართ და მზის მოდგმისანი ვართ!

მეტიც, რომ მზის (ელიას) მამა იყო იბერიონი, ანუ იბერის შვილი! (დასამუშავებელია სერიოზულად, გამონვლილვით!).

სიტყვა ჰიპერიონი სავსებით ქართულად უღერს. შდრ. კავკასიონი, შატილიონი, როშკიონი, ბახტრიონი, ფრასგიონი, კვირიონი, კოპალა კარატიონი, გახუა ჭორმეშიონი და სხვა. იქნებ „რიონიც“.

პელასგურშიც უამრავია - დევქალიონი, ორიონი აქტეონი, ლაოდემონ(ტი) და სხვა.

„ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა... მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა“. (ზ. გამსახურდია). იგივეს ამტკიცებენ ავსტრიელთა და ამერიკელთა მიერ წარმოებული მსოფლიოს ხალხთა უახლესი გენეტიკური კვლევებიც...

იბერიონმა (იბერის ძემ) გააჩინა მზე. იბერიონის ძე მზეა (ჰელიოსი, ჰელია, - ჩვენი ელია! იხ. ივანე ჯავახიშვილი ელიას შესახებ). მზის ანუ ელიას შვილები კი იყვნენ კოლხები და კოლხეთის მეფეები, დედოფლები, პრინცები და პრინცესები. პირდაპირი შთამომავლობა გადახვევების გარეშე. ასეა ეს, ასე!

აი რას წერს დიდი მეცნიერი Lewis Spence ნიგნში „ძველი ბრიტების საიდუმლოებანი: „დასახლება Eboracum, ანუ York, იღებს სათავეს იბერიელების ღვთაებაში, რომელსაც ერქვა IPOR-ი, ანუ იპერიონი...“!

ესე იგი, ბატონ ლიუის სპენსს მიაჩნია, რომ იპერიონი იყო იბერიელების ღვთაება და Eboracum-ი მოდის იბერიელებიდან! იბერიონთან დაკავშირებით ასეთი მიგნებები კიდევ არსებობს, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ ბევრი არა ვიცით რა. ნაკლებად ვიცით, ისიც, რომ ბრიტანიის კუნძულების ძველზე-ძველი მოსახლეობა იყო იბერიული წარმოშობისა, თუმცა ეს დიდი ხანია უკვე დამტკიცებულია. (ეს თემა ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა, ის ცალკე დისერტაციებს საჭიროებს. ჩემის მხრიდან ამჯერად

ვიტყვი მხოლოდ, რომ მიმაჩნია, რომ ბრიტანიის პირველმოსახლე ხალხის სახელი „ბრიტი“ უნდა მოდიოდეს სიტყვიდან „იბერიტი“. აქედან - „ბრიტანია“).

სახელს იბერიონი ატარებდა რამდენიმე ცნობილი პირი, მათ შორის ტროის მეფის პრიამოსის ერთ-ერთი ძე (ტროა ხომ ქართველური მოდგმის ხალხით იყო დასახლებული!). თუმცა ტროელების მოსისხლე მტრის - აგამემნონის ძეს, მეგარის უკანასკნელ მეფესაც, იბერიონი ერქვა!

იბერიონის მეუღლეს, ხარისთვალა თეიას აქვს სხვა სახელიც - ევრიფაესა. სრულად მას ერქვა  $\Theta\epsilon\acute{\iota}\alpha$   $\text{E}\acute{\upsilon}\rho\upsilon\phi\acute{\alpha}\epsilon\sigma\sigma\alpha$ , Theia Euryphaessa.  $\text{E}\acute{\upsilon}\rho\upsilon$  ძე. ბერძნულად ნიშნავს როგორც ფართეს, ასევე კეთილსაც,  $\Theta\alpha\epsilon\sigma$ ,  $\phi\alpha\epsilon\sigma$  ნიშნავს ნათებას, მაგრამ იქნებ ფასისაც? ხომ არ არის ამ სახელში რაიმე ამდაგვარი საიდუმლო?

ვერ გეტყვით. გამოკვლევაა საჭირო. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ იბერიონიცა და თეიაც ფლობდნენ მზეს, ანუ სინათლეს და მფარველობდნენ აღმოსავლეთს. იმდროინდელ ევროპაში კი კოლხიდა და იბერია შორეულ აღმოსავლეთად ითვლებოდნენ.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ იბერიონის ძის, სხივმოსილი ელიოსის სამფლობელო ბერძნებისათვის ძველთაგანვე იყო შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი!

ჰელიოსი და მისი მეუღლე პერსეიდა.

იბერიონისა და თეიას ძე იყო ჰელიოსი,  $\text{H}\acute{\epsilon}\lambda\iota\omicron\varsigma$ ,  $\text{H}\eta\lambda\iota\omicron\varsigma$ , Hlioz, ელიოსი, ეელიოსი, ელია - მზის ღმერთი, ანუ თვით მზე, სელენას (მთვარის) და ეოსის (აისის, განთიადის) ძმა.

ელია არის უნივერსალური მსოფლიო ძალა, ყველაფრის მაცოცხლებელი.

ელია მზის ღმერთია ლათინებისთვისაც (ლათინურად - Sol).

ელია მიღებულიყო ოლიმპიელების წრეში, მაგრამ მოგვიანებით, ჰომეროსთან (VIII) და კიდევ უფრო მოგვიანებით, ევრიპიდეს ეპოქაში (VI-V), ელიას ადგილი ბერძნებმა მისცეს თავისიანს - კრონიდ აპოლონს და მისცეს ახალი სახელი - ფებოსი, ფები (Phoibos მბრწყინავი).

ელია და აპოლონ-ფებოსი არიან სულ სხვადასხვა ღმერთები რობერტ გრეივისი აღნიშნავს, რომ ელია ყოველ დილას სვლას იწყებს კოლხეთში მდებარე ბრწყინვალე სასახლიდან და გადის მთელ გზას თავის ეტლით დასავლეთში მდებარე არანაკლებ ბრწყინვალე სასახლემდე, სადაც ასვენებს ოთხივე ცხენს ნეტართა კუნძულებზე. და რომ ელია-მზე ყველაფერს ხედავს ზემოდან, ღმერთებისა და ადამიანების კარგსაც და ცუდსაც...

ელიას კულტი განსაკუთრებით იყო გავრცელებული პელასგებთან: კორინთოში, არგოსში, ელიდაში, კუნძულ როდოსზე - ელია იყო როდოსის მფლობელი, ნავსადგურში კი იდგა მისი, მზის ღმერთის უზარმაზარი ქანდაკება, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი.

სიცილიაზე ელიას ყავდა შვიდი წმინდა საღმრთო ხარი და შვიდი ცხვარი, რომლებსაც იცავდნენ ელიასა და კლიმენას (თუ ნეერას) ასული ნიმფები - ფაეტუსა (კაშკაშა) და ლამპეტია (ბრწყინვალე).

ელიას სახელს იფიცებს ყველა, განსაკუთრებით შურისმაძიებლები.

ელია კურნავდა უსინათლოებს და სჯიდა უსინათლობით.

პერსეიდა, ელიას მეუღლე, ოკეანიდა. ტიტან ოკეანესა და ტეტისის ასული. სამი ათას ოკეანიდ დასთან ერთად პატრონობს წყლის ყველა ნაკადს დედამიწის ზედა და ქვედა სფეროებში.

პერსეიდა ხშირად ასოცირდება ჰეკატასთან (ჰეკატა ძალზედ საიდუმლო არსებია. მასზეც - ცალკე).

ელიასა და პერსეიდას შვილები იყვნენ:

ალოე, პერსი, აიეტი, კირკა, პასიფაე, კალიპსო (შესაძლებელია ჰეკატა და ეგაც).

ელიას სხვა ქალბატონებისგანაც ყავდა შვილები. მაგალითად, პერსეიდას ნახევარ-დამ, კლიმენამ, ელიას გაუჩინა ქვეყნის დამანგრეველი ფაეტონი (იხ.), პოსეიდონის ასულმა როდამ კი ძე მაკრონი (მაკარი).

მაკრონი?! იბერიონის შვილიშვილს მაკრონი (მეგრელი) ერქვა!

გამ (დედამინამ, ცირამ) ელიას გაუჩინა ცნობილი კურეტიები (ვერსია - ელიას ისინი გაუჩინა ათინამ).

კურეტიები - იგივე კაბირები, კორიბანტები, ტელხინები, დაქტილები - ღვთიური წარმოშობის პირველი ერთიანი ისტორიული ერი კოლხიდიდან და/ან კრეტიდან და/ან მიდია-ბაქტრიანადან.

ალექსეი ლოსევი წერდა, რომ „არსებობს წყარო, რომელიც მოიხსენიებს მთელ ევბეას (ეგრიპოსს) როგორც „კურეტიდას“, ანუ კურეტიების სამშობლოს.

სტრაბონი წერდა: „კორიბანტების სამშობლო ზოგის აზრით არის კოლხიდა, ზოგისა - ბაქტრიანა“.

ბაქტრიანა არის იგივე მიდია, მედეასა და იაზონის დაარსებული კოლხ-იბერიული სახელმწიფო კავკასიის სამხრეთიდან შუა აზიამდე დღევანდელი ირანისა და სხვა ქვეყნების ჩათვლით. ისტორიული წყაროებით, ერთ დროს აქ იყო საგართია, ანუ საქართი, საქართველო, სადაც თაყვანს სცემდნენ არმაზს, გაცს და გაიმს. თეოგნიდე (1001) და სტრაბონი (11, 526) წერენ რომ მედეას ვაჟმა მედეოსმა (მედოსმა) აქ დაარსა სახელმწიფო მიდია. ეს სახელი უწინდელ არეიას ეწოდა მედეის საპატივცემულოდ. (ჰესიოდე, თეოგონია, 100, 1). (არეია - არიან-ქართლი??)... მედეას შვილი კი ინდებთან ბრძოლაში დაიღუპა.

სტრაბონი წერდა აგრეთვე, რომ კორიბანტები, ელიას (მზის) ვაჟები და ნახევარძმები კოლხი აიეტისა, მოვიდნენ კოლხეთიდან ფრიგიაში, კრეტაზე, ევბეა-ეგრიპოს-მაკრიდაზე, სამოთრაკიასა და სხვა კუნძულებზე ხმელთაშუაზღვისა.

სამოთრაკია ცნობილი იყო კაბირულ-კორიბანტული მისტერიებით. ეს იყო განსაკუთრებული საიდუმლო. თვლიდნენ, რომ იყო სულ შვიდი კაბირი, „ცეცხლის შვიდი სული სატურნის ტახტის წინაშე“, ვარსკვლავთა შორის შვიდი მოხეტიალე პლანეტა. მისტერიების დროს ეთაყვანებოდნენ კიბელეს (ყამარს), დიონისეს, ტოტს (თუთას, ეგვიპტის ინტელექტუალური ცხოვრების შემქმნელს), ოსირისს (აღორძინების ღმერთს ეგვიპტეში).

[აქ აუცილებლად მოსაყვანია დასკვნითი ციტატა იური მოსენკისის ნაშრომიდან - Ю. Мосенкис, „Грузины - создатели древнеегипетской культуры“ „The Georgians as Creators of Ancient Egyptian Culture“ (Из цикла «Грузинские истоки первых цивилизаций»):

„Итак, два главнейших египетских бога (Тот и Осирис), считавшиеся в Египте чужими и принесшие туда культуру, мудрость, религию, оказались грузинскими (картвельскими)“. ჩემის აზრით, ეს არის ბ-ნ იური მოსენკისის რევოლუციური აღმოჩენა - ორი უმთავრესი ღმერთი - ტოტი (თოთი, იქნებ თუთა?) და ოსირისი, რომლებიც ითვლებოდნენ ეგვიპტეში უცხოებად და რომლებმაც შეიტანეს ეგვიპტეში კულტურა, სიბრძნე, რელიგია, აღმოჩნდნენ... არც კი ვიცი ზუსტად როგორ მთარგმნო: „грузинскими (картвельскими)“... - მოკლედ, მევრი რომ არ ვინვალოთ — ქართველები იყვნენო! ასე მიაჩნია ამ შესანიშნავ ებრაელ ლინგვისტს, და არა მარტო მას].... ოსირისი - ეგვიპტის სიმბოლო. მინათმოქმედების, ყურძნის, ღვინისა და ბუნების მწარმოებელ ძალთა ღმერთი, სიმბოლო აღორძინებისა და მარადიული სიცოცხლისა. როგორც დროებით გარდაცვალებისა და აღდგომის ღმერთი, განასახიერებს წელიწადის დროთა ცვალებადობას, აგრეთვე პურის მარცვალს (იხ. ქვემოთ „ალოეი“), რომელიც ზრდასთან ერთად აძლევს სიცოცხლეს თავთავებსა და ახალ მოსავალს (იხ. ისევ „ალოეი“!). საიქიოში უმაღლესი ღვთაება, გარდაცვლილთა მოსამართლე (შდრ - კრეტელი პელასგები - მინოსი, რადანამტი და ეაკოსი). ბატონობდა რა ეგვიპტეში მეუღლე ისიდასთან ერთად, ოსირისმა გადააჩვია ხალხი ველურობას, კაციქამიობას, ასწავლა ხვნა, თესვა, პურის ცხობა, ვაზის მოვლა, ღვინისა და ლუდის დაყენება, სპილენძისა და ოქროს მოპოვება-დამუშავება, მშენებლობა, არქიტექტურა, დანერგა მედიცინის საფუძვლები და დაანესა ღმერთის (ღმერთების) კულტი - ანუ ოსირისის მისია იყო ზუსტად ისეთი, როგორიც კოლხი კურეტიკორიბანტებისა! ოსირისის დრო ეგვიპტეში ოქროს ხანას გავდა.

რაც მთავარია, ეგვიპტეში მოსულმა ამ ღმერთმა თან მოიტანა ზნეობრიობის კულტურა და ცოდნა, პირველ როგში სულიერი. ისიდას სიმბოლო იყო ძროხა, ოსირისისა - ხარი აპისი.

მთავარი და განსაკუთრებული საიდუმლო სამოთრაკიის კაბირულ-კორიბანტული მისტერიებ იყო ატისის ფიჭვის ხის კულტი, მოკლული ღმერთისა და ჯვრის თაყვანისცემა!

გასაოცარია პირდაპირ!

იესო ქრისტეს შობამდე მრავალი-მრავალი საუკუნით ადრე პელასგები თითქოს გვამზადებდნენ, თითქოს გვაფრთხილებდნენ ადამიანებს ღვთის გამოცხადების შესახებ! (იხ. ორფეოსის მისტერიები; იხ. პითაგორას რელიგიურ-ფილოსოფიური დებულებები. სხვათაშორის, დიდი Pythagoras იყო პელასგი კუნძულ სამოსიდან, რომელმაც დატოვა ანდერძი „არ გაბედოთ და არ მიბაძოთ უცხოელებს, საკუთარი დაიცავით, მშობლიურისთვის იბრძოლეთ“! სახელი Pythagoras კი ნიშნავს პითიელ მქადაგებელს - პელასგები ხომ ოფიონის შთამომავლებად თვლიდნენ თავს!).

ზოგი თვლიდა, რომ კურეტები იყვნენ აკარნიელი პელასგები ეპირიდან - ეპირი კი არის იგივე ებირი იბეროსი. (Ἰπειρος, იპიროსი, იბიროსი). ამ გზითაც იბერებთან მივდივართ!

მიკენურ ტექსტებში არიან ღვთაებები კე-რე-ტა-ო.

კურეტ-კორიბანტ-კაბირები იყვნენ ღვთისმოსაობის, ურთიერთმეგობრობის, თანაცხოვრების, ერთსულოვნების დამნერგავი და ხალხთა ერთიანობის წინამძღოლები.

დიდი ალექსეი ლოსევი წერდა, რომ კორიბანტები იყვნენ ისტორიაში პირველი რეალური ერი, ღმერთ-შთაგონებული კულტურული გმირები და კაცობრიობის ცივილიზატორები: კურეტებმა და კორიბანტებმა ასწავლეს ადამიანებს სასარგებლო საქმენი: საზოგადოების კეთილმოწყობა, მეტალურგია, დამნერლობა, პოეზია, მუსიკა, სახლების აშენება, ცხოველების მოშენება, მეფუტკერობა და სხვ.

მათ ქონდათ როგორც კულტურული, ასევე ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციები, - ისინი ხომ ქტონიური წარმოშობის, ანუ

გეას (ცირას) შვილები იყვნენ“. გეორგიანელები იყვნენ, კოლხი-დიდან!

იგივე სტრაბონი წერდა, რომ ისინი იყვნენ არა თუ ღმერთთა მსახურნი, არამედ თვით ღმერთები.

დასავლეთ იბერიაში, უხსოვარ დროს, როცა იბერმა ტარტესებმა შექმნეს სახელმწიფო იბერიის (პირინეის) ნახევარკუნძულზე, ქალაქ ტარტესში დასახლდა კურეტების უძველესი მეფე გარგორისი, რომელმაც დაიწყო კულტურის დანერგვა ველურ მოსახლეობაში. მაგალითად, მან აღმოაჩინა თაფლის მოპოვების ხერხი და გაავრცელა მეფუთკრეობა.

დანვრილებით გვაძლევს კორიბანტებზე ცნობებს მეტად სერიოზული მკვლევარი ბ-ნი გია კვაშილავა (იხილეთ მისი მაღალი კვალიფიკაციის ნაშრომები და ტელეგადაცემები).

კორიბანტებს საკუთარი დამწერლობაც ქონდათ!

აკაკი ურუშაძე: კოლხი კორიბანტების მიერ შექმნილი „კირიბიშის“, „კირბის“, ანუ წერილ-ფირფიტის - „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, კოლხური (ანუ მეგრულ-ლაზური); ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტონომიური ტომებისა და წინაელნიურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვიბელეს ქურუმები იყვნენ... კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის - კვრების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედელობის მფარველ ლემნოსელ კაბირებს».

აპოლ. როდოსელი: «[კოლხებმა] შემოინახეს თავიანთი მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, ქვის წერილ-სვეტებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“

აკ. ურუშაძე: „კვირბები ძველისძველი ფირფიტები იყო (თიხის, ქვის ან სპილენძისა. მასლა დაცულია კრატინესთან, ლისიასთან, თეოპომპე ქიოსელთან, პლუტარქესთან, კომეტასთან), რომლებიც საკრაული ხასიათის ჩანაწერებს შეიცავდნენ (ლისია, თეოფრასტო, პლუტარქე) და ის, რომ კვირბების აღმოჩენა მიეწერებათ კორიბანტებს (თეოპომპე, თეოფრასტე, აპოლოდორე, სვიდა)“...

აკაკი ურუშაძე წერს (1964): „სტრაბონი ეყრდნობა ძველ წაყროებს და გადმოგვცემს, რომ კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის - კვირების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშიდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედლობის მფარველ ლემნოსელ კაბირებს“...

სტრაბონი: წინაეღინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების დედაღვთების კიბელეს ქურუმები - კორიბანტები კოლხთაგანნი არიან და დამწერლობის - კირების შექმნა მიეწერებათ.

ეესტათი თესალონიკელი წერს: „ხარაქსი ამბობს, რომ „ოქროს საწმისი“ იყო ეტრატებზე აღწუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცო, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა კოლხეთში მოეწყო“ (იხ. ურუშაძე 1964, 150). „ხარაქსის დროს, როგორც ირკვევა, კოლხეთში გავრცელებული იყო „ოქროდამწერლობა“ („ხრისოგრაფია“), ანუ ხელოვნება ოქროს ასობით წერისა“ (იხ. ინგოროყვა 1939, 169; ურუშაძე 1964, 150).

კვირების - კირების (კორიბანტთა ნანერების) შესახებ დანვრიღებით წერდენენ: კრატინე, ლისია, არისტოფანე, პლატონი, პლუტარქე, არისტოტელე, თეოპომპე ქიოსელი, ფოტიოსი, აპოლოდორე ათენელი, კომეტასი, ზენობიოსი და სხვა ბერძენი ავტორები.

„კოლხური ოქროდამწერლობის“ შესახებ ცნობები შემოგვინახეს ძველბერძენმა ავტორებმა: ევჰემეროსმა, ხარაქს პერგამონელმა, იოანე ანტიოქელმა და ეესტათეოსმა.

Diodorus Siculus წერდა: „კრონოსს, ეშინოდა რა თავისი შვილების, ყლაპავდა მათ. რეამ შეძლო მხოლოდ ნაბოლარა ზეესის გადარჩენა. ეს ხდება კრეტაზე - გაჩნდა თუ არა ზეესი, რეამ საიდუმლოდ გადასცა ახალდაბადებული ღმერთი კურეტებს“... კურეტ-კორიბანტები იწყებენ ზეესის აღზრდა-განათლებას, მაგრამ მანამდე ბავშვი გადასარჩენია. ამიტომ „მათ მოიგონეს ხმლები, მუზარადები და შეიარაღებული ცეკვები დაფდაფებით, ხმამარალი სიმღერებით და ამის დახმარებით ქმნიდენ გამაყრუებელ ხმაურს - აყრუებდენ და ატყუებდენ კრონოსს, რომ მას

არ გაეგო ბავშვის ტირილი“ და რომ არ გადაეყლაპა“ (კურეტებთან ზევსის აღზრდას დაარქვეს „კუროტროპია“).

ხშირად ხმაურიან სახუმარო სპექტაკლებსაც დგამდნენ: კრონოსის მიერ ბავშვების ჭამა, რეა, რომელიც მალავს ორსულობას ბავშვის გადასარჩენად, კურეტების ცეკვა-ყვირილი რეას მშობიარობის დროს, ბავშვის დამალვა კრონოსისგან და სხვა ამდაგვარი კომედიური სცენები.

თვით ზევსიც ცეკვავდაო, ამბობენ მითები.

კაბირ-კურეტ-კორიბანტებს ეძღვნება ორფიულ-პალასგური ჰიმნები №№ 31, 38, 39.

კუნძულ კრეტაზე კორიბანტებმა ააშენეს ქალაქები. ზევსმაც ააშენა ქალაქი კრეტაზე.

კრეტის მოსახლეობა სანტორინის კატასტროფიულ ამოფრქვევამდე (ბოლო მონაცემებით ქრისტეშობამდე 1628 წელს) პრიტოპელასგური, ანუ წინარექართული იყო. ვულკანის ამ არნახული სიძლიერის ამოფრქვევამ მთლიანად გაანადგურა მოსახლეობა. და მხოლოდ 200-300 წლის შემდგომ, კუნძულის ათვისება დაიწყო ჯერ აქაველებმა, შემდეგ კი დორიელებმა, რომელთა ველური ურდოებიც ამ საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით იპყრობდნენ მატერიკზე, კონტინენტზე არსებულ პელასგურ ბალკანურ სახელმწიფოებს, უფრო სწორად, მათ ნარჩენებს (ამ მტკივნეულ საკითხზეც - მერე).

ა. ლოსევი აღშფოთებით წერს: „კურეტებსა და კორიბანტებს, ამ ღვთიური წარმოშობის ისტორიულ ერს, ღმერთკაცებს კრეტიდან, ელია-მზისა და გეა-მინის (ან ათინას) შვილებს, აქაველებმა, კრეტის დამპყრობმა და მათმა შთამომავალმა ბერძნებმა დაარქვეს დემონიური არსებები! და ამას ახლაც გაუთავებლად იმეორებენ თანამედროვე ანტიკოლოგები, თუმცა შესანიშნავად იციან, რომ ჰესიოდეს მიხედვით ჰეკატერსა და ნიობას (ფორონოსის ასულს) ყავდათ ხუთი ასული, რომელთაგანაც დაიბადნენ ქალღმერთები... და ღმერთი კურეტები, ცეკვებისა და გართობების მოყვარულნი!“...

ჰეკატერი და ნიობაც პელაზგები (კოლხები) არიან? როგორც ჩანს ასეა, თუმცა ამას ლოსევი პირდაპირ არ წერს. მაგრამ რასაც წერს. ისეც საოცარია - ჩვენ ვხედავთ კოლხებისა და, საერთოდ, იბერიონების მიმართ დამპყრობელი ბერძნების დამოკიდე ბულებას.

აქ აუცილებლად მოსაყვანია შესანიშნავი მეცნიერის გიორგი ვლასტოვის (1827-1899) ტექსტი ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ნაშრომიდან „ჰესიოდეს თეოგონია და პრომეთე“. გ. ვლასტოვის თანახმად: „...легенды об Иапете и его сыновьях Атланте, Прометее, Менетие, Эпиметее принадлежат догреческому слою населения, придавленному ведическими греками. Эти легенды - протест неведических племен против своих победителей. Это отражается в мотиве вражды с Зевсом-тираном Иапета и его сыновей. Так, у Гомера, представителя культуры, в которой отразились более всего ведические взгляды ахейского периода (того времени, в продолжение которого велась ожесточенная борьба против неведических пелазгов) Иапет и Кронос находятся в заточении“. [„ლეგენდები იაპეტის და მისი შვილების ატლანტის, პრომეთეს, მენეთესის, ეპიმეთეს შესახებ ეკუთვნის ბერძენებამდე მოსახლეობის შრეს, რომელიც ვედიური ბერძენების მიერ იყო გაჭყლეტილი. ეს აირეკლება ზევსი-ტირანის მტრობაში იაპეტისა და მისი შვილებთან. ასეა ეს ჰომეროსთან, იმ კულტურის წარმომადგენელთან, რომელშიც ყველაზე მეტად აისახა ვედიური შეხედულებები აქაველთა პერიოდისა (იმ დროისა, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობდა გამძვინვარებული ბრძოლა არავედიური პალასგების წინააღმდეგ), იმ პერიოდისა, როდესაც იაპეტი და კრონოსი დატყვევებულნი არიან. (1. *Ведический* ნიშნავს ინდურს. გ. ვლასტოვს მიაჩნდა, რომ აქაველი ბერძნები მოვიდნენ ინდოეთიდან და დაიპყრეს ბალკანეთი. 2. „*Давить*“ ნიშნავს ზეწოლას, დაწოლას, მოჭერას, მაგრამ ამ შემთხვევაში ნიშნავს კიდევ უფრო მეტს: *придавленный* არის სწორედ რომ გაჭყლეტილი. 3. კრონოსის ზეობის დროს იდგა სწორედ ის ოქროს ხანა, რომელსაც მისტიროდნენ პელასგები)].

ელიას ყველა შვილის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ელიასა და პერსეიდას შვილები, ანუ ღვიძლი და-ძმა, რომელთა რიცხვის დადგენაც არ არის იოლი საქმე, რადგან უძველეს ავტორებს მოყვანილი აქვთ ბევრი სხვადასხვა ვერსია და ვარიანტი.

და მაინც, თქვენი მონა-მორჩილი დღესდღეობით ბედავს და აცხადებს, რომ ეს იყო ექვსი (შესაძლებელია რვა) ღვიძლი და-ძმა, მეფეები და მმართველები სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთის და შავი ზღვის აუზში.

ჩემს მიერ მოძიებული მასალებით ესენი არიან ალოე, პერსი, აიეტი, კირკა, პასიფაე, კალიპსო (შესაძლებელია ჰეკატა და ეგაც). არ არის აუცილებელი კოლხი ცხოვრობდეს გინდა თუ არა კოლხეთში. მთავარია იყოს იბერიონი, ელიასა და პერსეიდას შვილი.

საიდან ვიცით, რომ ესენი ელიასა და პერსეიდას შვილები არიან და თანაც კოლხები?

მაცალეთ ცოტა! გზადაგზა ვეცდები დავამტკიცო ეს ანტიკური ავტორების დახმარებით. დავიწყოთ:

1. ალოე (Αλωευς, Aloeus). ელიასა და პერსეიდას (ევმელის ვერსიით - ანტიოპას) შვილი

არკადიელების, ანუ სულ პირველი და უძველესი პელასგების (შესაძლებელია პირველი ადამიანების) მეფე.

ისტორიკოსი ვ. კაკულია თავის მეტად საინტერესო წიგნში „კოლხეთის (საქართველოს) ისტორია“ წერს: „იგივე შუმერულ-კოლხური ცოდნა უდევს საფუძვლად ბერძენთა მზის ღმერთის, ბერძნულივე მითოლოგიით, ჩვენი, კოლხების დიდი „წინაპრის“ - ჰელიოსის ერთ-ერთ სახელწოდებას ალიონ (Alion). ეს ბერძნული სახელწოდება შემდეგი ფორმებითაა დამკვიდრებული ქართულ მეტყველებაში: ალი, ალიკვალი, ალიონი, ალიყური, ალმური, ყალიონი, აქვეა რუსული АЛЫЙ“...

ქრისტემდე IX-VIII საუკუნის პოეტი-ისტორიკოსი ევმელი უკვე იცნობდა კოლხეთს. ის წერს:

„ოდესლაც ჰელიოსისა და ანტიოპასგან იშვნენ აიეტი და ალოე, მაშინ იპერიონის დიდებულმა ძემ (ელიამ) გაყო მიწა ორ ნაწილად

შვილებისათვის: ის მხარე, რომელსაც ფლობდა ასოპი, მან უბოძა ღვთიურ ალოეის, ის კი, რომელიც ეფირამ (Αἰθῆρ, მთის ჰაერი, ეთერი) აიღო, მთლიანად მისცა აიეტს“. (ანტიოპას, როგორც წყლის ღმერთის ასოპის ასულს, აიგივებდნენ ხოლმე საკუთარ დასთან, - პერსეიდასთან).

„ჰელიოსისა და ანტიოპასგან იშვნენ აიეტი და ალოე“. დიოფანტეც ასე ფიქრობდა ქრისტემდე III ს-ში (იხ. „სიკიონისა და ფლიუნტის მითები“, „აპოლონიოს როდოსელის სქოლიოები“, „არგონავტიკა“, III 242).

იგივეს წერს იოანე ცეცე, ბერძენი პოეტი და ფილოსოფოსი (1110-1180 წწ).

ალოე იყო იბერიონი, ანუ ელიას ძე, თუმცა, როგორც თითქმის ყველა შემთხვევაში არსებობს ვერსიებიც.

სხვა ვერსიით ალოე იყო პოსეიდონის ძე. (პოსეიდონს ხშირად აიგივებენ პელასგ ოკეანესთან).

ზღვის ღმერთი ოკეანე-პოსეიდონი არის ელიას ძე და იბერიონის ძმა. ცოლად ტეფია ყავს.  
ეს ტიტანები პელასგთა ქალღმერთ ევრინომას შექმნილნი პელასგთა ღმერთები არიან.  
თუმცა ოლიმპიელმა ღმერთებმა შემდგომში ტიტანი ოკეანე თავის რიგებში მიიღეს, რითაც შეეცადნენ წაეშალათ მათი პალასგობა. „მიიღეს თავის რიგებში“, მიუხედავად იმისა, რომ პოსეიდონი იყო ძმა მტრისა - ტარტარში ჩაგდებული იბერიონისა. აბა, ვნახოთ, იქნებ რაიმე კავშირი - იბერიონის ძმობის გარდა - აღმოვაჩინოთ პოსეიდონსა და კოლხებს შორის.  
ბერძნების (ჰესიოდეს) მიხედვით ოლიმპიელი პოსეიდონის მეუღლე უკვე ნერეიდა ამფიტრიტაა, რომელმაც როცა გაიგო, რომ ამ ახალ პოსეიდონს მისი სურვილი ქონდა, გაიქცა და ატლანტის იმედით, ოკეანეს ღრმა გამოქვაბულში დაიმალა. მაგრამ პოსეიდონს დელფინი დაეხმარა და მიუყვანა ამფიტრიტა პოსეიდონს (აქაც იკვეთება ახლად მოსული ოლიმპიელების ძალადობა ძველ ღმერთებზე - ამფიტრიტას, ამკარად ბერძენ-ბამდელ ქალღმერთს (MHM) ვერაფრით ვერ შევლიან ძველი

ტიტანი ღმერთები, ვერც ოკეანე, ვერც ატლანტი). შეუღლების შემდგომ ამფიტრიტასთან ერთად პოსეიდონი ზღვის ფსკერზე ცხოვრობს. მათ ემორჩილება ზღვის ყველა არსება. სამკბილას დარტყმით პოსეიდონი ხვრეტს კლდეებს და წარმოშობს ქარბუქებს.

პირველი გემები აგებულია პოსეიდონის მიერ (ალბად ძველი პოსეიდონი იგულისხმება - გემების აგება ხომ პელასგებმა დაიწყო ბერძნების შემოსევებამდე მრავალი საუკუნით ადრე). პოსეიდონი აღზრდილია კუნძულ როდოსზე ზღვის ვულკანური ღვთაებების ტელხინების მიერ (დიოდორე, ისტორ. ბიბ-კა V 55, 1). ტელხინები კი არიან იგივე კურეტები, კაბირები და კორიბანტები, ანუ - კოლხები! (იხ. ქვემოთ).

პოსეიდონის ეპითეტები ენოსიგეი (მინის მრყეველი) და გეოხი (მინის მპყრობელი) გვაფიქრებს, რომ იგი ადრე იყო გეის (მინის) და არა ზღვის ღვთაება. პოსეიდონი განაგებდა მინის ნაყოფიერებას და თავიდანვე მინის ნესტის ღვთაებად ითვლებოდა.

ფრიდრიხ ლიუბკერის ლექსიკონში (Friedrich Lübker, Reallexikon des klassischen Altertums für Gymnasien, 1855) პირდაპირ წერია: „ძველი პალასგების დროს პოსეიდონი იყო არა მარტო ზღვის, არამედ ყველა წყლის ღმერთი დედამიწაზე. ანაყოფიერებდა რა ზრდასა და მცენარეთა სამეფოს, ახლოს იდგა დემეტრასთან“.

Liddell & Scott, A Greek-English Lexicon: „Ποσειδάων (Poteidawon) appears in Corinth“ (ჩანს, რომ პოსეიდონი კორინთელიაო). ჩვენ ვიცით, რომ კორინთო პელასგების ქალაქია, ათენზე უძველესი. „At least a few sources deem Poseidon as a "prehellenic" (i.e. Pelasgian) word, considering an Indo-European etymology "quite pointless". [„ბოლოს, რამდენიმე წყაროს მიაჩნია, რომ პოსეიდონი ელინელებამდელი (ე.ი. პელასგური) სიტყვაა, რომლის განხილვაც ინდო-ევროპული ეტიმოლოგიით სრულიად უაზროა“].

ძველბერძნული სიტყვა Ποταμός (პოტამოსი), მდინარე, აშკარად პელასგური ჩანს, მითუმეტეს, რომ ბერძნების საზღვაო ტერმინოლოგია თითქმის მთლიანად პელასგურია.

Ποσειδίων, Posidium, mikenurad po-se-da-o, doriulad Poteidan, eoliurad - Ποτειδάων (Poteidaōn), ბეოტიურ-პელასგური ფორმა - Potidaon. რუსული - Потидеон, откуда - город Потидея.

ა, ბატონო, მივედით საწყისამდე - პოსეიდონიც კოლხი ყოფილა, ქალაქ ფოთიდან, ფასისიდან.

ნუ გელიმებათ, ბატონებო. ეს როგორც ჩანს ასეა, გამოკვლევების ლოგიკას მივყევართ აქამდე.

შეგვიძლია თქვათ, რომ ვისი ძეც არ უნდა აღმოჩნდეს ალოე (ელიასი თუ პოსეიდონისა), ის ორივე შემთხვევაში კოლხია.

აი კიდეც: სიტყვა Potidaon კომპოზიტია: Poti „ფოთი“ + დაონ „დონი“. სიტყვა „დონი“ კი:

ლუგ ვრანის (ისრაელი) ნაშრომი “იბერთა განსახლების შესახებ” (Луг Вран. «О иберийском расселении»): „ლექსიკური ფესვი (ფუძე) „დნ-ნდ“ არის ფესვი არიული (ინდოევროპულზე ადრინდელი, რომელიც აღნიშნავს წყალს, მდინარეს, ნაკადს): Дон, дун, дно, дан, Днепр, Днестр, Дунай, Инд, Иордан («Яр-Дан»), Ярдан (река на Крите), день (?), дань (?). გავრცელებულია ყველგან, საყოველთაოდ. იგივე ფესვი, ადამიანებთან, ხალხთან მიმართებაში, დაკავშირებულია, ალბათ, იბერთა განსახლებაასთან“.

ლუგ ვრანს მიაჩნია, რომ ფესვი „დნ-ნდ“... დაკავშირებულია, ალბათ, იბერთა განსახლებაასთან!“ ანუ, „დნ-ნდ“ არის იბერიული ფუძე-ფესვი. ჩვენც გავიხსენოთ წყლთან დაკავშირებული ქართული (იბერიული) სიტყვები: „მდინარე, დონე, დინება, დენადობა, დნობა და ბევრი ასეთი. აქვეა დარ-დანელი...“

ზუსტად იგივეს (რომ ფესვი „დნ-ნდ“ იბერიულია) ამტკიცებს ჩვენგან, ქართველთაგან, სრულიად დაუმსახურებლად იგნორირებული შესანიშნავი უკრაინელი მკვლევარი არტიომ ივანცოვიც...

ჩადგმა - ლუგ ვრანი ნაპრომში «О иберийском расселении» (ქვეთავი „О иберских плясках“) წერს:

„...იბერთა დამახასიათებელი „ფეხთა ცეკვა (ხაზგასმულად შეკრული ხელებითა და უძრავი ტანით)“, მოღწეულია ჩვენამდე ესპანურ (იბერია), ირლანდიურ (იბერნია) და კავკასიურ (ქართული ივერია-იბერია, დაღესტნური ავარეთი-ავარია) ვარიანტებში, შემონახულში ნაკრძალ ზონებში, ანუ სამყაროს კიდეზე (ესპანური იბერია და ირლანდიური იბერნია არიან „უკანასკნელ ზღვასთან“, კავკასიური ივერია მთების ისტორიულ-კულტურულ მტერთათვის მიუწვდომელ ჩიხებში), ხოლო ცეკვებმა პალესტინელ იბერ-ებრაელებისა, ალტაელ აბარნებისა და ძველგერმანელ ებურონებისა (პრაქართველებისა) ჩვენამდე ვერ მოაღწიეს“ (Луг Вран. «О иберийском расселении»). ამ ბოლო ფრაგმენტს ისე განვდით, გაცნობისათვის. ის მე თვითონ წავიკითხე სიამოვნებით. იბერებთა განსახლებაზე კიდევ ვისაუბრებთ აუცილებლად, მაგრამ ახლა დავამატებ მხოლოდ, რომ ძველ გერმანელებს (და ძველ ჰოლანდიელებსაც) პრაქართველებად კიდევ სხვა მკვლევარებიც მიჩნევენ. არაქართველ მეცნიერებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა...

განვაგრძოთ. პოდსეიდონი, ბერძნების მიხედვით, კრონოსისა და რეას ვაჟი, ზევსის ძმაა, მაგრამ ბოლომდე არ ემორჩილება და ხშირად კი უჯანყდება კიდევ მას, განსაკუთრებით მას მერე, რაც ზევსი საბოლოოდ გაბატონდა. ესეც უნდა იყოს პელასგებისა და ბერძნების ბრძოლის გამოძახილი. პოსეიდონი უძველესი და მისტიკით მოცული ქტონიური არაბერძნული ღმერთია. ოლიმპიელები ვერ ამარცხებენ მას, მაგრამ ვერც პოსეიდონი იმარჯვებს მათთან ბრძოლაში (განსაკუთრებით ათინასთან).

პოსეიდონი არც პელასგებთან მეგობრობდა მაინცადამაინც, რადგან ახსოვდა რალაც წყენები. არათუ მეგობრობდა, ოლიმპიელების გულების გასახარად, ხშირად ებრძოდა და ხანდახან მიიწერდა კიდევ პელასგთა მოსაწონ ქმედებებს. შესაძლებელია, ალოეის მამობაც მოგვიანებით არის მიწერილი მასზე.

(იქნებ პელასგების პოსეიდონი და ბერძნების პოსეიდონი სხვადასხვა „პოსეიდონები“ არიან? შეიძლება ასეც იყოს, სერიოზული გამოკვლევაა საჭირო)

პოსეიდონი, თვითონ პელასგი, ებრძოდა თავისიანებს - ტიტანებს (ქართველებს ეს არ უნდა გვიკვირდეს). პოსეიდონი ბერძენთა მხარეზე გადასულ ზევსს აყვავდა და ტიტანების დამარცხებისა და ციდან ჩამოგდების შემდეგ შემდეგ დაამზადა ტარტარის სპილენძის კარიბჭე. სწორედ ამ ტარტარში ჩააგდო ზევსმა ყოფილი თავისიანები (მათ შორის, თავისი და პოსეიდონის მამაც - კრონოსიც!), ტიტანები, და მიუხეურა მათი თანამემამულის მიერ დამზადებული დაუძლეველი და გაუღებელი კარიბჭე. (ეს ის კარიბჭე უნდა იყოს, რომლის გაღებაც მხოლოდ იესო ქრისტეს ძალუძს. ხომ გახსოვთ რა უთხრა პეტრეს იესომ: „და მე გეტყვებ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა - მათე, 16, 18-19).

პოსეიდონი ტროას ომის დროსაც აქაველების მხარეს იყო. ამიტომ პელასგებში პოსეიდონის, მიმართ დიდი სიმპატიები არ იგრძნობა. ისევე, სხვათაშორის, როგორც ბერძნებშიც.

ისევე მივუბრუნდეთ ალოეის. В. Обнорский, „Энциклопедия классической греко-римской мифологии“ წერს, რომ ალოეი „Считался сыном Посейдона“.

„Считался“, „ითვლებოდა“, ანუ ამას არც ამტკიცებდნენ დაბეჯითებით. თვით В. Обнорский და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ ალოეი იყო უაღრესად ძველი, ძველთა ძველი ოლიმპიადელი ღვთაება. რა ღვთაება იყო ალოეი? ახლა ვთქვათ მთავარი:

ალოეი იყო დაფქვილი მარცვლის ღმერთი - «Алоей - бог обмолоченного зерна».

გარდა იმისა, რომ ალოეი იყო პელასგების მეფე, ის დაფეცილი მარცვლის ღმერთიც გახლდით ამავე დროს! ეს ნუ გიკვირთ - ხომ არსებობს სერიოზული მტკიცებულები, რომ პურის ცხობის კულტურა პირველად მართლაც ქართველებმა დანერგეს.

Алои - ალოე არის დაფეცილი თავთავი.

უძველესი ქართული სიტყვა „ალო“ არის დაკავშირებული ალოობასთან.

ალოობა - ხორბლის მოსავლის ალებისა და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა (კალო, საკალოე, ხნული) ხვნათესვის, თიბვის, მკის, პურეულის ლენვის დრო;

ალო - პური;

ალო, ალოტა - საფეცილე;

ალოფი - მეფეცილე;

ალო - ერთი დღის ნახნავი, გუთნეულში მონაწილეთა წილი.

ანუ - შემთხვევითობები ამ საქმეებში არ ხდება.

დასაზუსტებელია ალოეის კავშირი წმინდა მცენარე ალოესთან, რომელიც ეძღვნებოდა ზევსსა და იუპიტერს. ჩემის აზრით, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფონეტიკური დამთხვევა. საქართველოს შავიზღვისპირეთში თავის დროზე მოყავდათ დაუზუსტებელი წარმომავლობის ხისმაგვარი ჯიშის ალოე, რომელსაც ეგვიპტელები „უკვდავების მცენარეს“ ეძახდნენ. კოლხი იბერიონიდები ხომ გრძნეული მკურნალნი, თანამედროვე ენაზე - მედიცინის პიონერები - იყვნენ. ეს არ ეხება მხოლოდ მედეას ან მამიდამისს ცირას - საერთოდ კოლხები ოდესღაც ზედმინევით კარგად ერკვეოდნენ მედიცინაში, მეტადრე კი მცენარეებით მკურნალობაში. ეტყობა, მათ იცოდნენ რაღაც, ჩვენთვის დღესდღეობით უცნობი სამკურნალო საშუალებები.

ალოე (ლათ. Aloe) - მრავალწლოვანი ბალახოვანი სამკურნალო მცენარე, ითვლებოდა ჯადოსნურ საშუალებად, თუმცა მისგან წამლების დამზადების პელასგების რეცეპტები დაიკარგა პელასგებთან ერთად. ალექსანდრე დიდის ჯარისკაცები აფრიკაში ლაშქრობისას სწავლობდნენ ალოეს წვენი და მზადებას. არაბები ალოეს მოთმინების სიმბოლოდ თვლიდნენ (იგი ძალიან დიდი ხნის

განმავლობაში არ ქცნება). ალოეს მიაწერენ უჩვეულო თვისებებს. მაგალითად, გაახალგაზრდავენ და, წარმოიდგინეთ, უკვდავების მოპოვებაში დახმარებას (იხ. ქვემოთ „სისიფე“ და „ასკლეპიუსი“); მიუხედავად იმისა, რომ ალოეს დამზადების ნამდვილი უძველესი რეცეპტი აღარავინ იცის, - იმითაც, რაც დღეს იციან, ახერხებენ დაბერების პროცესების შეზღუდვას და ახალგაზრდობის გახანგრძლივებას. ალოეს წვენი ხელს უწყობს უჯრედების განახლებას, სპობს ბაქტერიებს, ებრძვის ანთებას. ალოეს ძალიან ძლიერი ეფექტი აქვს შრომისუნარიანობის ამაღლებისა და რეპროდუქციული ფუნქციის გაუმჯობესების საქმეში. რაც მთავარია, ალოე ძალიან აძლიერებს ადამიანის სულიერების სიმტკიცეს.

კოლხი იბერიონიდები მართლაც იყვნენ მედიცინის პიონერები - თაობიდან თაობამდე გადასცემდნენ შთამომავლობას თავის განსწავლულობას და ძალიან დიდ საქმეს აკეთებდნენ.

გასაოცარი გენეტიკური ხაზი იკვეთება იბერიონის შთამომავალი მკურნალი ექიმებისა:

ალოეისა და ეგრის ძის, მუსეის შემდგომ -

მედეა - ანგიცია - სისიფე - ასკლეპიუსი - ჰიპოკრატე

ძველ ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ სამკურნალო საშუალებები მათ მიიღეს პელასგთა კუნძულ კრეტადან მინოსური ცივილიზაციის დროს (IV-II-ე ათ.). მიიღეს იბერიონიდების - მეფე მინოსისა და მისი კოლხი ცოლის პასიფაეს (მისი სახელი ნიშნავს მშვიდობიანობასაც და ჯანმრთელობასაც) საშუალებით. (სხვათაშორის, მონოსის სასახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს ჰიგიენის უპირველესი საშუალების - წყალგაყვანილობის რთული და განსაცვიფრებლად თანამედროვე სისიტემა სანიადგრო მილებითა და ტრაპებით. ასეთი ტრაპების შექმნის იდეამდე ფრანგები მივიდნენ მხოლოდ... XIX-ე საუკუნეში!)

მედეა

მედიცინაზე წერა უნდა დავიწყოთ, რა თქმა უნდა, მედიათი, რომლისგან მოდის სიტყვა „მედიცინა“, მაგრამ მის შესახებ ბევრი ვიცით, - ამიტომ გაგახსენებთ ნაკლებად ცნობილ ფაქტებს.

მედეამ ერთხელ კორინთო შიმშილისაგან იხსნა. ქალთა მუსუსმა ზევსმა მოინდომა ამით ესარგებლა და საყვარლობა შესთავაზა მედეას. მედეამ უარი სტკიცა. ზევსის მეუღლე ჰერამ ეს გაიგო და მაღლიერების ნიშნად შვილების უკვდაყოფაც აღუთქვა მედეას. მაგრამ კორინთელებმა მედეას შვილები მაინც დაუხოცეს - ეს საკვირველია, რადგან უმაღლესი ქალღმერთის ჰერას ნებას წინ რა უნდა დადგომოდა? (ალბად ზევსის ნება, არა? არ ვიცი).

სხვათაშორის, მითოლოგიაში ცნობილია სამად-სამი ქალი, რომლებმაც გაბედეს და უარი უთხრეს ზევსს სასიყვარულო კავშირზე. ესენი იყვნენ მედეა, ფეტიდა და სინოპა - სამი იბერიონიდი! ზევსმა სამივეზე იყარა ჯავრი... რა საინტერესოა - ღმერთთა ღმერთი, ცის, ელვისა და ქუხილს გამგებელი, სახელმწიფო წყობის შემქმნელი, ადამიანთათვის კანონების დამწესებელი, ტრადიციებისა და ადათ-წესების შესრულების მეთვალყურე, ოჯახისა და სახლის დამცველი - არ ტოვებს ხელუხლებელს არც ქალს, არც (ხანდახან) ლამაზ ბიჭებსაც (იხ. განმედი) - მსოფლიოს გამგებელიც ასეთი უნდა!

ღმერთთა მექალთანე ღმერთი მხოლოდ სამი ქალის წინაშე იხევს უკან! (ამ მეტად დელიკატურ საკითხებზე - შემდგომ)...

ჩვენთვის, მგონია, მთავარი მაინც ისაა, რომ მედეას დანაშაული შვილების წინააღმდეგ სიცრუე აღმოჩნდა. ამაზე სერიოზულად აღარც კი დავობენ, მითუმეტეს, რომ კორინთოში თვით კორინთელებმა დადგეს ქანდაკება საშინელი გარეგნობის ქალისა და დაარქვეს „დეიმა“ (შეძრწუნება, საშინელება) - მედეას შვილების მკვლელობის გამოსყიდვის სურვილით (პავსანიუსი. ელადის აღწერა II 3, 6).

ქართული ვიკიპედია (ფრაგმენტები): „მედეა დიდი მკურნალი და ჯადოქარია, ერთგვარი შემაერთებელი ხიდია კოლხეთ-კორინთო-თესალიისა, ის კორინთელთა მზისა და მთვარის

კულტის განსახიერებაა. მზის ღმერთის შვილიშვილი კორინ-  
თოში ნაწილობრივ თვითონვე გვევლინება მზის ღვთაებად. ეს  
შემთხვევითი არაა. ემელოს კორინთელის ცნობით, კორინთო  
აიეტის სამფლობელოც იყო...

დიდია მედეას მორალური როლი მედიცინის ისტორიაში. ის  
ფარმაკოლოგიისა და კოსმეტიკის დედამთავრადაც ითვლება.  
მისი მეთოდები მეცნიერულს უახლოვდება. ის რომ მედიცინის  
ერთ-ერთი დასაბამია, მეცნიერება აღიარებს და ამას ადასტუ-  
რებს თუნდაც გამოჩენილი გერმანელი ექიმის, კურტ იოაჰიმ  
შპრენგელის კვლევა. მისი განთქმული მედიცინის პრაგმატული  
ისტორიის ხუთტომეული კოლხური მედიცინის ისტორიით იწყე-  
ბა. დასახელებულია მედეას ბალის 36 სამკურნალო მცენარე (რ.  
კუპცისი მათ უმატებს ხუთ მცენარეს). რომაელები ამ მცენა-  
რეებს უძველესი დროიდან იცნობენ და სრულიად ბუნებრივია,  
რომ მედიცინის სახელიც ჰეკატეს ჯადოქარი ასულის სახელი-  
დან დაემკვიდრებინათ. შრენგელი წერს ჰეკატეს ბაღზე, რაც  
მერე მედეამ განავრცო.

მედეამ დაამზადა მალამო, რამაც იასონს ძალა და მხნეობა  
შეჰმატა, ეს იყო ზეითუნის ზეთში გაზავებული, არა ჯადოს-  
ნური, არამედ, რაღაც ნამდვილი წამალი (პინდარე). ასეთ თუ  
სხვაგვარ ზეთს თითონაც იცხებს ნამტირალევ სახეზე, ეს ზეთი  
ნექტარივით ტკბილია და სახეს ფერს უბრუნებს. სამკურნალო  
ზეთის ცოდნა უძველეს მკურნალთა შორის, მიენერება მხოლოდ  
შუმერ ეას და კოლხ მედეას, აიას (ეას) მეფის ასულს. ფაქტი  
ახსნას არც საჭიროებს: ეა, აია, შუმერთა ღმერთი სახელს  
აძლევს კოლხეთს, არის აქ რაღაც საერთო. რაც შეეხება ტკბილ  
ზეთს, ლექსიკოგრაფი სვიდაც მედეას სახელს უკავშირებს.  
დღეს უდავოდ დამტკიცებულია შუმერული მითის, კულტურის,  
რიტუალის სამედიცინო, რელიგიური ტერმინების კავშირი ძველ  
კოლხურ-იბერიულთან, კერძოდ, ამ უძველეს მედიცინასთან,  
რასაც მეცნიერება უწოდებს კურა მედიანას - მედეას მკურ-  
ნალობას.

მედეას წამლები არასოდეს გამოუყენებია ადამიანთა  
საზიანოდ, მხოლოდ პელიასი მოკლა როგორც უსამართლო

ტირანი, მოძალადე, ქმრის დედ-მამის დამლუპველი, ტახტის მიმტაცებელი და იასონის მტანჯველი, ხოლო კრეუსა, როგორც საშობი მეტოქე. ბერძენი და რომაელი მწერლები ერთხმად ლაპარაკობენ მედეას მაღალ ხელოვნებაზე, მის ძალასა და სიკეთეზე, რისთვისაც ტაძრები აუგეს“.

ძველ ხალხს ის ქალღმერთად მიაჩნდა. ანტიკური საზოგადოება და ბევრი თანამედროვე მეცნიერი მის სახელს უკავშირებს მედიცინის თანამედროვე სახით განვითარებას. თვით ტერმინი მედიცინაც მისი სახელიდან მომდინარეობს. ლეგენდებისა და ისტორიული წყაროების თანახმად, მედეას მკურნალობის საოცარი ნიჭი და ცოდნა ჰქონდა, მას ბევრი უკურნებელი სენის წამლობა შეეძლო. რამდენიმე ლეგენდის მიხედვით, ის ახალგაზრდაცვლილსაც კი აცოცხლებდა, მოხუცთ კი სიჭაბუკეს უბრუნებდა.

პაპამის ჰელიოსის მიერ მოგზავნილი ეტლით გაფრინდება, ათენში ჩადის, სადაც მოხუცი ეგეოსი შეერთავს. თეზევსის ჩამოსვლით წყდება ეს ქორწინებაც. ისევ გარბის, თან მიჰყავს ეგეოსთან შექნილი გმირი მედოსი, რომელმაც მცირე აზიაში ბარბაროსი ტომები სძლია, დაიპყრო დიდძალი მიწა-წყალი და დააარსა მიდია: ეს სახელი ეწოდა უწინდელ არეიას. (ჰესიოდე, თეოგონია, 100, 1). ... თვით მედეა კოლხეთს დაბრუნდა, შეურიგდა მამას, დაუჩაგრა მტრები, ისევ აიყვანა ტახტზე, რაც მის ძმას, პერსეს მიეცა ცეცხლი.

მიაქციეთ ყურადღება უჩვეულ ფაქტს - მედეას შესწევდა უნარი ახლადგარდაცვალებულ ადამიანთა გაცოცხლების. ეს უნარი, როგორც ჩანს, მას შემთხვევით არ ქონდა (იხ. „სისიფე“, „ასკლეპიუსი“).

#### ანგიცია

არა თუ საყოველთაოდ ცნობილი მედეა, არამედ, აიეტის სხვა ასული, ნაკლებად ცნობილი ანგიცია (ankicia, Angitia, Ancitia, Anacetta) იტალიურ მითოლოგიაში არის უძველესი მკურნალი ქალღმერთი. ვერგილიუსი („ენეიდაში“), სილიუს იტალიკი („პუნიკაში“ VIII 500), სერვიუს ტულიუსი და სხვანი, ერთხმად

მიიჩნევენ, რომ Angitia იყო მისანი, კეთილი ქალღმერთი, ის ბალახებით, ჯადოქრობითა და სიმღერებით ანადგურებდა ან აძევებდა გველებს, ექიმობდა უმძიმეს დაავადებებს და ასწავლიდა ხალხს. სილიუს იტალიკი „პუნიკაში“ პირდაპირ აცხადებს, რომ Angitia, იყო აიეტის ასული. ზოგი ანგიციას თვლიდა გველის წინაპრად, ზოგი გველს თვლიდა ანგიციას წინაპრად (ამას კარგად გაიგებდა კოლხი და პელასგი, ეს ხომ პელასგური მოტივის გამოძახილია - ევრინომამ შექმნა გველი ოფიონი, რომელიც, თავის მხრივ, ამტკიცებდა შემდგომ, რომ მან შექმნა ყველა და ყველაფერი).

ანგიციას გემი შემოაგდო იტალიაში ქარიშხალმა. ის დასახლდა კორომში, ტყეში უმბრიის ტბასთან გაგო ჭეუცინო, სადაც იტალიელთა უშუალო წინაპრები - მარსები და მარუბები ეთაყვანებოდნენ ანგიციას (თუ არ ვცდები ზოგ სოფელში - დღემდე).

ზოგი ანტიკური ავტორი წერს, რომ იმ გემზე იყვნენ მედეა და იასონი, რომ მარსებმა მედეას დაარქვეს ანგიცია - არ არის გამორიცხული, თუმცა მაინც, რომაული ტრადიცია მიიჩნევს, რომ ანგიცია იყო აიეტის სხვა ასული, მედეასა და ცირას დაი. (აიეტს ყავდა ორი ცირა - ერთი დაი, ერთიც ასული).

Lucius Coelius Antipater: „ანგიცია - ერთ-ერთი აიეტის სამი ასულიდან, მედეასა და ცირას დაი, ცხოვრობდა კორომში ტბასთან“ (Gaius Julius Solinus II. 28-29 Coelius-ზე მითითებით)

შესაძლებელია ამ ქალღმერთი ექიმის სახელი „ანგიცია“ მოდის სიტყვიდან angerent (მოხრჩობა, მოჭერა, აქედან - ანგინა). თუმცა, არსებობს ლათინური სიტყვა anguis - გველი. გველის მოხრჩობა? თუ ავადმყოფობის მოხრჩობა? გამოსაკვლევი.

კარდა

აქ არ შეიძლება იგნორირება ქალღმერთისა კარდა, Carda, Cardēa - ძველ რომში ჯანმრთელობის, ქორწილებისა და სასწაულებრივი ჩასახვის (!) ქალღმერთი. კარდა მფარველობდა ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, განსაკუთრებით მანიაკებისაგან (დღეს დაგვჭირდებოდა ძალიან).

კარდა (ზოგან კარდუ) - საოცრად ფარული, ამოუხსნელი ღვთაება, რომლის მცენარე იყო კუნელი (Crataegus, дьярышник), განსაკუთრებული ძალის სამკურნალო ყვავილი, რომლის შესაძლებლობები თანამედროვე მედიცინამ იცის ძალზედ ზერელედ. კუნელი განასახიერებდა ნაყოფიერი ნიადაგის თეთრ ქაღალმერთს, ჰერმესის დედა მაიას (მაია იყო ასული პრომეთეს ძმისა - პელასგების ტიტან ატლანტისა - სწორედ იმ ატლანტისა, რომელსაც დღესაც უჭირავს დედამინა და მისი ღერძი, პირველ რიგში ინტელექტუალურად).

კუნელი იყო აიეტის (სავარაუდო) დის, ჰეკატეს წმინდა ყვავილი. აგრეთვე ყვავილებისა და აყვავების ქაღალმერთ ფლორას წმინდა მცენარე.

კარდა იყო აგრეთვე კართა, კაუჭთა, საკეტთა (cardines), ანუ სახლეულის ქაღალმერთი, რომელიც იცავდა ოჯახებს ბოროტ სულთაგან. ორსახა იანუსმა კარდას მიანიჭა უნარი გაღებისა, რაც ჩარაზულ იყო და ჩარაზვისა, რაც გახსნილი იყო (შდრ. ქართული „კარი“). (ისევ მახსენდება იესო ქრისტეს სიტყვები: „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჰსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა - მათე, 16, 19).

კარდას დღედ იუნიუსს ბრუტუსმა დაადგინა 1 ივნისი (ამჟამად - ბავშვთა დაცვის დღე). (!)

ოვიდიუსი („Fasti“-ში) გვიყვება, რომ თვით კარდასა და ორსახა იანუსის სულ ხუთი დღის ჩვილს მიესიენ სტრიგები (ბუებად სახეშეცვლილი ალქაჯები), რომლებიც იკვებებიან ბავშვთა შიგნეულობებით. კარდამ მიუსწრო და გადააჩინა საკუთარი შვილი დალუპვას... კუნელის საშუალებით. გადარჩენილი ბავშვი, სახელად პროკა, შემდეგში გახდა ლაციოში (Lazio!) მდებარე ქალაქ ალბა ლონგის ლეგენდარული მეფე.

დავიმახსოვროთ Carda, Crataegus (საერთოდ CRD, CRT), Lazio და ალბა-ლონგა. (ამაზე დანვრილებით - ქვემოთ).

სისიფე (სიზიფე).

კორინთელ სისიფეს კარგ, დადებით, დახასიათებას ძნელად თუ შეხვდებით. რას არ აბრალებენ ამ მზიურ ტიტანს და ტანჯულ ადამიანს დღემდე! და მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო გაუტყუავი გმირი, დამპყრობელ ბერძნებთან და რენეგატ ზევსთან ღირსეული მეომარი თავის ძმებთან - კრეტეოსთან, ათამანტთან და სალმონეოსთან ერთად.

გადმოცემებით ქალაქი კორინთო დააარსა:

ან კორინთმა, მზის ღმერთის ელიას შთამომავალმა;

ან ეფირამ, ტიტან ოკეანეს ასულმა. ოდესღაც ქალაქს მისი სახელი ერქვა - ეთერი (*ევმელი. კორინთიაკა 8 ბერნაბე; ჰიგინი, მითები 275*); პირველად დასახლდა ამ მიწაზე (*პავსანიუსი, ელადის აღწერა II 1, 1*); ეთერი იყო აიეტის მშობელი დედა (!!) (*ეპიმენიდე 11 = სქოლიები აპკოლონიუს როდოსელისათვის III 242*);

ან თვით სისიფემ.

სისიფემ ნამდვილად დააარსა კორინთოს მეფეთა პირველი დინასტია, ძალაუფლება კი მან საჩუქრად მიიღო... მედეასგან! (*ევმელ კორინთელის მიხედვით - პავსანიუსი. „ელადის აღწერა“ II 3, 11; ანატოლი კომდრაშოვი*).

ვისგან? მედეასგან? კოლხი მედეასგან? როგორ თუ „კოლხი მედეასგან“?! როგორ და - წაიკითხეთ ეს ცნობა:

„კორინთოს მიწები ეკუთვნოდა აიეტს, რომელმაც თავის ასულ მედეასთან ერთად მიზეზთა გამო დატოვა კორინთო და წავიდა კოლხთა ქვეყანაში. წასვლის წინ აიეტმა და მედეამ გადასცეს ძალაუფლება ბუნს, ჰერმესისა და ალკიდამიის ძეს. მათ დაავალეს ბუნს კორინთოს მიწებზე ზრუნვა“ (*ევმელ კორინთელი; პავსანიუსი; იოანე ცეცე*).

„კორინთოს მიწები ეკუთვნოდა აიეტს“-ო. კორინთო კოლხების სამფლობელო იყო.

ამ ბუნმა (მასზე ცოტა რამ ვიცით) გადასცა ქალაქ კორინთოზე ძალაუფლება უშუალოდ სისიფეს. როგორ მოხდა ძალაუფლების ეს გადაცემა - მოხდა მედეასა და აიეტის მითითებით, თუ ეს გააკეთა უშუალოდ მედეამ - ჩვენ არ ვიცით. ვიცით, რომ სისიფე გახდა კორინთოს მეფე მედეას მემკვიდრით.

კიდევ ერთხელ გაგახსენებთ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ტექსტს:

ქრისტემდე IX-VIII საუკუნის პოეტი-ისტორიკოსი ევმელი წერს: „ოდესღაც ჰელიოსისა და ანტიოპასგან იშვნენ აიეტი და ალოე, მაშინ იპერიონის დიდებულმა ძემ (ელიამ) გაყო მიწა ორ ნაწილად შვილებისათვის: ის მხარე, რომელსაც ფლობდა ასოპი, მან უბოძა ღვთიურ ალოეის, ის კი, რომელიც ეფირამ (Αἰθήρ, მთის ჰაერი, ეთერი) აიღო, მთლიანად მისცა აიეტს“. ეს ცნობა ეხება კორინთოს მიწებსა და მდინარეთა ღმერთს ასოპს, რომელიც ებრძოდა უზნეო ზევსს. ამ ცნობას ადასტურებენ სხვა ავტორებიც.

გადმოცემებით, თვით კორინთს არ ყავდა შვილი და კორინთელებმა გადასცეს ძალაუფლება მედეასა და იასონს (პავსანიუსი. ელადის აღწერა II 3, 10).

ან კორინთი იყო მოკლული მოქალაქეთა მიერ. სისიფემ დასაჯა მკვლელები და კორინთის მაგივრად დადგა ქალაქ კორინთოს მეფედ.

ესე იგი, როცა მეცნიერები წერენ, რომ ნეოლითის (ახალი ქვის ხანის) ეპოქაში, 8 000 წლის წინ, კორინთოში უკვე იყო მოსახლეობა - აღმოსავლეთიდან გადმოსული ხალხები, ეს „ხალხები“ ყოფილან კოლხები! თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რომ თვით დასახელება „კორინთო“ მოდის პელაგურიდან.

ესე იგი, მართალია ის, ვისაც მიაჩნია, რომ სულ-სულ ადრე, კაცობრიობის გარიჟრაჟზე ბალკანებზე იბერიონიდი კოლხები ცხოვრობდნენო და ცივილიზაციაც ქონდათო...

სისიფე იყო სიკეთის, სიბრძნისა და გამომგონებლობის განსახიერება. სისიფე ფენომენი იყო.

მან ააყვავა კორინთო და გადააქცია მეტად მნიშვნელოვან ქალაქად. მან დაარსა ისტორიული თამაშები, შემდგომ საუკუნეებში ოლიმპიურ თამაშებად რომ გადაიზარდა.

ყველაფერს არ ჩამოვთვლით - მთავარი ვთქვათ:

სისიფემ შექმნა, არც მეტი, არც ნაკლები... უკვდავება!

სისიფემ შექმნა... უკვდავება? დიახ! სისიფემ „მეცნიერებითა თვისითა“, ცოდნითა და მზიური ღვთის დარი ინტელექტით მიაღწია არნახულს - ადამიანი გახადა უკვდავი. (ალკეოსი, 38 თეოგნიდე. Elegos 702-712; E. Г. Рабинович. Мерное время. 1991).

ეს სასწაული მითოლოგიაში აისახა ასე:

როცა სისიფეს დროც მოვიდა და მას ეწვია სიკვდილის დემონ-ღვთაება ტანატოსი აიღში წასაყვანად, სისიფემ ჭკუით აჯობა მას, შებოჭა და კლდეზე მიაჯაჭვა. სისიფე მიაჯაჭვა ტანატოსი - ეს საშინელი, დაუნდობელი, დაუძლეველი ბოროტება ჩამქრალი ჩირალდნითა და ჩამქრალი მზერით.

სისიფე ამით ოლიმპიელ ღმერთებს დაუპირისპირდა, მიიღო მათი გამონვევა და დაატყვევა მათ მიერ გამოგზავნილი (იქნებ მათივე შექმნილიც) სიკვდილი, ტანატოს-ფანატოსი!

სიკვდილის ღვთაებამ ველარ შეძლო ფუნქციონირება და დაკარგა არსებობის აზრი - ის სასაცილო გახდა. ამით სისიფემ მასხრად აიგდო თვით სიკვდილი და თავისებური შური იძია უახლოესი თავის წინაპრის - პრომეთეს მიჯაჭვის გამო. ტანატო-ფანატოსის კლდეზე დაბმა გადაიქცა პაროდიად ტიტან პრომეთეს მიჯაჭვაზე.

თუ პრომეთე ველარ ეხმარებოდა ადამიანებს, ვერც სიკვდილი კლავდა მათ - სისიფემ სიკვდილი ჩაიგდო ხელში, პატიმარი გახადა და გამოთიშა საქმიდან.

ადამიანები აღარ კვდებოდნენ („არა კაც კლა“?!). ადამიანებმა დაივიწყეს სიკვდილი. სასაფლაოები ბუჩქნარებად გადაიქცნენ.

არ არის სასწაული?

მოკვდავმა შექმნა უკვდავება. მოკვდავმა შეძლო სიკვდილის ინსტინქტის შეწყვეტა, შეძლო აგრესიისა და დესტრუქციისკენ ფარული თუ ღია მიდრეკილებების მოსპობა. ადამიანებს აღარ ეშინოდათ აღარც ოლიმპიელი ღმერთების, არც მათი სიმრავლის (მრავალღმერთიანობის).

შედრწუნდნენ ღმერთები - ადამიანი სიკვდილზე მახვილგონიერი აღმოჩნდა.

მოკვდავთათვის უკდავების ეპოქა დაიწყო. ეს კი სამყაროს წესწყობილების (კოსმოსის) გადატრიალებასა და ახალი ცხოვრების, ახალი ეპოქის დაწყებას ნიშნავდა. სრულიად დაინგრა რეგლამენტი, მათი რეგლამენტი. ამან შიშის ზარი დასცა ოლიმპიელებს, განსაკუთრებით კი მიწისქვეშა აიდს, რომელთანაც შეწყდა გარდაცვლილ ადამიანთა აჩრდილების ნაკადი, - აღარავინ კვდებოდა, არავინ იხდიდა ქელეხს (აიდის უშუალო შემოსავალი). გულგახეთქილი ოლიმპიელები გაერთიანდნენ უკვდავების შემქმნელის წინააღმდეგ და რამდენიმე წლის შემდეგ დაამარცხეს სისიფე. მათ აღადგინეს არსებული წესრიგი და დაუბრუნეს სიკვდილი ადამიანებს. ისევ გაისმა დედამიწიდან ოლიმპიელების ყურებისათვის დამამშვიდებელი გლოვისა და ადამიანების დატირებებისა ხმები

ოლიმპიელების ლოგიკით პრომეთე, სისიფე და სხვანი მათნაირნი დატყვევებულები უნდა იყვნენ და უნდა იტანჯებოდნენ განუწყვეტილ, ხოლო კილერი ტანატ-ფანატოსი კი თავისუფლად უნდა დაქროდეს დედამიწაზე და ადამიანებს ხოცავდეს განუწყვეტილ, სიამოვნებით და ხშირად დაუსაბუთებლად, ოლიმპიელების სურვილებისა თუ ახირებების აღსასრულებლად.

ოლიმპიელებს ადამიანები სჭირდებათ მხოლოს მოკვდავი, რადგან უკვდავი ადამიანი საშიში ხდება. უკვდავი ადამიანი - აი უკვდავ ოლიმპიელთათვის ყველაზე თავზარდამცემი მტერი. ღმერთები ღმერთობას კარგავენ, კარგავენ თავის უპირატესობებს, ფასს, მნიშვნელობას, აღარ ვამბობთ - ღირსებას, რომელიც დროთა მიმდინარეობაში მათ თითქმის აღარ დარჩათ. თუმცა ერთი დადებითი თვისება მაინც დარჩათ ოლიმპიელებს, უფრო სწორად ერთ-ერთ მათთაგანს, სიკვდილის დემონ ღმერთს - ის ქრთამს არასოდეს იღებს, პროფესიული ვალის აღსრულების თვითშეგრძნებით დაუზოგავად კლავს მას, რომელზეც მიუთითებენ.

ღმერთებმა დიდის სიხარულითა და ერთიანი ძალებით მოკლეს სისიფე, შემდეგ კი ასევე ერთიანი ძალებით, გაუვრცელეს უამრავი უმსგავსო ჭორი (რომელსაც, ჰომეროსიდან დაწყებული დღემდე ბრმად იმეორებენ მითების მცოდნენიც კი).

ღმერთების აზრით, ასეა საჭირო კაცობრიობის განვითარებისათვის. როგორც ჩანს, ასეა საჭირო საყოველთაო ჰარმონიისათვის, კოსმიური წონასწორობისათვის. არაფრით არ შეიძლება პროფესიონალი ჯალათის, დაბადებით მკვლელი ფანატის დროებით დაკავებაც კი, თუნდაც მოკლე შეკითხვებისათვის. იმავე საყოველთაო ჰარმონიისათვის და კოსმიური წონასწორობისათვის საჭიროა, მეტიც, აუცილებელია ადამიანებისათვის ცეცხლისა და სინათლის მომტანი პრომეთეს კლდეზე მიჯაჭვა და მისი განუწყვეტელი წამება, მისი ღვიძლის ყოველდღიური კორტნა ისეთი ხერხებით, რომ რაც შეიძლება მეტი ეტკინოს, მეტი დაიტანჯოს.

სისიფე ჩააგდეს ტარტარში (ან აიდში - ჰომეროსი), მიუსაჯეს მარადიული ტანჯვა და დაუნიშნეს სადისტურზე სადისტური სასჯელი - სისიფეს მთაზე ააქვს ერთი მცირე ქვა. მაგრამ ატანასთან ერთად ქვა თანდათანობით იზრდება და დიდი ლოდი ხდება. როცა უკვე ცოტა უკლია ლოდის მწვერვალზე დადებას, ერთი ნაბიჯით ადრე სისიფეს ძალა ეცლება, ქვა უგორდება ქვევითკენ და ის ვალდებული ხდება დაიწყოს ყველაფერი თავიდან. ეს უაზრო შრომა გრძელდება უსასრულოდ - ბოლმიანი ზევსის გულის გასახარად - სისიფე ვერასოდეს ვერ უნდა მოისვენოს, სულ ეგონოს, რომ აი ახლა-ახლა დადებს ლოდს და ბოლოსდაბოლოს როგორც იქნა დაისვენებს, - სწორედ ამ დროს ლოდი გორდება ისევ ქვემოთ. ამ ტანჯვას დაარქვეს „სისიფეს შრომა“.

ასეთი შემზრავია ზევსის შექმნილი პროგრამა, ასეა მომართული მისი სამართალი.

შეადარეთ, როცა პეტრემ ჰკითხა უფალს, რამდენჯერ უნდა შევეუნდოთ ადამიანსო, „პეტრეუა მას იესუ: არ გეტყვ შენ ვიდრე შუდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შუდ-გზის“, მათე 18, 21-22).

ბევრი სერიოზული მკვლევარი სისიფეს (ისევე როგორც პრომეთეს) იესო ქრისტეს წინამორბედად თვლის. შესანიშნავი წერილი აქვს ალბერ კამიუს, რომელსაც მიაჩნია, რომ სისიფე

თავისი შრომით ამაღლდა უაზრო არსებობაზე და ამ დამსჯელ უაზრობაში მოიპოვა თავისი დიდი აზრი და სიამაყე.

არსებობს ცნობები, რომ სისიფე ოლიმპიელებმა დასაჯეს არა მხოლოდ სიკვდილის დამარცხებისათვის. (ამ საკითხებზეც - შემდგომ, დანვრილებით. მერნშუნეთ, სისიფეს მიერ ოლიმპიელებთან, ანუ სიკვდილთან, ბრძოლა მეტად დამაფიქრებელი ამბავია).

ასკლეპიუსი, მკურნალობის ღმერთი.

- სისიფეს ყავდა ძე ალმი (ვალმი) (პავსანიუსი. ელადის აღწერა II 4, 3), რომელიც იყო ალმონის (ოლმონის) მეფე ოხრომენში. (პავსანიუსი. IX 34, 10). შემდგომში, ეტყობა, ოხრომენის მეფეც (?).

- აღმს ყავდა ორი ქალიშვილი - ხრისოგენია (მინიოსის ბებია) და ხრისა (ფლეგიუსის დედა) (პავსანიუსი. IX 36, 1).

- ხრისა (ოქრო) - ალმის ქალიშვილი. არესის (ომის ღმერთის) ჯერ საყვარელი, შემდგომში ცოლი. მათ გაუჩნდათ ვაჟი ფლეგიუსი (Pleguas), რომელიც მართავდა ოხრომენს პაპამის ალმივით.

ყურადღება მივაქციოთ - ხრისა ერქვა ტროას ახლოს მითიურ კუნძულს.

- ფლეგიუსი, ხრისასა და არესის (ომის ღმერთის) ვაჟი. იქსიონისა და კორონიდას მამა. ოხრომენის მეფე ეთეოკლეს შემდგომ, თუმცა „ილიადაში“ (XIII 301...) ფლეგიელები თესალონიკელებად მოიხსენებიან.

- კორონიდა, ფლეგიუსის ასული, ასკლეპიუსის დედა. [ერთი ვერსიით კორონიდას ადრე ერქვა ეგლა (ეგრა ანუ მეგრა!) და იყო ასული პელასგ აზანისა არკადიიდან].

ფლეგიუსი იყო მინიელების წინაპარი და მამამთავარი. მინიელებზე ისე წერენ დღემდე, როგორც ბერძნებზე, თითქოს ეს ხალხი იყო ბერძნების რაღაც განშტოება, რაც შეცდომა უნდა იყოს. ჩანს, რომ ეს სულ სხვა ხალხია. თებელი ბერძნები ერთ დროს დიდ ხარკსაც (წელიწადში 100 ხარს) უხდიდნენ

მინიელებს. მათი კერამიკა მინიელთა ქალაქ ორხომენიდან (2100-1550 ქრისტემდე) საოცრად წააგავს კოლხურს და ბერძნების შემოსევას უსწრებს რამდენიმე საუკუნით. ასეთი წარმოება შეეძლოთ ან პელასგებს, ან მინიელებს (ან ორივე - ერთი ხალხია). ბერძნები ხშირად ვერც ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან პელასგებსა და მინიელებს. მათ მიაჩნდათ, რომ მინიელები წარმოიშვნენ მეფე მინიასგან (Μίνυα) - ეს სახელი ძალზედ აახლოვებს მას კრეტელ პელასგების მეფე მინოსთან (Μίνωα). გამოსაკვლევიან, აგრეთვე, რა კავშირი უნდა ქონდეთ მინიელებს მინიის სამეფოსთან, რომელიც იყო ნაწილი მიდიისა, მედეასა და იაზონის მიერ დაარსებული ქვეყნისა (იხ. მიდია, ქალდეა და ურარტუ - ვანისა და ურმიის ტბებს შორის).

არგონავტებს ხშირად უწოდებდნენ მინიელებს (იასონს, მედეასა და ოქროს საწმისის გამტაცებელს, დედა ყავდა მინიელი).

რაიმეს სერიოზულად მტკიცება მინიელების ეროვნების შესახებ არასერიოზულია, ეს ხალხი ისტორიულ დროში უკვე აღარ არსებობდა. ჩემის აზრით, ისინი პელასგური მოდგმისა იყვნენ (მაგ., იქსიონი - ფლეგიუსის ძე და კორონიდას ძმა - იყო პელასგური ქალაქ ლარისას მეფე მიზიაში).

ფაქტია, აგრეთვე, რომ მინიელებს ბერძნები ავაზაკებს უწოდებდნენ - დამარცხებული (მითუმეტეს, თავგანწირულად მებრძოლი), განდევნილი და ასიმილირებული ხალხი და მისი ღმერთები „ცუდები“ უნდა იყვნენ, ისინი ასე უნდა წარმოაჩინო - ამას ითხოვს გამარჯვებულის ლოგიკა. (კარგად ვიცით ეს ჩვენც, დღევანდელმა ქართველებმა)....

აი, მაგალითად, ფლეგიუსს მიაწერენ დელფოს აპოლონის ტაძრის ალებისა და გაქურდვის მცდელობას, როდესაც ის კლავს მუსიკოს ფილამონს. აგრეთვე, ბერძნებზე ავაზაკური თავდასხმის განზრახვას - ამ და სხვა მიზეზთა გამო ის დღემდე იხდის სასჯელს ტარტარში.

დღემდე, რადგან არავის უცდია მისი და სხვა ამდაგვარი ადამიანების რეაბილიტაცია

ფლეგიუსს დანაშაულად უთვლიან მის მოგზაურობას პელოპონესში „დაზვერვისა და ომის დანყების მიზნით“ (Paus. II 26, 3). რამდენად შეიძლება უღერდეს დამაჯერებლად ომის გაჩაღებისა და დაზვერვის მიზნით მოგზაურობა... ორსულ ქალიშვილთან ერთად?

არ ვიცი. ვყვები მხოლოდ იმას, რასაც წერენ ძველი ავტორები.

მოკლედ, ამ ამბებს ბევრი ვერსიებიც აქვს, მაგრამ ძირითადში გადმოსცემენ დაახლოებით ასე:

ფლეგიუსის ერთადერთ ასულში, კორონიდაში, ძლიერ შეყვარებული იყო მზის ღმერთი აპოლონი. ჭორაობდნენ, რომ კორონიდას ფარულად უყვარდა ულამაზესი ვაჟკაცი, არკადიელი პელასგი ისხოსი (Ἰσχυς, მიკენური ღმერთის სახელი I-su-ku-wo-do-to, ისხიოდოტე?). ეჭვიანი აპოლონი მიხვდა რაღაცას, და კორონიდაზე სათვალთვალოდ დატოვა თეთრი ყვავი. აპოლონის არყოფნაში კორონიდამ ფარულად მიიწვია თავისთან ისხოსი. ყვავმა შეტყობინება ვერ მოასწრო, რადგან აპოლონმა ყვავზე ადრე გაიგო ღალატის ამბავი. აპოლონმა მოკლა ისხოსი, ყვავი კი შეუტყობინებლობისათვის დანყევლა ცხელ გულზე - ამის მერე ყვავები იბადებიან შავებად...

სწორედ მამასთან, ფლეგიუსთან ერთად მოგზაურობისას, ქალაქ ეპიდავრთან (Paus. II 26, 4-8) კორონიდას დაეწყო მშობიარობა, მაგრამ (გაიგო რა კორონიდას ღალატი) დაუნდობელმა ქალწულმა არტემიდემ, აპოლონის ტყუპისცალმა, ჯერ კიდევ ორსული კორონიდა განგმირა ასობით ისრით და კოცონში ჩაადგო. აპოლონს შეეცოდა კორონოდა, მაგრამ ვეღარ გადაარჩინა. მხოლოდ გაუხსნა მუცელი უკვე მკვდარ ქალს და ამოიყვანა ჯერ კიდევ ცოცხალი ბავშვი. ბავშვს ასევე დაარქვეს - ასკლეპიუსი, Ἀσκληπιός, გახსნილი. (მდრ. საპირისპირო - სკლეპი, დახურული).

აი ასე, ისტორიაში პირველი საკეისროს მეშვეობით, დაიბადა ექიმთა ღმერთი ასკლეპიოსი. ეს მოხდა მთა ტიფიონზე, რომელზეც იზრდებოდა უამრავი სამკურნალო ბალახი.

ყვებიან, რომ ფლეგიუსმა, როცა გაიგო, რომ კორონიდას კავშირი ქონდა ბერძნების ღმერთ აპოლონთან, ძლიერ განრისხდა შვილზე და დანვა აპოლონის ტაძარი (პელასგი არ იყო?!).

თუმცა იმასაც ყვებიან, რომ ფლეგიუსმა დაუნვა აპოლონს ტაძარი შვილის გაუბედურების გამო...

აპოლონის ტაძრის დანვას ფლეგიუსს ვინლა აპატიებდა. ის, რა თქმა უნდა, მოკლეს, თანაც ზევსმა დასაჯა ასე - მიწისქვეშეთში ფლეგიუსი დასვა ისეთი კლდის ქვეშ, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო ჩამოვარდნა, თანაც დაუნესა მარადიული შიმშილი.

ოლიმპიელების სისასტიკე აქაც კარგად ჩანს - ტანჯვა ფლეგიუსისა არანაკლებია, ვიდრე პაპამისის სისიფესი („აბა რა ეგონათ ამ პელასგებს, ჩვენ, აქაველებს, რომ გვებრძოდნენ“).

ასეთ ამბებს როცა ვიგებ, უკეთ მესმის, თუ რატომ ჩავიდა იესო ქრისტე ჯვარცმის შემდეგ ჯოჯოხეთში და რატომ გაანთავისუფლა ტანჯული სულები (რომლებიც ბერძნებს სულები კი არა, აჩრდილები ეგონათ). სხვათაშორის, აიღმი ფლეგიუსს შეხვდა ტროელი ენეოსი („ენეიდა“ VI 619-620).

რატომ მაინცადამაინც ტროელი? იმიტომ ხომ არა, რომ:

ზ. გამსახურდია: „...ტროელები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია და მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკუთვნის ამ მოდგმას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე მეცნიერებას, მაგრამ ხდება ყოველივე ამის ტაბუირება“... „ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო“... „კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ“...

გავიხსენოთ: სისიფეს უფროს ძეს ალმი (ვალმი) ერქვა. ამავე სახელს ატარებდა რატომღაც ტროის, ანუ, ვილუსის

(Wiluse) მეფე, ალექსანდუსის მემკვიდრე (Latacz J. Troy and Homer. Oxford UP. 2004. P.115).

თვით ალექსანდუსი (ხეთურად Alaksandu) - იყო მეფე ტროისა. მან ძვ.წ 1280 წელს მოანერა ხელი მეგობრობის ხელშეკრულებას ხეთების მეფე მუვატალ II-სთან (1295-1272). ეს და სხვა ასეთი ტექსტები იმას ნიშნავს, რომ უდიდესი განსაცდელის პირისპირ დაქსაქსული ახლობლები ცდილობდნენ როგორმე ისევ გაერთიანებას.

ეს Alaksandu, ჩანს, ჰომეროსის ალექსანდრეა. მას უფრო ილიონელი პარისის სახელით ვიცნობთ. ბერძნულად სახელი ალექსანდრე „დამცველს“ ნიშნავს. იგივე სახელი ალექსანდრე რატომ არის ტროელების ენაზე „პარისი“? რამეს ნიშნავს პარისი? არაფერს არც ერთ ენაზე. მხოლოდ ქართულად ნიშნავს იგივეს - დამცველს: „ფარს“. პარისი არის ბერძნულად გამოთქმული ფარი-სი.

ზ. გამსახურდია: „...ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია, ტროაშიც გმირებს ვეფხისტყაოვი მოსავთ. დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია. ასე რომ, ვეფხისტყაოვი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა“...

მართალი ნათქვამია - „ტროელები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია“...

მოვყვებით უკვე თვით ასკლეპიუსის შესახებ.

ასკლეპიუსი, პელასგ ფლეგიუსის ასულის, პრინცესა კორონიდასა და ღმერთ აპოლონის (ან პელასგ ისხოსის) ძე.

დაიბადა ეპიდავრში, სადაც შემდეგ, უკვე ისტორიულ დროში, აშენდა მისი სახელობის ტაძარი.

ეპიდავრელები, სანამ ქალაქს ველური დორიელები დაანგრევდნენ (XII ს. ქრისტეშობამდე), ყვებოდნენ, რომ ასკლეპიუსი გაზარდეს კეთილმა გრძნეულმა კენტავრმა ხირონმა და აპოლონმა, რომელიც ბავშვის მამად თვლიდა თავს. ორივემ სერიოზულად შეასწავლა ბავშვს ქირურგია და მედიცინის სხვა საიდუმლოებები. თვით ასკლეპიოსიც განუწყვეტლად ხვდნავდა

თავის ოსტატობას და განთქმული ექიმიც გახდა. ის სასწაულებრივად არჩენდა ხალხს. ელადაში სულ მალე დაიდგა ასკლეპიუსის 300 (!) ტაძარი. მას ეთაყვანებოდა მთელი საბერძნეთი, მას მიეძღვნა ჰომეროსის მე-XVI ჰიმნი და ორფიკების მე-გXVII ჰიმნი.

ტაციტუსი „ანალებში“ წერს, რომ ასკლეპიუსმა რამდენიმე საიდუმლო მისი ამ უნიკალური უნარისა შეასწავლა მხოლოდ (და რატომღაც) თავის პელასგებს კუნძულ კოსი-დან. (გაიხსენეთ: კუნძულ კოს-სთან იდუმალი კავშირი ქონდა ევრინომას შექმნილ ტიტან კოიოსსა და მის მეუღლე მეტისს, რომლებიც ფლობდნენ პლანეტა მერკურის. მეტისი-მეთიდა იყო განსახიერება სიბრძნისა).

ასკლეპიუსმა გარდაცვლილთა გაცოცხლებაც ისწავლა (იხ. მედეა, სისიფე). მან სიკვდილსაც აჯობა, რადგან დაიმორჩილა განუკურნავი დაავადებებიც. გარდა ამისა, მან სიბერეც დაამარცხა - ადამიანები მარად ახალგაზრდები რჩებოდნენ. რობერტ გრეივისის მიხედვით, ასკლეპიუსმა და სიბრძნისა და ომის ქალღმერთმა ათინამ ერთმანეთში გაიყვეს მედუზა გორგონას (პელასგების სილამაზის ქალღმერთის), სისხლი: ასკლეპიუსი იყენებდა ამ სისხლს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისათვის, ათინა კი სიცოცხლის მოსასპობად და ომის გაჩასაღებად.

კიკლადელი ფერეკიდე, შვიდ ბრძენთა შორის ყველაზე პატივსაცემი (IV ს. ქრისტეშობამდე) თავის შრომებში წერდა, რომ ასკლეპიუსმა მკვდრეთით აღადგინა პელდელოფოს ყველა (!) მცხოვრები (აბა სისიფეს შვილთაშვილი სხვას რას გააკეთებდა?).

როცა ასკლეპიუსმა სისიფეს დარად, ისევ დაიწყო უკვდავების მასიურად დანერგვა-დაკანონება, ოლიმპიელები ისევ გადაირივნენ: ტანატ-ფანატი ეახლა ზევსს ოლიმპოზე და იჩივლა, ასკლეპიუსის მიერ უკვდავყოფილი ადამიანები ჩვენ აღარ გვემორჩილებიანო, ღმერთებზე უარესი რით ვართო! თუ სისიფემ მე მაშინ კლდეზე მიმაჯაჭვა, ასკლეპიუსს ესეც არ დასჭირვებია, ისე აღადგენს ადამიანებსო, აღდგომა კი მსოფლიო წესრიგს ანგრევსო!

დასასჯელია ნამდვილადო, აყვა ამ გოდებას აიდიც, ასკლე-  
პიუსი ჯოჯოხეთიდან ჩემს ქვეშევრდომებს მტაცებსო, თუ ასე  
გაგრძელდა, აქ აღარავინ დამირჩებაო.

ზევსს გაეცინა, თუმცა განრისხდა კია. ცოტა იფიქრა თუ  
ბევრი იფიქრა, ჩათვალა ასკლეპიუსის ქმედებები საფრთხედ  
სტაბილურობისთვის და განუცხადა ღმერთებს, მაცალეთ, მოვა  
მაგის დროცო.

ასკლეპიუსმა იცოდა, რაც ელოდა მას, მაგრამ მკურნალის  
ვალდებულებას მისთვის უფრო მეტი ფასი ქონდა, ვიდრე  
საკუთარ სიცოცხლეს.

ესქილე და ევრიპიდე წერენ, რომ ერთხელაც, როცა  
აბანტიდმა პელასგმა კაპანეუსმა თებესთვის ბრძოლის დროს  
შეურაცხყო ზევსი, იმანაც არ დააყოვნა და მეხი სტყორცნა ურჩ  
არგოსელს. (დანტემ „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთების  
შეურაცხყოფებისათვის კაპანეუსი მოათავსა ჯოჯოხეთის მემ-  
ვიდე წრეში, საიდანაც გაისმის ხოლმე კაპანეუსის ჯავრიანი  
შექახილები მოღალატე ზევსის მიმართ). მაგრამ ასკლეპიუსმა  
გააცოცხლა ეს გმირი არგოსელი. აქ კი უკვე ზევსის მოთ-  
მინების ფიალა აივსო - ოლიმპიელებმა სასწრაფოდ მოუგონეს  
ასკლეპიუსს ბრალდება (მკვდრებისგან იღებს ქრთამს ოქრო-  
თიო), ზევსმაც (რომელიც, ბერძნების - და არა პელასგების -  
მითების მიხედვით ასკლეპიუსს პაპად ეკუთვნოდა) სტყორცნა  
ელვა მკურნალ „მექრთამე“ ღმერთს და მოკლა იგი. მოკლა  
ასკლეპიოსის ყველა გაცოცხლებული პაციენტიც.

სტყორცნა ელვა ზევსმა და დაწყნარდა - სიკვდილის კანონის  
შემჩერებელი და საერთოდ მსოფლიო წესრიგის დამანგრეველი  
ასკლეპიუსი სათანადოდ დაისაჯა

სტყორცნა ელვა ზევსმა და დაწყნარდა - ძალიან ბევრი  
მოინდომა ადამიანებისათვის ასკლეპიუსმა. მან მიიღო რაც  
დაიმსახურა - აბა რატომ დაადგა სისიფეს გზას? რატომ დაადგა  
პრომრათეს გზას? რატომ წავიდა ჩემს წინააღმდეგ?..

მაგრამ ქვეყანა არც იმ მითოლოგიურ დროს იყო ჩაღიტი  
დახურული - მოირებს, ბედის ქალღმერთებს, თავისი აზრი  
ქონიან ასკლეპიუსის მიმართ და არ მოეწონათ ზევსის ეს

საქციელი (როგორც ბევრი სხვა). ბედის განმკარგავმა ქალ-ბატონებმა გააცოცხლეს ასკლეპიუსი და დაავალეს ისევ ზევსს განენესებინა ცაზე როგორც ოფიონის თანავარსვლავედი (Ophiuchus, ისევ პელასგების ოფიონი!). არც ზევსს მოეწონა მაინცდამაინც ეს გადაწყვეტილება, მაგრამ დაემორჩილა მიორებს - მას, ცოტა არ იყოს ეშინოდა მათი და არ უნდოდა მათი ნაადრევად განაწყენება. ზევსი ძრწოდა იმაზე ფიქრისაგან, რომ მასსაც, ტახტის მამისგან მიმტაცებელს, კაცობრიობის ოქროს ხანის მომსპობსა და სხვა უზნეო საქციელების ჩამდენს, ადრე თუ გვიან უკრავდნენ თავს ტარტარში. (ზევსი თითქოს გრძნობდა, აგრეთვე, რომ მისთვის მოულოდნელად, რომელიღაც უცნობ დროს, მოვიდოდა მართლაც ნამდვილი ღმერთი, შემოქმედი და სამართლიანად მომწესრიგებელი ყველაფრისა, მაგრამ ბევრს ამაზე არც თვითონ მსჯელობდა, არც სხვას აყვებოდა ხოლმე ამ თემებზე საუბრებში)...

აღდგომისა და გაცოცხლების უნარი კი ასკლეპიუსს ზევსმა მაინც ჩამოართვა. ყოველ შემთხვევისათვის! მიიჩნია, რომ ეს ჯერ ადრე იყო? არ ვიცი. არ მინდა ვიმსჯელო იმაზე, რაც არ ვიცი.

მოკლედ, აქამდე ასკლეპიუსი ჯერ ისევ მოკვდავი იყო. აღდგომის შემდგომ ის გახდა ღმერთი.

რომში ასკლეპიუსს ესკულაპი ერქვა. რაც წამიკითხავს, ყველგან წერია, რომ რომაელებმა იმპორტი განახორციელეს ბერძნული ღმერთისა ქრისტემდე 293 წელს, როცა რომში იფეთქა ინფექციებმა და როცა განახორციელეს ასკლეპიუს ქანდაკების გადმოტანა საბერძნეთიდან. ეს ასე იყო ნამდვილად, მაგრამ ეს იყო, ჩემის აზრით, მხოლოდ გახსენება და გაძლიერება იმ მიზინყებული ღმერთისა, რომელიც ჯერ კიდევ აქაველებისგან დევნილმა პელასგებმა (შემდეგში ეტრუსკებად და სხვა ხალხად გადაქცეულებმა) თან ჩაიტანეს იტალიაში მრავალი საუკუნით ადრე და რომლის ბედიც ანია გამო-საკვლევია. (იხ. ანგიცია, მედიტრინა, პოდალირიუსი, კარდუა და სხვანიც, რომელთა აღმოჩენა ჯერ კიდევ შეიძლება)

ახლა განვიხილოთ ეს ამბები სხვა კუთხით.

ვის გაანდო თავისი საიდუმლოებანი ასკლეპიუსმა? პელასგებს კუნძულ კოსი-დან. (ტიტანი კოსი, გახსოვთ, იყო პელასგების მთავარი ქალღმერთის, ევრინომას შექმნილი შვიდი ტიტანიდან ერთ-ერთი).

ვინ, რა ხალხი გააცოცხლა ასკლეპიუსმა? ჩამოვთვალოთ ის, ვისმა სახელმაც მოაღწია ჩვენამდე:

ლიკურგე (დრიანტის ძე, ედონ-პელასგთა მეფე),

კამპანეოსი, არგოსელი გმირი,

ტინდარეი, სპარტის მეფე, დედისმკვლელ ორესტეს გამასამართლებელი,

გლავკოსი, კოლხი პასიფაესა და კრეტის მეფის მინოსის ძე,

გლავკოსი, სისიფეს ძე, კორინთოს მეფე,

კაპანეუსი, აბანტიდი, ეგვიპტის მეფის ეპაფოსისა და ტირინთოს მეფის პრეტოსის შთამომავალი,

იპოლიტე, უძველესი ათენის მეფის თეზევსის ძე პელასგების ტრეზენიდან, ფედრას მსხვერპლი,

ორიონი, გიგანტი, ულამაზესი, უძლიერესი გმირი, მინოსის (ალბათ, პასიფაესაც) შვილიშვილი, გაზრდილი ევბეაზე (ანუ ეგრიპოს-მაკრისზე), სოფელში ორო. აქვეა დამარხული. ელიასა და პოსეიდონის თაყვანისმცემელი. შეიყვარა ეოსი (აისი, განთიადი). არტემიდემ ამაზე იეჭვიანა და მოკლა ორიონი.

ყველა, ვინც კი გააცოცხლა ასკლეპიუსმა, პელასგურ-კოლხური წარმოშობის იყო. ყველა! ასკლეპიუსმა მკვდრეთით აღადგინა დელფოს ყველა მცხოვრებელი - დელფო ხომ ადრე პოსეიდონს ეკუთვნოდა და ეს „ყველა მცხოვრები“ პელასგები იყვნენ. ასკლეპიუსმა გააცოცხლა თებესთან ბრძოლაში ყველა დაღუპულიც - ამით ომები უაზრო გახადა და არესი (მარსი, ომის ღმერთი) უმუშევრად დატოვა.

მოკლავდნენ ოლიმპიელები, აბა რას უზამდნენ. დედისა და ორივე სავარაუდო მამის მხრიდანაც ასკლეპიუსი ხომ იბერიონიდი კოლხი იყო, ელიას შთამომავალი. რომ ეცალიათ მისთვის ყველა თავისიანს გააცოცხლებდა და ასწავლიდა

გაახალგაზრდავების საიდუმლოებებს. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა დედამინაზე! აი მაშინ, ვავა და ტიტუ ყველა დამპყრობელს!

ასკლეპიუსის მოკვლამ ისე განარისხა მამამისი აპოლონი, რომ, ვერ გაუბედა რა პირდაპირ დატაკებოდა ზევსს, დაერია ერთთვალა ციკლოპებს და ერთიანად განწყვიტა ისინი (ამ ციკლოპებმა გამოჭედეს ზევსისათვის სწორედ ის მეხი, რომლითაც მოკლა ზევსმა ასკლეპიუსი). ზევსიც განრისხდა, მაგრამ ვერც მან გაბედა აპოლონის სერიოზულად დასჯა - მხოლოდ მსუბუქი სასჯელი დაადო და მალე აპატია. ციკლოპების ადგილი კი სამჭედლოში დაიკავა ჰეფესტოსმა. (დამაფიქრებელია! ახლად მოსული ანადგურებს ძველს? საზოგადოდ კი არის ასე, მაგრამ ამ შემთხვევაში როგორ იყო გამოსაკვლევი)....

ასკლეპიუსის მეუღლე გახლდათ მკურნალი ეპიონა (Ἐπίων - ტკივილთა შემსუბუქებელი), მეფე მეროპეს ასული (მითებში ორი მეროპეა. ვერ დავაზუსტე, ეს მეროპე კოლხი დოლიონების მეფე იყო, თუ კუნძულ კოს-ისა). თვით ეპიონა ქალღმერთად იყო აღიარებული (კრინაგორე, / ს. ქრისტემდე).

ეპიონას ქანდაკება იდგა ასკლეპიუსის კორომში (პავსანიუსი, „ელადის აღწერა“).

ასკლეპიუსს და ეპიონას ყავდათ რვა შვილი, ყველა განთქმული ექიმი:

ექვსი ასული: პანაცეა, ჰიგიეია, მედიტრინა, იასო, აკესო, აგლეა.

და ორი ვაჟი - პოდალირიუსი და მახაონი.

პანაცეა (Πανάκεια), ყველაფრის მკურნალი ქალღმერთი. საქმეში პრინციპული და უკარება. მიაჩნდა, რომ საჭიროა არსებობდეს ყველაფრისგან განკურნების ერთი (ერთიანი) წამალი.

ჰიგიეია (Ἵγεια, Ὑγεία, ჯანმრთელობა), მკურნალი ქალღმერთი. მიაჩნდა, რომ ვერ იარსებებს ყველაფრისგან განკურნების ერთი წამალი, რომ ადამიანი ყველა ცალკე პრობლემისთვის

უნდა იყოს მზად. ჰიგიენა, როგორც დისციპლინა, მოდის მისგან. ჰიგიენას მიეძღვნა LXVIII-ე ორფიკული ჰიმნი.

მისი კულტი იყო ოროპში, ძველი იდგა მეგარაში (პავსანიუსი). ეს იყო ახალგაზრდა ლამაზი ქალი, რომელიც აჭმევს თასიდან გველს. ეს გახდა მედიცინის ემბლემა - „ჰიგიას თასი“.

ჰიგიენა რომში გაიგივებულია ქალღმერთთან Salus (ჯანმრთელობა), სალუსს, როგორც რომაელი ხალხის ჯანმრთელობის დამცველს (Salus publica populi Romani), დიდი ტაძარი ქონდა კვირინალეზე. სალუსიდან მოდის სალუტი და ფიცი იმპერატორს per Salutem. Salus-ი გაიგივებულია აგრეთვე საბინთა ჯანმრთელობის ქალღმერთთან სტრენიასთან, რომლის საპატივცემულოდ არიგებდნენ საახალწლო საჩუქრებს. (დავიმასხოვროთ კვირინალიც და საბინებიც - პირდაპირი კავშირი ცირასთან).

მედიტრინა (Meditrina), მკურნალი ქალღმერთი რომში. მედიტრინალიები, დღესასწაული მის საპატივცემულოდ აღინიშნებოდა 11 ოქტომბერს ძველ რომში.

იასო (Ίασω, Ίησώ, მკურნალობა). შედის ექიმ ქალღმერთთა წრეში. ტაძარი მისი იდგა ოროპში (პავსანიუსი).

აკესო (Ἀκεσώ, Aceso), შედის ექიმთა წრეში. ვერ დავადგინე, იყო თუ არა ეს ქალბატონი ქალღმერთი.

აგლეა, ეგლა ეგრა (Ἀγλαῖα, ნათება). შედის ექიმთა წრეში. ვერ დავადგინე, იყო თუ არა ეს ქალბატონიც ქალღმერთი. დავადგინე მხოლოდ, რომ იყო სხვა აგლეაც, რომლის გამოც თეზევსმა მიატოვა ჩვენი კოლხი პასიფაეს ასული არიადნა. არ ვამბობ ტყუილად, ეს თემა მალე ამოგვიტივტივდება სერიოზულად.

მახაონი (Μαχάων). ითვლებოდა კარგ მკურალად და ქირურგად. აქაველები ძალიან აფასებდნენ მას, - ჰომეროსის თქმით „ომში ექიმი ბევრ მეომარს ჯობიაო“

ძმასთან, პოდალირიუსთან ერთად თხოვდა ხელს ელენე მშვენიერს. ტროელების (პარისის) მიერ ელენეს მოტაცების

შემდგომ მონაწილეობას იღებდა ტროას ომში აქაველების მხარეზე. ითვლებოდა რომ ძმასთან ერთად მოიყვანა 50 გემი. ორივე ხელმძღვანელობდა თესალიელების ჯარს.

განკურნა ბევრი აქაველი გმირი. თვითონაც დაიჭრა პარისის ისრით. ამ ჭრილობას გადაურჩა, მაგრამ მოგვიანებით ველარ გადაურჩა ამაზონკების დედოფლის პეტესილის ისარს (ჰომეროსი).

მაქაონმა გადაარჩინა ფილოქტეტე, ასევე ელენეს ყოფილი საქმრო, არგონავტი და ისრის საუკეთესო მტყორცნელი. ფილოქტეტე კვდებოდა გველის ნაკბენისგან, აქაველები კი ვერაფრით აიღებდნენ ტროას ფილოქტეტეს ისრების გარეშე. აპოლონმა ჩაძირა ტროას ნაპირი მაგიურ ძილში, მისმა შვილიშვილმა მაქაონმა კი გაჰკურნა ფილოქტეტე. გამოჯანმრთელებულმა ფილოქტეტემ მოგვიანებით მოკლა პარისი.

გერენიაში (მესენია) აღმართეს მკურნალ მახაონის ტაძარი. მისკენ უწყეტად მიედინებოდა ხალხი.

პოდალირიუსი (Ποδάλειος). კარგი მკურალი. ძმასთან, მაქაონთან ერთად თხოვდა ხელს ელენე მშვენიერს. მონაწილეობას იღებდა ტროას ომში აქაველების მხარეზე. მაქაონთან ერთად მოარჩინა ფილოქტეტე. პირველმა მიხვდა რომ აქილევის და აიაქს ტელამონიდს ფსიქიური აშლილობა აქვთ. კარგად ერკვეოდა შინაგან ორგანოთა სნეულებებშიც. ფილოქტეტესა და, მგონი ძმასთან ერთად იჯდა ტროას ცხენში. ტროას აღების შემდეგ დაუახლოვდა მისან კალხანტს (კოლხანტს, „ანტი“ დაბოლოება უკვე ვიცით რომ პელასგურია).

დავნიასი იყო აღმართული მკურნალ პოდალირიუსის ტაძარი, სადაც აჩვენებდნენ მის „ცრუ-საფლავს“ კალხანტის გვერდით. თაყვანს ცემდნენ როგორც გმირ მკურნალს უფრო მეტად თესალიაში, კარიაში და სამხრეთ იტალიაში, აპულიაში, სადაც აგრეთვე აუგეს ტაძარი.

მკითხავთ: ეს როგორ გამოდის, რომ იბერიონიდები ებრძვიან ტროელებს, აგრეთვე იბერიონიდებს? არაფერია გასაკვირი. ეს ერთი მოდგმა ისე დაცილდა ერთმანეთს ტერიტორიით და

საუკუნეებით, რომ ნათესაური გრძნობები მეტად შესუსტდა, თუმცა ერთიანობის განცდა რალაც ფორმებით მაინც იგრძნობოდა. აი გმირთა გმირი, აქილევსი, წარმოშობით პელასგი (თრაკიელი პელეოსის ძე), გაზრდილი აქაველების გარემოცვაში - ეს ვერაგმა ოდისევსმა აიძულა ტროაში გამგზავრება, თორემ არც მიდოდა აქილევსი, სულ ფეხს ითრევდა, არ უნდოდა ბერძნების მხარეზე ბრძოლა ტროელების წინააღმდეგ. არც ბრძოლობდა მაინცადამაინც დიდის მონდომებით, უფრო თავის კარავში იჯდა ხოლმე. მაგრამ როცა მისი მეგობარი პატროკლე მოკლა ტროელმა ჰექტორმა, შურისძიების გრძნობამ ისე აანთო, რომ გადავიდა შეტევაზე, მოკლა ჰექტორი და ძლიერი დარტყმები მიაყენა ტროელებს.

რაც შეეხება ძმებს - ჰოდალირიუსსა და მაქაონს, აქაც უფრო პირადული მოტივი ჩანს. ქალის მოტაცების პატიება შორეული ნათესაობის გამო ძალიან შარანი საქმეა დღესაც. მითუმეტეს, როცა არჩაბმა ომში აქაველების ღალატს და დეზერტირობას ნიშნავს და შემდგომი მტრობისა თუ დაღუპვის დიდ აღბათობას აჩენს. ეს ყველაზე მეტად ეხება ყველა იმ არა-აქაველს, რომელიც აქაველების გვერდი-გვერდ ცხოვრობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. გარდა ამისა, ჩვენ, ქართველებს, არ უნდა გვიკვირდეს ძმათაშორისი არა თუ ბრძოლა, არამედ ხანგრძლივი ომები და მტრობა, განსაკუთრებით როცა ამაში მომხდური გეხმარება.

ასკლეპიუსი ითვლებოდა ძალიან ბევრი ცნობილი ანტიკური ხანის ექიმების წინაპრად, რომელთა არსებობა დადასტურებულია დოკუმენტურად. პირდაპირი შთამომავალი ასკლეპიუსისა იყო გენიოსი ექიმი ჰიპოკრატე, პელაზგთა კუნძულ კოსი-დან (სიც!) და, წარმოიდგინეთ, ფილოსოფოსი არისტოტელეც, რომლის მამაც, ნიკომაქე, იყო მაკედონიელი მეფეების კარის ექიმი და დაბადებული იყო კიკლადების კუნძულ ანდროსზე. მას თავი მიაჩნდა ძირძველ ასკლეპიადად და გამოყავდა თავისი მოდგმა ასკლეპიოსის ძიდან, ჰომეროსის მახაონიდან. დედა არისტოტელესი, ფესტიდა, წარმოშობით იყო ხალკიდურ (კოლხიდურ) ევბეადან, რომელსაც უძველეს დროში, ბერძნების

შემოსევებამდე, მაკრისი ანუ ეგრიპოსი ერქვა. ამ ეგრიპოსზე ცხოვრობდნენ პელასგი ეგრიდები, ანუ ეგრ-კოლხები. რა თქმა უნდა, არისტოტელე უკვე ბერძენი იყო, მაგრამ საინტერესოა, რატომ უსვამდა ხოლმე ხაზს ზოგიერთი ბერძენი გენიოსი (მაგალითად, პლატონი) იმას, რომ მისი წინაპარი ოდესღაც, 700-1000 წლის წინ, პელასგი იყო? იცოდნენ, რომ ეს საამაყო იყო?

იცოდნენ, იცოდნენ.

ალოეს ისტორიაში ჩვენ ვყვებით ამდენ პარალელურ ამბავს იმიტომ, რომ გვინდა დაახლოებითი სურათი მაინც დავხატოთ, თუ რა მოვლენა იყო ქვეყანა პელასგია, ვინ იყვნენ ეს პელასგები, რა წვლილი აქვთ მსოფლიო ისტორიაში. მგონია, რომ ძალიან დიდი და სრულეებით დაუფასებელი - არა მარტო ჩვენგან, არამედ ევროპელებისგანაც.

განვაგრძოთ და ისევ ალოეის მივუბრუნდეთ მესამედ.

ალოეს შესახებ ძალიან ბევრი ცნობა არ გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, - ძალიან მნიშვნელოვანია.

ესე იგი იყო ექვსი (შესაძლებელია რვა) ღვიძლი და-ძმა, იბერიონიდები, ელიასა და პერსეიდას შვილები:

სამი ძმა - ალოე, პერსი, აიეტი

და სამი და - კირკა, პასიფაე, ქალიპსო

შესაძლებელია, კიდევ ორი დაც - ჰეკატა Ἑκάτη, Ekath და ეგაც Atyr, Aega.

ესენი არიან ბერძნებამდელი, ოლიმპიელებამდელი ტიტანები, ღმერთები (ქალიფსო საერთოდ მოიხსენიება როგორც ქალ-ღმერთთა ქალღმერთი), მეფეები და მმართველები სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების, მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთის და შავი ზღვის აუზებში.

პელასგები და კოლხები, ერთი წარმოშობის ხალხი, თვლიდნენ, რომ არიან ნარჩენი და შთამომავალი იმ ერთი დიდი ისტორიამდელი ხალხისა, რომელიც ცხოვრობდა კრონოსის ოქროს ხანაში ადამიანის დაცემამდე...

ალოეი იყო მეფე არკადიისა. უხსოვარ დროში ეს იყო ბედნიერი, მშვიდობიანი მხარე, უმანკო, უდარდელი, მხიარული, სტუმართმოყვარე მწყემსთა და მონადირეთა ქვეყანა, მათ ფანტასტიკურად ლამაზი სიძლერებით შექმნეს პასტორალის ჟანრის პოეზია. არკადია იყო ევროპელი რომანტიკოსი პოეტების მიერ აღწერილი სამოთხე, იდილიისა და მარადიული სიყვარულის სავანე.

აუხსნელია ერთი რამ: როგორ მოახერხეს ამ თითქოს უზრუნველმა და უდარდელმა მწყემსებმა შეექმნათ უძველესი ევროპის განსაცვიფრებელი ცივილიზაცია.

რობერტ გრეივისი: ისინი „არასოდეს ბერდებოდნენ, ბევრს ცეკვავდნენ და ბევრს იცინოდნენ. მათთვის სიკვდილი არ იყო სიზმარზე საშიში. მათგან აღარავინ დარჩა, მაგრამ მათი სულები ჯერ კიდევ არსებობენ: ისინი გადაიქცნენ კეთილ სულებად, იღბლის მრუქნელებად და სამართლიანობის დამცველებად“ (საიქიოში, უძველესი მითების მიხედვით, გარდაცვლილთა მსაჯულები არიან ყველაზე პატიოსანი ადამიანები - მონოსი, რადამანტი და ეაკი).

პელასგებმა არ იცოდნენ არც ბატონ-ყმობა, არც მონობა. ყველა ადამიანი იბადებოდა და კვდებოდა თავისუფალ პიროვნებად.

მაგრამ ეს იყო მანამ, სანამ ჩრდილოეთიდან არ დაიძრნენ ველუთა უთვალავი ურდოები - დაახლოებით 3 ათას წელს ქრისტეშობამდე დაიწყო აქაველებისა და შემდეგ, დორიელების მრავალსაუკუნოვანი განუწყვეტელი შემოსევები არკადიასა და, საერთოდ, პელასგიაში, რომლებიც დაგვირგვინდა ბრინჯაოს კოლაფსით ქრისტეშობამდე მეთორმეტე საუკუნეში.

არკადია - ცენტრია პელოპონესის, ყველა მხრიდან გარშემორტყმული მთებით. ალბათ ამიტომ გაძლო არკადიამ პელასგების სხვა მხარეებთან შედარებით უფრო მეტ ხანს - აქ დიდხანს

შეინარჩუნეს თავისი თვითმყოფადობა მისმა უძველესმა მკვიდრებმა. გაუტყეხლობითა და ვაჟკაცობით, არკადიელები არ გაბერძნდნენ ბოლომდე და იცავდნენ თავისი პელასგობას ქრისტეშობამდე თითქმის მეხუთე საუკუნემდე

ჩვენ სიამოვნებით ვიმეორებთ, რომ გამორჩეული ავტორები ძალიან აფასებდნენ პელასგებს - ჰომეროსი („ოდისეა“ 19,17, „ილიადა“ 10, 429), ასიუს სამოსელი (8, „ბერნაბე“) და სხვანი მათ „ღვთიურ პელასგებს“ უწოდებდნენ.

ასიუს სამოსელი წერს: პელასგი იყო „ღვთის დარი პირველი ადამიანი დედამიწაზე დაბადებული“.

პავსანიუსი „ელადის აღწერაში“ (8.1.4) წერს, რომ ეს პირველადამიანი ცხოვრობდა არკადიაში და მის საპატივცემულოდ დაერქვა ქვეყანას „პელასგია“, და როცა მეფე გახდა არკასი, მას დაარქვეს „არკადია“

იგივე პავსანიუსი წერს, რომ პელასგებმა დემეტრას ტაძარში დადგეს ქანდაკება ორფეოსისა - როგორც დიადი პელასგისა.

George Grote („საბერძნეთის ისტორია“, I) წერს: «არკადიელების ღვთიური, ანუ გმირული გენეალოგია იწყება პელასგიდან, რომელსაც ჰესიოდე და ასიუსი თვლიდნენ ადგილობრივ მკვიდრად, თუმცა არქესალუს არგეველი თვლიდა მას არგოსის ძმად, ზევსისა და ნიობას ძედ“ (არგოსზეც - ცალკე).

„ღვთიური პელასგები“ „ღვთის დარი პელასგი“, „პირველი მოდგმა ადამიანის ჯიშისა“ - ასეთ სიტყვებს არ ისვრიან არც შემთხვევით და არც უბრალო კომპლიმენტისათვის, მითუმეტეს თუ ავტორები ასეთი განსაზღვრებებისა (ჰომეროსი, ჰესიოდე, ასიუსი, პლუტარქე და სხვანი) თვითონ არიან არანაკლებად დიადები, თუ არა „ღვთის დარნი“...

(გაგრძელება იქნება)

## ჩვენი ფასეუბი საქართველოში

ჩვენი სტუმარია ამერიკაში, ნიუ იორკში ქართული კულტურის ცენტრის „ფესვების“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **რუსუდან გალდავა-ღავთაძე**, რომელიც დიასპორის დღეებზე გავიცანი თბილისში და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პრეზენტაციამ საკვირაო სკოლის შესახებ, სადაც მოღვაწეობს.

**ქალბატონო რუსუდან, გვიამბეთ თქვენს შესახებ, როგორც ემიგრანტობამდე, ისე ემიგრაციაში.**

- მოგესალმებით. მოხარული ვარ, რომ დაინტერესდით ჩემი მოღვაწეობით და განსაკუთრებით ჩვენი საკვირაო სკოლით ნიუ იორკში.

დავამთავრე ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ვმუშაობდი აფხაზეთში, ქალაქ სოხუმში საბავშვო ბაღში აღმზრდელად, შემდეგ ჩვენს დედაქალაქ თბილისში მე-16 საბავშვო ბაღში (ახლა მზიანეთი) აღმზრდელად და შემდეგ მეთოდისტად. აქვე შევადგინე უფროსი ჯგუფის აღსაზრდელთათვის რუსულ სექტორზე ქართული ენის სწავლების მეთოდის სახელმძღვანელო. ვმუშაობდი თბილისის 83-ე და 152-ე საშუალო სკოლებში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქართულ და რუსულ სექტორებზე.

2007 წელს ოჯახის შეერთების პროგრამით მოვხვდი ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში. უკვე თორმეტი წელია ემიგრანტი ვარ, აქედან, მეცხრე წელია, რაც ვმუშაობ ნიუ იორკში ქართული კულტურის ცენტრ „ფესვებში“ ქართული ენისა და

ლიტერატურის მასწავლებლად, მანამდე კი ვმუშაობდი ბრუკ-ლინის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში აღმზრდელად.

### **როგორი ისტორია აქვს ამ კულტურულ ცენტრს, ვინ დააარსა და რა პროგრამები მუშაობს ამჟამად?**

- “ფესვების” დამფუძნებლები არიან ივანე გოდერძიშვილი და შორენა ბარბაქაძე.

იგი დაარსდა 2001 წელს, როგორც ცეკვის წრე, სამოყვარულო დონეზე, ყოველგვარი ოფიციალური აღიარების გარეშე. დროთა განმავლობაში გაიზარდა, გაძლიერდა და ახლა გახლავთ უდიდესი კულტურის ცენტრი, რომლის მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ, ქართული გენის, სულის, ჯიშის შენარჩუნება. შევიკრიბეთ ქართულის მოყვარული, ტოლერანტული აზროვნების, სულიერად მონათესავე მეგობრების ჯგუფი და უსიტყვოდ შევფიცეთ ერთმანეთს - ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ბავშვებს, სანამ ფეხზე ვდგავართ!

ცენტრში ფუნქციონირებს ქართული ცეკვის, სიმღერის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ჭადრაკის შემსწავლელი წრეები.

დღეს „ფესვებში“ მოღვაწეობენ ვანო გოდერძიშვილი-დამფუძნებელი და ხელმძღვანელი: კომპოზიტორი, პოეტი, შემსრულებელი, ფლობს 13 მუსიკალურ ინსტრუმენტს. შორენა ბარბაქაძე-ასევე დამფუძნებელი, ქორეოგრაფი, ყველა საგასტროლო კონცერტის ორგანიზატორი, ოთხი შვილის დედა და იდეალური მეგობარი. ჯურხა ლომთაძე- ქორეოგრაფი, „ფესვების“ ბურჯი და საყრდენი. ირაკლი ბეგლარაშვილი- გარმონზე დაკვრის უბადლო შემსრულებელი და იმპროვიზატორი. დოღზე დაკვრის ოსტატები: გია ჯანიაშვილი, ნიკა ელიავა. ჭადრაკის შენსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს ავთანდილ ჩანადირი. ასევე, „ფესვებთან“ არის მუსიკალური სტუდია „ციცინათლა“, სადაც ჩვენს ბავშვებს სიმღერას და ვოკალს ასწავლის ჩვენი უნიჭიერესი ნინი წიკლაური. აღნიშნული კულტურული ცენტრი აერთიანებს 100-მდე სხვადასხვა ასაკისა და შერეული ოჯახების ბავშვებს. ისინი შეისწავლიან ქართულ და სხვადასხვა ერის ხალხთა ცეკვებს. ფუნქციონებს ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული ხალხური და გუნდური სიმღერების, თანამედროვე სიმღერების შემსწავლელი, დოღზე და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის

შემსწავლელი, ჭადრაკისა და ხატვის წრეები. „ფესვები“ მონაწილეობას ღებულობს ყველა საქველმოქმედო და შოუ კონცერტებში როგორც ამერიკასა და მის შტატებში, ასევე საქართველოსა და ევროპაში.(აქვე დავძენთ, რომ მაისის თვეში ჩვენი ცუკვის ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება გერმანიაში.) ბოლო ორი წელია „ფესვების“ თაოსნობით ნიუ იორკში ჩატარდა ფართომასშტაბური თბილისობის დღესასწაული., რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვა შტატებიდან ჩამოსულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმაც. ყველა კონცერტი და რეპეტიცია მიმდინარეობს ცოცხალი მუსიკის თანხლებით, რაც თანამედროვე პირობებში ძალიან დიდი ფუფუნებაა. წინ სერიოზული გეგმები გვაქვს, რომელსაც ასევე ერთიანი ძალით განვახორციელებთ.

**რაც შეეხება თქვენს სფეროს და თქვენს მუშაობას, რა სირთულეების წინაშე დადევით, როდესაც გადანყვიტით უცხოეთში ქართველი ემიგრანტების მეორე და მესამე თაობისთვის ქართულის სწავლება?**

- დასაწყისიდანვე ორნაირი სირთულის წინაშე დავდექი: **პირველი:** ერთ კლასში მოხვდნენ რამდენიმე კატეგორიის ბავშვები;

ა) ის, ვინც ფლობს კომუნიკაციურ ქართულს და არ იცის წერა-კითხვა

ბ) ის, ვინც არ იცის წერა-კითხვა და ვერც საუბრობს

გ) ის, ვინც ფლობს სასაუბრო ქართულს და იცის წერა-კითხვა

დ) და სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები

**და მეორე,** არ არსებობდა სახელმძღვანელო, რომლითაც წავმართავდით ჩვენს სამუშაოს, არც სწავლების მეთოდიკა.

მაშინვე მოვიძიე ყველა ავტორის დაწყებითი კლასების „დედაენა“ და შესაბამისი რვეული. საბოლოოდ, ავირჩიე ნათელა მაღლაკელიძისა და ელენე მაღლაკელიძის იაკობ გოგებაშვილის მიხედვით შედგენილი პირველი კლასის სახელმძღვანელო. ჩემთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა ამ წიგნში შეტანილი როგორც საანბანო, ასევე კითხვის შესასწავლი მასალა.

მოგეხსენებათ, კვირაში ერთი საგაკვეთილო საათია და ამ დროში უნდა გვესწავლა წერაც, კითხვაც. მეტყველებაც, მარტივი გრამატიკული მასალაც. ყოველი გაკვეთილის გეგმაში უნდა გაგ-

ვეთვალისწინებინა მოსწავლეთა ასაკიც, მშობლიური ენის ცოდნის დონეც, მაქსიმალური ჩართულობა. ეს იყო მეტად შრომატევადი სამუშაო, ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა თითოეული გაკვეთილის მომზადებას. პრინციპში, ახლაც იგივე სიტუაციაა კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით, თუმცა ახლა მუშაობის გამოცდილება დაგროვდა და იმდენი დრო აღარ გვჭირდება გაკვეთილის მოსამზადებლად.

მოტივაცია დიდია ჩვენი მხრიდან, რომ მშობლიურ ენაზე წერაკითხვა და მეტყველება შევასწავლო ამერიკაში დაბადებულ თუ საქართველოდან ჩამოსულ ბავშვებს.

მე-2, მე-3, მე-4 კლასებისათვის იმავე ავტორების წიგნებიდან ავარჩიეთ მოკლე, მარტივი ტექსტები, ყურადღებას ვამახვილებ საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალაზე. ნაწარმოების გააზრებისთვის ვიშველიებ აქტივობების რვეულებს, რომელიც ახლავს სახელმძღვანელოს (რასაკვირველია, ფრაგმენტებს და არა სრულად), ხოლო ისტორიული თემატიკის განხილვისას ვიყენებ საქართველოს ფიზიკურ რუკას, ასე უფრო ადვილად იმახსოვრებენ ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობას, გარკვეული წარმოდგენა ექმნებათ თითოეულ კუთხეზე. მაგალითად, მოსწავლეებმა იციან, სად მდებარეობს საქართველო, მისი კუთხეები, მეზობელი ქვეყნები, ფერეიდანია, საინგილო, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო და ასე შემდეგ.

წელიწადში, საშუალოდ, 32 სამუშაო კვირა გამოგვდის და დროის ამ მონაკვეთში ვახერხებთ ანბანის შესწავლას წერით და კითხვით.

აქ მიზანს უკვე მშობლებთან უშუალო კონტაქტით ვაღწევ: ვაწვდი შესასწავლ ტექსტებს, იყენებენ ინტერნეტში მოთავსებულ ვიდეო-გაკვეთილებს და ასე შემდეგ.

აქვე დავძენ, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში ქართული ენისა და წერაკითხვის შესწავლის მსურველ ბავშვთა რაოდენობამ 160-ს გადააჭარბა.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის თავად ვიძენდი სასწავლო და თვალსაჩინო - დიდაქტიკურ მასალას. ეს იყო წიგნები, რვეულები, რუკები, მაგნიტური მოძრავი ანბანი და ასე

შემდეგ. ნელს ჩვენმა გენერალურმა კონსულმა ქალბატონმა დიანა ჟღენტმა აღმითქვა დახმარება ამ საკითხის მოგვარებაში.

### **გარდა ქართულის სწავლებისა, თუ გაქვთ რაიმე აქტივობა ბავშვებისთვის ქართულ ენაზე?**

- უშუალოდ მეცადინეობასთან ერთად ჩვენ ვამზადებთ ღონისძიებებს ქართულ ენაზე. ტრადიციად იქცა დედაენის, დედის, თბილისობის, საშემოდგომო, საახალწლო ზეიმების მომზადება-ჩატარება. დავდგით სპექტაკლები: „რწყილი და ჭიანჭველა“, „იავნანამ რა ჰქმნა?“, „საახალწლო ზღაპარი“, „მაცნატუნა“.

ვატარებთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმს. ღონისძიებების მუსიკალურად გაფორმებაში გვერდით მიდგას ჩვენი უნიჭიერესი და დაუღალავი ბატონი ივანე გოდერძიშვილი, ხოლო ცეკვების დადგმაში მეხმარებიან ჩვენი უსაყვარლესი ქორეოგრაფები შორენა ბარბაქაძე და ჯურხა ლომთაძე.

ჩვენი საკონსულოს თაოსნობით საახალწლო ნობათი და მილოცვის ბარათები გავუგზავნეთ ოკუპაციის ზონაში მცხოვრებ ბავშვებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით ყოფილ დიასპორის სამინისტროსთან, მონაწილეობას ვღებულობდით ყველა კონკურსში, გვაქვს გამარჯვებულის სერთიფიკატები.

რამდენიმე თვის წინ ბრუკლინის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ და მამა სპირიდონმა მომცეს კურთხევა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შევასწავლო მრევლის ბავშვებს, რასაც სიხარულით დავეთანხმე. იქ ჯერ-ჯერობით 16 ყმაწვილია, ასევე სხვადასხვა ასაკისა და მომზადების დონის, იქაც იგივე პრობლემებია, რაც „ფესვებში“, თუმცა ყველა საკითხის გადაწყვეტაში ჩვენი მამაოები და განსაკუთრებით მშობლები თავს დაგვეტრიალებენ. თვით ბავშვების ინტერესი დიდია მშობლიური ენის შესწავლისადმი, რაც ძალზე მაიმედებს და ენერჯიას მმატებს.

ასევე, დასამახსოვრებელი გახლდათ ბატონ ზვიად კვაჭანტირაძის მობრძანება ჩვენთან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველა ამ შეხვედრის ორგანიზატორი და ყველა წამოწყების თანამოაზრე, დამხმარე გახლავთ ქალბატონი დიანა ჟღენტი და მე ასობით

ადამიანის პოზიციას გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ეს ქალბატონი გახლავთ ჩვენი პატრონი ამერიკაში, ნიუ იორკში.

**როგორია თქვენი თანამშრომლობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტთან?**

- რაც შეეხება დიასპორის დეპარტამენტს, ნამდვილად აღნიშვნის და დაფასების ღირსია ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება ჩვენდამი დანყებული ბატონი მინისტრიდან, რომელიც დანიშნვიდან უახლოეს დროში შეგვხვდა ჩვენს საკონსულოში ბატონ დავით ზალკალიანთან ერთად. ბატონი ზვიად გონაძე გვეწვია „ფესვებში“. მეტად გულთბილი იყო ეს შეხვედრა. სახელდახელო კონცერტიც გავმართეთ.

ვთანამშრომლობთ ბატონ რატი ბრეგაძესთან, ჩვენს საყვარელ ალიონა ჩხოტუასთან, ბატონ გიორგი მერაბიშვილთან, რომელიც სადღელამისო კავშირზეა ამერიკასთან. მე მაპატიოს სხვა უწყებათა ხელმძღვანელებმა, მე მათ არ ვიცნობ, ვფიქრობ, საგარეო საქმეთა სამინისტრო დაკომპლექტებულია სრულიად შესაფერისი კადრებით, უნესიერესი ადამიანებით.

**ცნობილია, რომ უკვე შეიქმნა სახელმძღვანელო საზღვარგარეთის ქართული საკვირაო სკოლებისთვის. გაქვთ თუ არა ხელმისაწვდომობა ამ წიგნზე და რა აზრის ხართ, დაგეხმარებათ მეცადინეობების წარმართვაში?**

- მივესალმებით ინიციატივას, რომ შეიქმნა საკვირაო სკოლის სახელმძღვანელო და ამ მხრივ ძალიან სასიკეთო ცვლილებებია. მხედველობაში მაქვს ქალბატონ მაია მელიქიძის სახელმძღვანელო საკვირაო სკოლებისათვის. წიგნი სრულიად ახლებურადაა გააზრებული, ჩატარებულია უდიდესი სამუშაო. იგი სპეციალურადაა შედგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიისა და გეოგრაფიის გამარტივებული სწავლებისათვის. მე არაერთხელ აღვნიშნე, რომ წიგნი საინტერესოაა შედგენილი როგორც საანბანო, ისე ანბანის შემდგომი პერიოდისა. მოძეულია დიდძალი მასალა: არის მარტივი ტექსტები, დიალოგები, ენის გასატეხები, ზეპირი სააზროვნო მომენტები. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ბავშვის მომზადების სამი დონე. ეს სახელმძღვანელო უკვე დაიბეჭდა და მალე მივიღებთ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის დეპარტამენტის ინიციატივით.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ის სახელმძღვანელოები, რომ-ლითაც აქამდე ვასწავლდით, პირველმა მოგვანოდა კავკასიისა და დიასპორის საკითხთა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად კვაჭან-ტირაძემ, საქველმოქმედო ორგანიზაციის „ქართუს“ და საქართ-ველოს ფოსტის ხელშეწყობით. ეს გახლდათ პირველი დიდი საჩუქარი და თანადგომა საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისადმი. დღეს კი უკვე ველოდებით უშუალოდ საზღვარგარეთ მოქმედი სკოლებისათვის სპეციალურად შედგე-ნილ ინტეგრირებულ სახელმძღვანელოს, რომელსაც ახლა უკვე საგარეო საქმეთა სამინისტრო და დიასპორის დეპარტამენტი მოგვანოლებს.

**სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის რა დაბრკოლებებს ხვდებით და თუ არსებობს მისი მოგვარების გზა?**

- სასწავლო პროცესი რომ უფრო წარმატებული გახდეს, ჩვენ გვჭირდება დიდი, ნათელი, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი, ანუ ჩვენ გვჭირდება მეტი ფართი, რომელიც ძალიან ძვირი ღირს ნიუ იორკში, ბრუკლინში. და თუ ამ კუთხით სახელმწიფო რაიმე დახმარებას გაგვინებს, ეს სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს, ბავშვების ჯანმრთელობას. ჩვენ კი არ დავიშურებთ ძალას, ენერგიას, ცოდნას, სიტბოს, სიყვარულს — ყველაფერს, რასაც ემიგრაციაში ქართული საქმის კეთება ჰქვია.

ჩვენი ფესვები საქართველოშია!

**დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის და ასეთი პატრიო-ტიზმისთვის. თქვენ ჩვენი დროის გმირები ხართ, ყოველთვის ასე ვფიქრობდი ემიგრანტებზე, ვინც 134სსეტ ღირსეულ ქართულ საქმეს აკეთებთ უცხო მიწაზე.**

*ინტერვიუერი: მაია ქუეჩიშვილი*



ნიუ იორკის ქართული კულტურის ცენტრის „ფესვების“  
მოსწავლეები



ნიუ იორკის ქართული კულტურის ცენტრის „ფესვების“  
მოსწავლეები და ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებელი რუსუდან გალდავა-ლავთაძე

# სკოლის პრობლემა

თინათინ გოგიაშვილი



## საქელის საჯარო სკოლა

სოფელი საძელი, რომლის შესახებაც მინდა გაიმბოთ, ახალციხის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია, მისგან 5 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1220 მეტრზე მდებარეობს. სოფელ საძელში 1829 წელს ჩამოსული 8 ოჯახი დასახლდა, აშენდა ეკლესია, რომელსაც უკავშირდება სწავლა-განათლების დასაწყისი სოფელში. 1907 წელს ეკლესიასთან ახლოს დაწყებითი კლასებიც გაიხსნა.

სოფელში 1947 წლიდან 8-კლასიანი სკოლა ფუნქციონირებდა, ახლა სკოლა ზოგადსაგანმანათლებლოა, სკოლაში 54 მოსწავლეა და 22 მასწავლებელი, აქედან 5 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი და ისინი წამყვანის სტატუსისთვის ემზადებიან. დირექტორი ამავე სკოლის მკვიდრი ხორენ ოგანესიანია, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს, შეძლებისდაგვარად გააუმჯობესოს სკოლის ინფრასტრუქტურა. სწორედ სკოლის დანაზოგით მოხერხდა ახალი საპირფარეოს აშენება, კლასების და სამასწავლებლოს შეკეთება. პრობლემად რჩება კლას-კაბინეტების, ლაბორატორიის, სააქტო დარბაზისა და სპორტდარბაზის უქონლობა,

მიუხედავად ამისა, წელს საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი აიღო მეცხრე კლასის მოსწავლემ სამველ სიმონიანმა ძალოსნობაში, ასევე ბიჭების გუნდმა კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის აიღო პირველი ადგილი, გოგონათა გუნდი კალათბურთში მეორე ადგილზე გავიდა.

სკოლის დირექტორი ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-განათლების ამაღლებას და სიახლეების დანერგვას, 2012 წელს საძელოს სკოლა საქართველოს მასშტაბით 10 საუკეთესო სკოლაში შევიდა ოქროს მედალოსანთა რაოდენობით. 2018 წელს 2 ათოსანი მოსწავლე-ალინა ოგანესიანი და ბაგდასარ ოგანესიანი – დაჯილდოვდა პერსონალური კომპიუტერებით.

2003-2007 წლებში, დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი. გავაგრძელე სწავლა მაგისტრატურაში 2010-2011 წლებში სპეციალობით „ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტის სპეციალობით. ვაპირებ სწავლა გავაგრძელო დოქტურანტურაში, უნივერსიტეტთან ვაპირებ მჭიდრო თანამშრომლობას ჩემი პროექტის ფარგლებში, რომელიც წარვადგინე განათლების სამინისტროში პროექტის იდეის განხორციელებაში მხარდაჭერა გამომიცხადა სჯსუ უნივერსიტეტის რექტორმა და მერაბ ბერიძემ.

სკოლაში 2011 წლიდან ვმუშაობ, პროექტით-„ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, მუშაობა დავიწყე ახალქალაქის N2 საჯარო სკოლაში და იმავე წელს გადმოვედი საძელოს საჯარო სკოლაში, ასევე 2016 წლიდან ჩართული ვარ დისტანციურ სწავლებაში, სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ეკატერინა გორგოძე და ფეფრონე პაპიკიან-ათოშვილი, მათგან მივიღე დიდი გამოცდილება, ქართული ენის სწავლება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აქტიურად, ბავშვები არიან მოტივირებული და დაინტერესებული სახელმწიფო ენის სწავლებით, ბოლო 7-8 წელია ჩვენი სკოლადამთავრებულები უმეტესად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებენ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ უფრო მეტი გამოცდილება და ინტეგრირება, ქართველ მოსწავლეებთან ერთად ჩართული გვყავს სასკოლო და არასასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში. მოსწავლეები ყოველ წელს იღებენ „ეტალონი“ მონაწილეობას, ასევე ახალციხის კულტურის განყოფილების მიერ გამოცხადებულ ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართული, მაგალითად მოამზადეს თავისუფალი თემები: „ჩემი სოფლის ისტორია“, „ჩემი საყვარელი ქართული მოთხრობა“, და სხვა.

2015-2016 წლებში 10-მა მოსწავლემ 2-ჯერ მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ CIVITAS GEORGIAS პროექტში „გზა პარლამენტისაკენ, სასკოლო დებატები“, მეორედ მოხვდით ფინალში, განათლების სამინისტროში გაიმართა ფინალი და მეოთხე ადგილი დავიკავეთ, მოსწავლეებს გადაეცათ საჩუქრად დასასვენებელი საგზური საზაფხულო ბანაკში.

2018 წლის გაზაფხულზე ჩემი თხოვნით სკოლას ესტუმრნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, ალექსანდრე გრიგალაშვილი და სხვები, მათ ჩამოიტანეს საჩუქრად წიგნები, დიდი სიამოვნებით უყურეს ჩვენ მიერ დადგმულ ღონისძიებას, მათთან თანამშრომლობა გავაგრძელე და მათი მიწვევით ვესტუმრეთ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას „ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღეს“, რომელსაც მწერალი დათო ტურაშვილი უძღვებოდა, მოსწავლეებმა თავისუფლად წაიკითხეს „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალში. ასევე დავათვალიერეთ ეროვნული მუზეუმი.

2018 წლის ნოემბერში დავგეგმე ლიტერატურული საღამო „ჩვენ ხომ ძმები ვართ საუკუნედ თანატოლები“, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოში დაბადებულ სომეხი მწერლების და ქართველი მწერლების შემოქმედება პარალელურად. ღონისძიება გაიმართა ახალციხის საჯარო ბიბლიოთეკაში და მონაწილეობას ღებულობდა 8 სომხურენოვანი საჯარო სკოლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: რესურსცენტრის ხელმძღვანელი, კულტურის განყოფილების უფროსი და სკოლის დირექტორები. ღონისძიება შეფასდა დადებითად და მოსწავლეების მიერ მხატვრულად წაკითხული ლექსებით აღფრთოვანებული დარჩა დამსწრე საზოგადოება.

2011 წლიდან აქტიურად ვთანამშრომლობთ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროექტის მონაწილე მასწავლებლები და ერთად დაგეგმილი გვაქვს არაერთი ღონისძიება თუ პროექტი: 2 წლის განმავლობაში ვსტუმრობდით ნინოწმინდის ბავშვთა სახლს საჩუქრებით, ასევე ყოველ წელს ვატარებთ ქართული ენისა და საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებას, ასევე, სოფელ რუსთავში „ვეფხისტყაოსნის ძეგლთან“ წაიკითხეს მოსწავლეებმა ამონარიდები „ვეფხისტყაოსნიდან“, ვესტუმრეთ ვარძიასა და თმოგვის ციხეს. ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა გრძელდება და იმედი მაქვს, მოსწავლეებისთვის ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ოლიმპიადებსა თუ სხვადასხვა აქტივობაში, დირექტორიც მხარს უჭერს საჭირო ინიციატივებსა თუ აქტივობებს, აუცილებელიცაა და საჭიროც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მოსწავლეებს შეეძინათ უკეთესი პირობები, უკეთესი სწავლისათვის. დიდი იმედი მაქვს, რომ კარგი განათლება კარგი მოქალაქის აღზრდის საუკეთესო საშუალებად იქცევა.



## ელენე (ეკა) ლურსმანაშვილი

დავიბადე ქალაქ ბორჯომში 1974 წელს. საშუალო სკოლა დავამთავრე ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში. ვსწავლობდი ფრიადებზე.

1992 წელს ჩავირიცხე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ისტორიის ფაკულტეტზე. სტუდენტობა საუკეთესო ხანააო, - ამბობდნენ და ჩვენ 90 -იანელებს, მართლაც, განსხვავებული სტუდენტობა გვქონდა. პირველ დღეს მისულებს რექტორმა, ბატონმა მერაბ ბერიძემ, სტუდენტობა მოგვილოცა და წარმატებები გვისურვა. აუდიტორიაში შესულებს მოგვეგება ჩვენი დეკანი, ან განსვენებული ბატონი ვალერი სილოგავა და დაიწყო ბედნიერი დღეები ჩვენს ცხოვრებაში. საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები გვიკითხავდნენ ლექციებს: ნიკო ახალკაცი, თინა იველაშვილი, დათო ლომიტაშვილი, თენგიზ მეშველიანი, მალხაზ აფრიდონიძე. შემდეგ...



რა იყო შემდეგ....

ლექციები, ბიბლიოთეკა, სანთლის შუქზე დაწერილი სემინარები, სტუდენტური დღეები, „მანსანკანი“, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა, ახალი მეგობრები, ახალი ლექტორები, „ლიტერატურული ხუთშაბათობები“, წერილები ლიტერატურულ ალმანახში „სიტყვაი“ და ბატონი კოტეს კომენტარი ლექციაზე დაგვიანებისას: „სად დაყიალობ, ქალო!“

ბედნიერი ვარ, რომ გვასწავლიდნენ: მარინე ხუციშვილი, ნინო ნაკუდაშვილი, ქეთევან გრძელიშვილი, რობიზონ ციხელაშვილი, კოტე კაკიტაძე, გურამ მელიქიძე, ვასილ კუზიბაბაშვილი, მანანა კობაძე, მაია წერეთელი, მიშა გელუკაშვილი, ვახტანგ ინაური...

ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ადამიანების გვერდით ვსწავლობდი, როგორებიც არიან: ნათელა მელიქიძე, მაკა კაჭკაჭიშვილი, როინ ყავრელიშვილი...

ამჟამად, ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას ჩემს მშობლიურ ანყურის საჯარო სკოლაში.

„მიდიხარ თუ მოდიხარ არ არის მთავარი, მთავარი ის გზაა, რომელსაც გაივლი, ტკივილით ნაფარი“

## **ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებისათვის მე-10 კლასში**

თანამედროვე სკოლაში, როცა მოსწავლისთვის ცოდნა მხოლოდ უტილიტარულია, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ჰაგიოგრაფიის სწავლება მასწავლებლისათვის გამონევეას წარმოადგენს.

„ძველი ავტორების კითხვისას ჩვენ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს ვიძენთ, რაც შემდგომ თანამედროვე ეპოქისა და ადამიანების უკეთ გაგებაში გვეხმარება“ - ჯერომ ბრუნერი.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა რელიგიურია და წირვა-ლოცვასაც ესწრება, მაინც უჭირთ ასეთი ნაწარმოების გაგება-გააზრება, ქვეტექსტების ამოკითხვა და მათი მნიშვნელობის აღქმა. აღარაფერს ვამბობ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ეროვნული, ისტორიული, რელიგიური, ესთეტიკური ღირებულებების გააზრებაზე. საქმეს ვერ შველის ამ თემაზე შექმნილი ლიტერატურული კვლევების გაცნობა მათთვის, ვერც ბიბლიური მოთხრობები და იგავები, რომლებიც შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოში. მაინც ჭირს მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება მთელი წლის მანძილზე. ისმის მარადიული კითხვა: 21-ე საუკუნის ადამიანმა რატომ უნდა ვისწავლო „შუშანიკის ნამება“? ამასთანავე, საგაკვეთილო დრო ცოტაა, პროგრამით გათვალისწინებული მასალები კი - ბევრი.

მიმაჩნია, რომ ადამიანის ზოგადი განათლების კუთხით ეს პრობლემაა. ასევე, ეს ხელს უშლის მოსწავლეებს ჩემი საგნის სიღრმისეულ გაგებასა და შესწავლაში, რადგან სწორედ ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ შეამზადა ნიადაგი საერო მწერლობის აღმოცენებისათვის.

ძველმა მწერლობამ შექმნა მდიდარი და დახვეწილი სალიტერატურო ენა და მხატვრულ - სახეობრივი სისტემა. ქართველმა ჰაგიოგრაფებმა შესაფერის ენობრივ საშუალებებს მიაგნეს და „გამოუთქმელის გამოთქმა“ შეძლეს. (იხ. მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ვახტანგ როდონია, ძველი ქართული ლიტერატურა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ გვ.12-15)

გარდა ამისა, ამ ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ადამიანის მორალური ჩამოყალიბების კუთხით.

პიაჟესა და კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის თანახმად, ამ ასაკის (15-16 წლის) მოსწავლეებს „თუ მივანვდით ერთი საფეხურით უფრო მაღალ მორალურ მსჯელობებს, ეს სტიმულს მისცემს მათ, გადავიდნენ მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე“ (იხ. მანანა მელიქიშვილი, მორალური განვითარების თეორია, 2012, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, გვ. 25)

ამიტომ, მიზნად დავისახე ჩემი მოსწავლეებისთვის არამარტო მესწავლებინა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, არამედ შემეყვარებინა კიდევ. მათთვის დამესახა რთული ამოცანა ჰაგიოგრაფიული მწერლობის გაანალიზება ესთეტიკური, კულტურული პატრიოტული, რელიგიური კუთხით. რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებისთვის წიგნიერებისა და ზოგადი განვითარების ამაღლებას, შეაყვარებდა ქრისტიანულ კულტურასა და ღირებულებებს, რაც მთავარია, აღარ გაუჭირდებოდათ ჰაგიოგრაფიის შესწავლა. განვიითარებდნენ მაღალ სააზროვნო უნარებს (კვლევა-ძიების, პრეზენტაციის) და იქნებოდნენ წარმატებულები. მომავალში კი უკეთ გააკეთებენ პროფესიულ ორიენტირებს, ჩამოყალიბდებიან მოქალაქეებად.

კომპლექსური სწავლებისათვის საუკეთესო ხერხია პროექტებით სწავლების დაგეგმვა და განხორციელება. არაფორმალურ გარემოში უფრო მეტს სწავლობენ მოსწავლეები, ვიდრე საგაკვეთილო პროცესში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებთან ერთად დავგეგმე:

1. მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“.

2. სასკოლო-სასწავლო ექსურსია თბილისში.

3. ბიბლიური მოთხრობების გაშიფვრა.

4. ძველი ქართული ტექსტების „თარგმნა“ ახალ ქართულად.

სასწავლო წლის დასაწყისში მე-10 კლასი წავიყვანე ექსკურსიაზე თბილისში. ვიყავით ეროვნულ და ხელოვნების მუზეუმებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც გავაცანი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები, მოვილოცეთ მეტეხის ტაძარი, სადაც დასაფლავებულია წმინდა შუშანიკი, ვაჩვენე მეტეხის ხიდთან ის ადგილი, სადაც აბო თბილელის ძვლები გადაყარეს, ვაჩვენე აბო თბილელის სენაკი. გზადაგზა ვუყვებოდი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შინაარსს, ვაცნობდი შუასაუკუნეების ესთეტიკურ ღირებულებებს. გადავიღეთ ფოტოები კედლის გაზეთისათვის და პრეზენტაციებისთვის. პროექტის ფარგლებში გამოვუშვიტ კედლის გაზეთი. მიღებული შთაბეჭდილებების პრეზენტაციისას მოსწავლეებმა ისაუბრეს ექსურსიაზე შეძენილი ცოდნის შესახებ. შემდეგ ჩავატარეთ მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, ქართული ხასიათი“. სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს რევაზ სირაძის ნიგნიდან „სახისმეტყველება“ სხვადასხვა თემა: „დუმილის ესთეტიკა“ „შუასაუკუნეების ესთეტიკისათვის“, „საგალობელი“, „ბიბლიური სახე-სიმბოლოები“, აგრეთვე, ქართული ხასიათი აკ. ბაქრაძის წერილიდან „მკვახე შეძახილი.“

## ეკა თათეშვილი

დავიბადე 1975 წ. ადიგენის რაიონში, არალში-უსაყვარლეს და ლამაზ სოფელში. მყავს მშობლები და ერთი ძმა. ჩემი ოჯახი მამაჩემის სამსახურის გამო მუდმივად იცვლიდა საცხოვრებელ გარემოს, ამიტომ არც მეტი და არც ნაკლები 7 სკოლაში ვსწავლობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მოგზაურობების წყალობით უამრავი კლასელი და მეგობარი შევიძინე. სკოლა დავამთავრე ქ. ზესტაფონში 1992 წ.



ჰუმანიტარული გაძლიერებული განხრით. იმ წელსვე ჩავაბარე ქ. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე (მაშინ ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი იყო), რომელიც 1997 წელს წარჩინებით დავამთავრე მაგისტრის აკადემიური ხარისხით. ამ ხუთი წლის განმავლობაში მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ისეთ ლექტორებს და პროფესორნალებს, როგორებიც იყვნენ ნ. ქაჯაია, კ. კაკიტაძე, ს. მახარაშვილი, ნ. ამირანაშვილი, ვ. ინაური, ნ. ნაკუდაშვილი..... მათთან ურთიერთობამ უფრო შემაყვარა სწავლა და მომცა საგზალი უკეთესი მომავლისთვის.

2 წლის შემდეგ მუშაობა დავიწყე ქ. ახალციხის ზოოგეტერინარულ ინსტიტუტსა და აგრალურ კოლეჯში ქართული ენის მასწავლებლად. თუმცა მალევე მომიხდა წასვლა ჯავახეთში, სადაც ჩემი ძირითადი პროფესიული პლატფორმა დაიწყო. მუშაობა დავიწყე ქ. ახალქალაქის №1 (სომხურ) საჯარო სკოლაში ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგად. ეს ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო, ერთგვარი ინტრიგა და საკუთარი ძალების გამოცდის საუკეთესო საშუალება. იმ დღიდან არ მოვდუნებულვარ და კარიერული წინსვლისთვის ბედი ვცადე განათლების სისტემის ბევრ ვაკანტურ თანამდებობაზეც. 2007 წელს საუკეთესო შედეგებით ჩავაბარე დირექტორების შესარჩევი გამოცდა, თუმცა

დირექტორი არ გავხდი იმიტომ, რომ ამავე პერიოდში ვმონაწილეობდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, ცონსულტანტ-მასწავლებლის ვაკანსიაზე, სადაც ასევე მაღალი შეფასება მივიღე და პროექტის ფარგლებში გავაგრძელე მუშაობა ახალქალაქის რაიონის სოფ. კულიკამის და ხულგუმოს საჯარო სკოლაში. ამჟამად კი „არაქართული სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების“ პროექტის ფარგლებში ვაგრძელებ მუშაობას ახალქალაქის №1-ლ სკოლაში. ვარ რესურსცენტრებთან არსებული პროფორიენტაციის კონსულტანტების შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულიც. ასევე ვთანამშრომლობ ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან, არაქართულ მსმენელებს და საჯარო მოხელეებს ვასწავლი ქართულ ენას. ვენმარები კარიერულ წინსვლაში ჩემს კოლეგებს და ვცდილობ უფრო საინტერესო გავხადო ჩვენი პროფესია.

არ შეწყვიტოთ განვითარება, რათა არ მოკვდეთ პროფესიულად.

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, მეგობრებო, სიცოცხლის მომცემი!“

## **იქ, სადაც საჭირო ხარ!**

ცხოვრებაში ბევრ საინტერესო რამეს და ვინმეს შევხვედრივარ სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა გარემოებაში..., მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, ჯავახეთში თუ მოვხვდებოდი ოდესმე. ეს კუთხე ისე შორეულად და უცხოდ მიმაჩნდა, რომ არც კი მიფიქრია აქ თუ მომიწევდა ცხოვრება. თან ვიცოდი, რომ აქ, ეთნიკური სომხები ცხოვრობდნენ და სულ რამდენიმე ქართული ოჯახი, რომელიც რაღაც მიზეზების გამო შემორჩენოდა აქაურობას. ახლა კი ვიცი ეს რა მიზეზია!

რამდენიმე წლის წინ ცხოვრებისეულმა პერიპეტეიებმა მეც მომახვედრა ჯავახეთში, ამ ჩემთვის თითქოს უცხო და ცივ მხარეში. ძალიან დავიძაბე და შემეშინდა. როგორ შემხვდებოდნენ და მიმიღებდნენ, რას ვეტყვოდი მე და ისინი რას მეტყვოდნენ...

ერთი პერიოდი სულ წამოსვლას ვფიქრობდი. ჯერ კლიმატი, მერე უცხო ადამიანები, რომლებიც ჩემთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ, ერთიორად ამძიმებდა ჩემს მდგომარეობას. მე მათი არ მესმოდა და იმათ ჩემი. თუმცა, ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა და მეც ვიპოვე მარტივი გზა ურთიერთობებისთვის: ვისწავლე სომხური, რომელიც არც ისე ძნელი აღმოჩნდა, როგორც მეგონა; გავიჩინე მეგობრები, კეთილი მეზობლები და.... ყველაფერი უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა. არც ეს გაუთავებელი ზამთარი ყოფილა ისე საშიში და არც აქაურების უცხო სახეები. ამ ყველაფრის მიღმა მე უზომო სითბო და სიყვარული დავინახე. ახლა უფრო კარგად მესმის მათი, უცხო ადამიანის მიღება მათთვისაც ისევე რთულია, როგორც ჩვენთვის. თავის დროზე მეც ხომ მეშინოდა ურთიერთობის დაწყება?!

პროფესიით ფილოლოგი, მოქმედი მასწავლებლის სტატუსით შევერიე აქაურ ყოფას და ავუნყე ფეხი დღევანდელობას.

მასხენდება ჩემი პირველი შეხვედრა ბავშვებთან და მასწავლებლებთან, მათი ეჭვნარევი გამოხედვა და ცივი მზერა. არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ისინი იმ დროს და რა საზომით ზომავდნენ ჩემს ადამიანობას, მაგრამ მივხვდი, რომ დრო სჭირდებოდათ, მე კი არსად მეჩქარებოდა. ვიცოდი, გამიცნობდნენ და აუცილებლად შემიყვარებდნენ.

ერთ დღესაც, კლასში შესულს, ერთმა გოგონამ მითხრა: ეკა მასწავლებელო, მე ქართველები თქვენი გაცნობის შემდეგ შემიყვარდაო. ამ სიტყვებზე ძარღვებში სისხლი გამეყინა და უფრო ჩავფიქრდი. იქნებ, ჰქონდათ კიდეც ამის მიზეზი...ჩვენ დავმეგობრდით, გაქრა ეჭვი და უნდობლობა, აღარც ჯამუშად გვთვლიდნენ, ბევრს ხომ ასე აფასებდნენ ადრე!

ამას დაემატა ჩვენი დაუღალავი შრომა და მცდელობა მათი პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის. ის, რომ ჩემთვის არ იყო სულ ერთი, თუ როგორ კოლექტივში და როგორ გარემოში მომიწევდა მუშაობა და ცხოვრება. მე მათ დავანახე, როგორ შეიძლება წინსვლა და განვითარება, როგორ შეიძლება შეცვალო ძველი ახლით და იარო წინ, უკეთესი მომავლისკენ. მე შევძელი

მათი დარწმუნება და ახლა ჩვენ ერთად ვქმნით ახალ საზოგადოებას, ერთად ვზრდით ახალ თაობას, ნათელი მიზნებით და მისწრაფებებით.

მათ მე მიმიღეს და არც მე შემიძლია გულგრილი დავრჩე. აქ იმდენი სიტბო და პატივისცემაა, რომ ადამიანმა შეიძლება ინატროს კიდეც. ცხოვრებამ შემახვედრა საუკეთესო ადამიანებს და კიდეც ერთხელ ყველანი დავრწმუნდით, რომ ჩვენ ერთნი ვართ. აქ შენი და ჩემი არ არსებობს. მარტო აქ, ახლა არ იწყება და არ მთავრდება ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი მეგობრობა და სიყვარული, ეს თითქოს ყოველთვის ასე იყო, უბრალოდ ჩვენ ხშირად ვერ ვხვდებით და არ ვიცნობთ ერთმანეთს. ამ დალოცვილ ქვეყანაზე უამრავი კარგი ადამიანი ცხოვრობს თურმე და ეს მაბედნიერებს.

ბევრი ფიქრობს ადგილი და გარემო უკეთესით შეცვალოს და გაექცეს ჩვეულს. თითქოს დიდ ქალაქში უფრო თავისუფალი და წარმატებული იქნება, უცხო ხილი ხომ უფრო სასურველია! ბევრმა აქაურმა ალბათ ამ მიზეზით დატოვა აქაურობა და „მოიწყო უკეთესი ცხოვრება“, მაგრამ აქაც ხომ საჭირონი ვართ?! როგორ გაგვიგებენ თუ არ გაგვიცნობენ; თუ ერთმანეთს არ მოვუსმენთ, როგორ გავიგებთ ვის რა გვიჭირს?! ერთად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყანას ავაშენებთ. მეც, სხვა დანარჩენების მსგავსად, ერთ-ერთი ვიქნები, რომელმაც ჩემი მეობა და შესაძლებლობები ამ კეთილ ხალხს და საყვარელ კუთხეს მოვახმარე. სამაგიეროდ უზომო სიტბოს და ბედნიერ თვალებს ვხედავ, მე ხომ მეტი არა მინდა რა!

მივესალმები ყველას, ვინც ერთ აგურს მაინც დადებს ჩვენი მეგობრობის შენების საქმეში, გაისიგრძეგანებს საკუთარ მისიას და ერთ სასიკეთო საქმეს მაინც გააკეთებს ცხოვრებაში.

გვახსოვდეს, ჩვენ უკან მთელი საქართველოა!

## ნათელა მელიქიძე

1997 წელს დაამთავრა თსუ ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1997-2001წწ. ტოლომის საშუალო სკოლის პედაგოგია, 1999-2006 წწ. - თსუ მესხეთის ფილიალის მონწევული პედაგოგი, 2000-2003 წწ.- საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ახალციხის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2001-2012 წწ. მუშაობდა თსუ ჯავახეთის ფილიალის (შემდეგში ახალქალაქის უსდ-კოლეჯის) მონწევულ პედაგოგად, ასისტენტ-პროფესორად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად.

2008-2012 წწ. ახალქალაქის ენის სახლის თანამშრომელია, 2012-2014 წწ. - ზურაბ უვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალქალაქის სასწავლო ცენტრის მასწავლებელი, 2008-2010 წწ. - ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ტრენერი.

2012 წლიდან ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს უკითხავს ლექციებს. 2018 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“. ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონწევული დოქტორია.

გამოქვეყნებული აქვს სტატიები სახელმწიფო ენის სწავლებაზე, ბილინგვური განათლების მხარდაჭერაზე, ქართული ენის სინტაქსსა და ონომასტიკურ საკითხებზე. არის საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების მონაწილე.



## ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით“ სწავლებაისათვის

ანა კალანდაძის ლექსის „ფეხი დამადგით“ გაგებისა და გააზრებისათვის გასათვალისწინებელია იდეურ-თემატური თავისებურება. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თემა ნაწარმოების მთავარი სათქმელია, ძირითადი ქარგა, რომელსაც მწერალი ხორცს ასხამს. მოცემული ლექსის თემა სამშობლოს სიყვარულია; სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი ადამიანის თავმდაბლობა, რომელმაც იცის, რომ ყველაფერი უნდა გასცეს,

დაიხარჯოს მამულისათვის და მაინც ითხოვოს შენდობა - ფეხქვეშ გაცვივით ჩემი საფლავის ლოდიო. პოეტი დიალოგის ფონზე წარმოაჩენს ადამიანის დანიშნულებას - იყოს ზვარაკი, „ღირსმსახური“ თავისი ქვეყნისა. ანა კალანდაძე გაცვებას ვერ მალავს ამ „მალალთა თავმდაბლობისა“: მეფე დავითი, „საქართველოს ყოვლის მპყრობელი, ითხოვს შეწყალებას, პატიებას შთამომავალთაგან, თუ რამ ვერ შეძლო, თუ რამ დააკლო თავის ერს.

„ფეხი დამადგით“ არის დავით აღმაშენებლის ანდერძის პოეტური გახმოვანება. ეს არის „სულის სიმშვიდის ვერსით მპოველი“ ადამიანის დანაბარები, სამშობლოს ბოლომდე უერთგულეთო, ბოლომდე გაიხარჯეთო, მაგრამ იცოდეთ, რომ მაინც „მოკვდავნი ხართ და მიწად მიქცევადნიო“.

მოსწავლეებისათვის პრობლემურია იმის გაგება, თუ რატომაა დავით მეფე შენუხებულის, უკმაყოფილო თავისი მოღვაწეობით, თუ რატომ ითხოვს მოკვდავთა შორის ყველაზე მკაცრად მოექცნენ, დიდებული ძვალშესალაგის ნაცვლად, ფეხქვეშ გათელონ მისი საფლავის ლოდი. იმისთვის იღვწოდა, იხარჯებოდა, იბრძოდა, რომ შემდეგ სინანულში ჩავარდნილიყო? მოსწავლეებმა იციან დავითის ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე, ამიტომ აბნევთ ეს სანადელი - „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველთა“. თუ წმინდანს, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დამაშვრალს არ მიაჩნია თავი ღირსად, იყოს პატივდებული, ჩვენ, ჩვეულებრივმა მოკვდავებმა, რალა უნდა გავაკეთოთ, რომ ვცხოვრდეთ და სასუფეველი მოვიპოვოთ? რატომაა აფორიაქებული, რატომ ვერ უპოვია სულის სიმშვიდე დავით აღმაშენებელს? - აი, კითხვები, რომელზე პასუხიც გასაცემია.

პრობლემის დასაძლევად დაგვეხმარება „ორმაგი კომენტარი“, რომელიც ამონარიდის მოსწავლისეული გააზრების გვერდით პედაგოგის თვალსაზრისის დაფიქსირებას გულისხმობს. ამისათვის ვთხოვთ, ტექსტიდან ამოინერონ სამი ყველაზე საგულისხმო სტრიქონი და ისაუბრონ, რის შესახებაა, რას გულისხმობს. კლასში შევაჯერებთ რა თითოეული მოსწავლის ნაფიქრს, ვთხოვთ „ემოციურ კომენტარს“- რომელი სტრიქონი ეხმიანება მათ სულს, რას გრძნობენ მისი წაკითხვისას, რა ემოცია ებადებათ? შემდეგ იდეურად, თუ რისი თქმა სურდა ანა კალანდაძეს, განვიხილავთ

მთლიან ნაწარმოებს, მოვიყვანთ პარალელებს დავითის „გალობანი სინანულისანიდან“; ვისაუბრებთ მხატვრული გამომსახველობის ფორმებზე, წერის მანერაზე, არქაულ ლექსიკაზე („ღირს მსახურებდი“, „წყალობა ჰყავით“...); ვესაუბრებით ქრისტიანულ თავმდაბლობაზე, ღირებულებებზე, რომ სამშობლო და უფალი ყველაზე სამუკვარი ცნებებია, რომ ღირსეული ადამიანები პირად კეთილდღეობას ქვეყნის სამსახურს ანაცვალებენ, რომ სამშობლოსთვის თავდადება უფლისთვის თავდადებაა.

### **მხატვრული ტექსტის ანალიზი (ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „უფერულობა“)**

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაში გადმოცემულია ეპოქის სული - უმოძრაობის, მონყენილობის, გაძარცვული. „უფერულობა“ უმიზნო და უხალისო დღეების ტკივილია, ნაცრისფერი სამყაროს გამოძახილია. ავტორი იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი გამომსახველობით საუბრობს ადამიანურ სევდაზე, როცა ვერაფერს ამბობ, როცა ყელში ბურთი გეჩრება, როცა თვითმკვლელობამდე - ცხოვრების გაპროტესტებამდე - ერთი ნაბიჯია. მაგრამ, არა! ჭეშმარიტებას უფრო დიდი მხარდაჭერა სჭირდება და არა გაქცევა. „გულის სისხლს მოითხოვს“ კალმის ერთგულება და მიტოვება ღალატის ტოლფასია. ამიტომ მოუწოდებს მწერალი თავს, საზოგადოებას, კალმოსნებს, „არ გადაუხვიონ, თქვან სიმართლე“. ეს მინიატურა ბარათაშვილის ობოლი სულის გამოძახილია - „ვის სურს გაიგოს მივარდნილი სულის მონყენა?“ ნუგეშისმომფენი არავინაა, თავად უნდა ამაღლდე, თვითონ უნდა იპოვო „გზა ხსნისა“.

ტექსტის მთავარი სათქმელი დაბალჭერიანი ოთახის ფონზე იშლება. სახელდებითი წინადადებებით, მხატვრული მიმართვით („კალამო, შენ გსურს რითიმე გაერთო“), მონოლოგით ახერხებს ავტორი „მკრთალი სინათლე“ გაარღვიოს.

მინიატურა სევდას აღძრავს და გვაფიქრებს ადამიანის ამქვეყნიურ ყოფაზე, დანიშნულებაზე; ჩვენამდე მოაქვს გაუსაძლისი

ტკივილი უსუსურობისა, როცა „არაფერი იპყრობს შენს ყურადღებას“; როცა შორდები უზენაესს და ერთი შეძახილი - „ჭემმარიტებას ნუ გადაუხვევ!“- გაფხიზლებს და გათბობს.

## ნესტანი - ქალური სათნოების ქრისტიანული იდეალი

მსოფლიო ლიტერატურაში მრავლადაა მიჯნურობის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. სიყვარული ამაღლებული გრძნობაა და დაბრკოლების მიუხედავად, მიჯნურნი ინარჩუნებენ „მძლეთა მებრძოლთა მძლეობას“. ზოგჯერ ღალატობთ ნებისყოფა და ამა ქვეყნიდან გასვლას ესწრაფვიან. ლიტერატურის კრიტიკოსები საუბრობენ ყველა ნიუანსზე და ურთიერთგამომრიცხავ არგუმენტებს გვისახელებენ. ამ მხრივ „ქართველთა სულის საუნჯე“-რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ არაა გამონაკლისი. გურამ ასათიანი ნესტანს შიშველ ვნებააყოლილ ქალად წარმოაჩენს, რომელიც „ნამდვილი ვეფხურის დაუნდობლობით გამოირჩევა“. ამ საკითხთან დაკავშირებით მე სხვაგვარად ვფიქრობ და არ ვიზიარებ მკვლევრის თვალსაზრისს. თუ რამ აცოფებს, პირუმიტკიცობაა, რადგან ნესტანს სურს, მისი მიჯნურიც ისევე დაიხარჯოს სიყვარულის „გზად და ხიდად“, როგორც თვითონ.

არის თუ არა ნესტანი ქალური სათნოების ქრისტიანული იდეალი? ჩემთვის ის მზრუნველი მიჯნური და თავისი სამშობლოს ქომაგია. ხიფათისგან რომ იხსნას ტარიელი, სთხოვს, შემელიე, დამთმეო. ქაჯთაგან შეპყრობილი ინდოეთის კეთილდღეობაზე ფიქრობს და სატრფოს მოუწოდებს „არგოს მტერთაგან შეინრებულსა“.

ნესტანის წერილი, რუსთაველის თქმით, „გულისა გასაგმირალია“, რომელშიც ჩანს, რამდენად ძვირფასია მიჯნურის სიცოცხლე ამ ქალისათვის. ნესტანი სიყვარულის „მზრდელია“, სიყვარულის მაცოცხლებელია, უქრობი ლამპარია. უტარიელოდ მისი სიცოცხლე „დიდი ძნელია“, ამიტომ ცდილობს გაარიდოს საფრთხეს, რადგან, მისივე სიტყვებით, თუ მკვდარსა ნახავს, დაიწვება „ვითა აბედი კვესითა“. ნესტანი რომ „ზუსტად გათვალისწინებული გეგმით“ ვერაგობდეს (გურამ ასათიანი), ვერ იტყოდა

თავს გავწირავ, „ყორანთა დასაყვივარად“ აქედან თავს გარდა-  
ვიქცევო.

დიმიტრი ჯანაშვილის აზრით, „ქართველი ქალი თავის ხასიათ-  
ში ერთმანეთს უხამებს სიმტკიცესა და სიყვარულს, მედგრობასა  
და გამჭრიახობას“. ამ მხრივ, ნესტანიც ბოლომდე ინარჩუნებს  
მხნეობას, „იმედად გულისა“ ტარიელის სიცოცხლეს ჰყოფნის.

მიმაჩნია, რომ ნესტანი უზადო მიჯნურია.

სამშობლოს სიყვარული ნესტანს მებრძოლ, რაინდ ქალად  
წარმოაჩენს. თავისი გადარჩენის სანაცვლოდ მიჯნურს სთხოვს,  
„ყოვლგნით ხელ-აუპყრობელს“ მშველელად მოევლინოს. არ  
შეიძლება არ გაგვახსენდეს „მაია წყნეთელი“, სადაც სიყვარულით  
ანთებულმა გლეხის გოგომ სამშობლოს სამსხვერპლოზე ისე  
მიიტანა თავი, არც კი გაუმხელია, რომ გვერდით მდგომის  
ტრფობით იწვოდა. ნესტანი პატრიოტია, რომელსაც სამშობლოს  
კეთილდღეობა პირად ბედნიერებაზე მეტად სურს.

ამ ფონზე ნესტანი ნამდვილადაა ქალური სათნოების ქრის-  
ტიანული იდეალი, რომელიც სატრფოს სიცოცხლეს უფრთხილ-  
დება და სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნავს.

## ლიანა მჭედლიძე

დავიბადე 1966 წლის 21 მაისს სოფ. სარომი. დავამთავრე ტოლოშის საშუალო სკოლა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1989 წელს მუშაობა დავინწყე სოფ. ნიჯგორის არასრულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1990-93 წლებში ვმუშაობდი ხერთვისის არასრულ სკოლაში, ხოლო 1994 წლიდან ვმუშაობ ტოლოშის საჯარო სკოლაში. მყავს მეუღლე და ორი შვილი



### ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვრის“ სწავლებისათვის

ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვარი“ ისწავლება მე-8 კლასში. ამ ასაკის მოსწავლეები უკვე მიჩვეული არიან ლიტერატურული ტექსტის გააზრებას, პერსონაჟთა დახასიათებას, ნაწარმოების პრობლემატიკაზე მსჯელობას.

გაგიზიარებთ გამოცდილებას, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის სწავლებისას დაგვიგროვდა.

„მე ვარ ადამიანი!“- ასე იწყება ლიტერატურასთან ზიარება მე-8 კლასში. ავტორები ეკითხებიან მოსწავლეებს: რა განასხვავებს ადამიანის სიცოცხლეს ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლისაგან? ეამაყებათ თუ არა რომ არიან ადამიანები და რატომ? მოსწავლეთა პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ სიამოვნებთ სხვისთვის დახმარების ხელის განოდება და განიცდიან შეცდომებს, ამ უკანასკნელის დროს კი ერცხვინებათ ადამიანად ყოფნა („ძალიან მრცხვენია, როცა რამეს ვაშავებ და მერე ყოველთვის ვნანობ“- ჯულია დავლაშერიძე; „თანაკლასელთან რომ ვიჩხუბე, ისე ვინერვიულე, არ. დამიძინია“- გიორგი ნადირაშვილი).

აღნიშნული ნაწარმოები მრავალმხრივ საინტერესოა. საგულისხმოა ადამიანობის საკითხი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მოთხრობას. ტექსტის გაცნობამდე მოსწავლეებს გამოვათქმევენთ ვარაუდები, რაზე შეიძლება იყოს საუბარი. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირია ზღაპრულ სიუჟეტთან სიახლოვე; მოსწავლეები იხსენებენ მარკ ტვენის „უფლისწულსა და მათხოვარს“ და ოსკარ უაილდის „ბედნიერ უფლისწულს“. ამბობენ, რომ შესაძლებელია დადიანის ასულმა გაააბედნიეროს მათხოვარი, ან ააცდინოს მძიმე ყოფას...

ნაწარმოები დაყოფილია ოთხ ნაწილად და თითოეული ნაწილი გაკვეთილზე ცალ-ცალკე განვიხილეთ. პირველი ნაწილის წაკითხვისთანავე, მოსწავლეებს ვთხოვეთ დაეხასიათებინათ დადიანის ასული. ისინი საუბრობენ, რომ ეს გახლავთ სათნო, გიჟმაჟი, მოსიყვარულე, თამამი და ენაკვიმატი ახალგაზრდა ქალბატონი, სიყვარულისთვის გაჩენილი, განებივრებული. მოსწავლეთა შეფასება გადამაქვს დაფაზე წინასწარ დახაზული სქემის პირველ გრაფაში. ვაგრძელებთ კითხვას და მოსწავლეების თვალწინ ცოცხლდება ძვირფასი ქვებით მოთამაშე გოგონა, უინტერესოდ რომ ფურცლავს „ვეფხისტყაოსანს“. ახლა ამ მონაკვეთის მიხედვით ახასიათებენ დადიანის ასულს და ჩვენც სქემის მეორე გრაფაში ვწერთ მათ შთაბეჭდილებებს. მესამე ნაწილი ყველაზე ვრცელია. ეს არის დიალოგი მათხოვარსა და დადიანის ასულს შორის. მათხოვარი იხსენებს ხუთი წლის წინანდელ ამბავს, რომელიც ბატონიშვილს აღარც კი ახსოვს. ეს ეპიზოდი ყველაზე მეტად წარმოაჩენს მოთხრობის თემას- ადამიანად ყოფნის საიდუმლოს. მსჯელობაც, შესაბამისად, მრავალმხრივია. მოსწავლეებს დავაკვირებთ, რომ მართალია, დადიანის ასულს არ გაახსენდა მათხოვარი, მაგრამ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის დეტალი, რომ მას ახსოვს თავისი გადამრჩენი, ისევე როგორც მათხოვარს ახსოვს თავისი მხსნელი. ამ მონაკვეთში მოსწავლეები ხედავენ „უგრძნობელობის გზაზე დამდგარ“ ადამიანს, რომელსაც სასაცილოდ არ ჰყოფნის მათხოვრის სტუმრობა და განდობა („დადიანის ასულმა ისე დასცინა მოხუცს, არ უფიქრია, რომ შეიძლება გული სტკენოდა“-გიორგი ნადირაშვილი). სქემის მესამე გრაფაში ვუთითებთ დადიანის ასულის

გულქვაობას, სიამაყეს, უკადრისობას, ამპარტავნებას. ბოლო ნაწილი არაფერს გვეუბნება დადიანის ასულზე, გარდა იმისა, რომ „საკადრისი“ („რაც დაიმსახურა!“-ზურაბ დავლაშერიძე) მიიღო-კვერცხისოდენა მარგალიტი, სამომავლო გართობისათვის.

დადიანის ასულზე დაკვირვებამ მოსწავლეებს დაანახა ადამიანის სხვადასხვა სახე - მოსიყვარულე, უნებისყოფო, გულქვა. აქედან ზოგი - გააზრებული, ზოგიც - უნებლიე. მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ მათხოვარი ბატონიშვილის განვდილ ხელს ანგელოზის გამოცხადებად მიიჩნევს - „მფარველი ანგელოზი გამოჩნდა უკიდურეს წამს“, იქნებ ამიტომაც ჰქვია ამ ამბავს ლეგენდა, ნამდვილობას რომ სცდება, უფრო სხვა სიმაღლეებზე გვაფიქრებს. მათი აზრით, დადიანის ასულის უჩვეულო საქციელი მას ყოველდღიურობისაგან გამოარჩევს („დადიანის ასული ასე სხვა დროს არ იქცევა“ - ალიკა მელიქიძე; „იმ წუთებში ბატონიშვილი სხვა ადამიანია“ - ნიკოლოზ ხმალაძე), ამხელა მადლისთვის ის „ანგელოზია“. ეს ეპიზოდი მათხოვრის შემობრუნებისთვის არის და არა დადიანის ასულის „კეთილშობილი“ სახის დასანახად. ამ წუთიდან მათხოვარი საკაცობრიო სიმაღლეზე ადის - „ადამიანად ყოფნის“ სიხარულს განიცდის!

მოსწავლეთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დადიანის ასულის საქციელი განსაცდელით არის ნაკარნახევი; რომ არა თარეში, ვერ დავინახავდით მის ცხენზე შემომჯდარ მათხოვარს. გაჭირვება აკეთილშობილებს ბატონიშვილს („დადიანის ასულმა მათხოვარი გადაარჩინა ფიზიკურ და სულიერ დაღუპვას, ადამიანობა დაუბრუნა“- ჯულია დავლაშერიძე).

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ ნაწარმოებიდან ამოიწერონ მათთვის საგულისხმო ციტატა და წერილობით გამოთქვან აზრი. შემდეგ მენყვილეს გაუცვალონ ნაწერი და სთხოვონ კომენტარი. ამ აქტივობის დასრულებისთანავე ხმამაღლა ვაკითხებთ ნააზრევს. „ორმაგი კომენტარი“ გვეხმარება დავინახოთ მოსწავლეთა დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ, თუ რატომ ფიქრობენ ასე და არა სხვაგვარად, იზიარებენ თუ არა მენყვილის აზრს, რას აქცევენ ყურადღებას ამონარიდში. მოსწავლეები, ძირითადად, განიხილავენ მათხოვრის ფრაზებს: „სიკვდილს გადამარჩინე და

ადამიანობა დამიბრუნე“; „ჩემი სიცოცხლის სიცოცხლედ დაფასება-ეს არ წარმომედგინა. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ადამიანი“; „რა არის ჩემში ფასდაუდებელი? ადამიანი!“ და ა.შ.

მხატვრული ხერხებიდან ყურადღება გავამახვილეთ შედარებაზე (ოქროს სირმასავით ყვითელი; შენ, როგორც ანგელოზი; ტანჯვასავით შავი; ალვის ხის შტოებივით ნათალი; ვარსკვლავით მოელვარე), გაპიროვნებასა (ფერდობები თოვლს აიყრიდა) და ეპითეტზე (უკიდურეს ნამს).

მოსწავლეთა მსჯელობა ადამიანობაზე უფრო გავალრმავეთ, როცა ვუჩვენეთ ფილმი „ $2+2=5$ “, რომლის იდეაა ადამიანობის გაკვეთილი. პატარა ბავშვი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ  $2+2=4$ , ვერ შეაშინა ძალადობამ, მუქარამ და არ აღიარა სათაურში მითითებული ტოლობა. ადამიანობა სინათლის სხივია, რომელიც სხვა ადამიანში ირეკლება. რომ არაფერი ქრება უკვალოდ, ამის დასტურია ზენოლის მიუხედავად გადახაზული უტოლობა.

„ადამიანი მუდამ ადამიანია-არც მეტი და არც ნაკლები“ აქსიომასავით ჟღერს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში. „ლეგენდა ადამიანობაზე“-ასე ვუნოდეთ მოსწავლეთა თხზულებებს, რომლებიც განვიხილეთ მომდევნო გაკვეთილზე და გულისხმობდა თითოეულის შთაბეჭდილებას ნაკითხულის შესახებ.

კიდევ ერთხელ რომ დაგვეფიქრებინა ადამიანის ამქვეყნად მოსვლის მისიაზე, მოსწავლეები დავყავით ჯგუფებად და ერთ ნაწილს წავაკითხეთ რეზო ინანიშვილის „ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“, მეორე ნაწილს - გურამ ლონდაძის „ჯაჭვი“. პრეზენტაციაზე პირველმა ჯგუფმა ისაუბრა ადამიანობის იმ კუთხეზე, როცა სხვისი ტკივილი გტკივა. „ნამდვილი ადამიანი მაშინ ხარ, როცა ფიქრობ სხვებზე“- ეს იყო მათი ნაფიქრის შეჯამება. მეორე ჯგუფმა საპრეზენტაციო ფურცელზე ადამიანებისაგან შემდგარი ჯაჭვი დაგვიხატა და ავტორის სიტყვები მიანერა: „თუ გავმაგრდებით, ვერავინ გაგვწყვეტს!“ ისაუბრეს, რომ ყველა ადამიანს აქვს მოვალეობები და უფლებები, ამიტომ ხმა უნდა აიმაღლოს, ქვეყნის, ოჯახის სადარაჯოზე უნდა იდგეს; ადამიანები ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთის გვერდით ყოფნით ერთმანეთს აძლიერებენ.

ჩატარებული გაკვეთილი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ჩამოუყალიბდეთ პირადი დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ, გაანალიზონ პრობლემა საკუთარ ღირებულებათა შრიღში, კრიტიკულად გაიაზრონ ტექსტი, დასკვნებისა და მოსაზრების გასამყარებლად დაეყრდნონ ნაწარმოებს, მოიყვანონ ციტატები, დააკვირდნენ მხატვრულ ხერხებს, გამოკვეთონ ტექსტის მთავარი სათქმელი, განაზოგადონ პრობლემა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა, მე-8 კლასი, ვახტანგ როდონია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, „სწავლანი“, 2012 წელი.
2. რეზო ინანიშვილი, ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან, თბილისი, 1986 წელი.
3. აღმანახი „1921“, საქართველოს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული აქცია. თბილისი, 2009 წელი.

## სარჩევი

<i>მერაბ ბერიძე</i> სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ძრონიკუბი 1990)	3
<i>პოეზია</i> <i>ეკა ბაქრაძე</i>	23
<i>პოეზია</i> <i>კლარა გელაშვილი</i>	29
<i>პროზა</i> <i>ჯუმა ჯ 'უმიტელი</i> <i>ნერბეგი</i>	31
<i>თარგმანი</i> <i>ხოსრო შაჰანი - ირანი</i> „სახელმწიფო ნაგავი“	34
<i>თარგმანი</i> <i>აკსელ ბაკუნცი</i> <i>ალჟური ია</i>	47
<i>რამაზ ბუბა ხოტივარი</i> მავინე, კაცობრიობის ისტორიამდე ანუ უპატრონო ამირანი	58
<i>ინტერვიუ</i> <i>რუსუდან გალდავა-ლავთაძე, აშშ, ნიუ იორკი</i> ჩვენი ფესვები საქართველოშია	128
<i>სკოლის პრობლემები</i> <i>თინათინ გოგიაშვილი</i> საქელის საჯარო სკოლა	137
<i>ელენე (ეკა) ლურსმანაშვილი</i> ჰაგიომბრაფიული ნაწარმოებების სწავლებლისათვის მე-10 კლასში	141
<i>ეკა თათეშვილი</i> იძ, საღაცე საჭირო ხარ!	145

*ნათელა მელიქიძე* 149  
ანა კალანდაძის „ფენი დამადგით“  
სწავლუბისათვის

*ლიანა მჭედლიშვილი* 154  
ნიკო ლორთქიფანიძის „დალიანის ასული და  
მათხოვარის“ სწავლუბისათვის

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ელ. ფოსტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)